

მარინა ღამენია

ზუგდიდი
ეროვნულ
მემორიალზე

წიგნი I



საქართველოს კულტურის
ეროვნული ცენტრი

თბილისი 2018

UDC 329.73(479.222.2)

დ-197

**ეს წიგნი ეძღვნება საქართველოს დამოუკიდებლობის,
ტერიტორიული მთლიანობისა და სამართლიანობის
აღდგენისათვის ბრძოლაში დაღუპული ზუგდიდელი
მამულიშვილების ნათელ ხსოვნას;
ეძღვნება ყველა იმ ზუგდიდელს, რომელთაც
არასოდეს შეუწყვეტიათ ფიქრი და ღვანლი ერთიანი,
ძლიერი, თავისუფალი საქართველოსათვის.**

© მარინე დამენია, 2018

© საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2018

ISBN 978-9941-9606-8-0

* * *

ორი წელია ვმუშაობ წიგნზე — „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტსა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელმომწერები“. ამ წიგნთან დაკავშირებით ეროვნული მოძრაობის აქტიურმა წევრმა როლანდ მაქაცარიამ არაერთხელ შემომთავაზა, გამომეცა ცალკე წიგნი, რომელიც შეეხებოდა ზუგდიდელ ხელმომწერებს...

და აი, 2018 წლის 9 აპრილისთვის საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ფინანსური ხელშეწყობით ეს იდეა განხორციელდა.

მადლობას ვუხდით საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობას, ქ. ზუგდიდის მაჟორიტარი პარლამენტის წევრს მერაბ ქვარაიას, ქ. ზუგდიდის მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ბიუროს ხელმძღვანელს ირაკლი ბალათურიას, ზუგდიდის გამგეობის კულტურისა და ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროს ლაშა ჯიქიას, მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს ბატონ ედემ კვირიტიას.

მადლობა ყველას მხარდაჭერისთვის.

მარინა ღამენია

რედაქტორისაგან

„იკაროსივით სიკვდილი გიჯობს
იმისთანა სიცოცხლეს,
ერთხელაც რომ არ სცადო აფრენა
თუნდაც ცვილის ფრთებით“.

მიგელ დე უნამუნო



დიდებული საქმე გააკეთა ქალბატონმა **მარინე დამენიამ**. წარსულის არდავინწყება და აღიარება — ანმოსა და მომავლის ნათელიანობის საფუძველია.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტსა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელმომწერი

ზუგდიდელები უთუოდ დასაფასებელი და პატივისცემისაგები ადამიანები არიან. განსაკუთრებულ პატივისცემას იმსახურებენ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერი ზუგდიდელები: ილია ჭავჭავაძის სულიერი მემკვიდრე **სპირიდონ კედია** და ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კურსდამთავრებული, შამგონელი **ალექსანდრე ჩიქავა**. დიახ, ამ ადამიანებმა სხვა ღირსეულ და გამოჩენილ პიროვნებებთან ერთად რუსეთის იმპერიის დაშლისა და 1917 წლის რევოლუციის შემდეგ 1918 წლის 26 მაისს, ხელი მოაწერეს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს.

1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთის არმიის შენაერთები **ბუდიონისა** და **ჟლობას** კავალერიებთან ერთად საქართველოში რამდენიმე მხრიდან შემოიჭრნენ. მათ წინ მოუძლოდა **სერგო ორჯონიკიძე**. მოკავშირეების გარეშე დარჩენილმა და „მეგობრებისგან“ მოტყუებულმა საქართველომ ვერ გაუძლო მრავალრიცხოვანი მტრის შემოტევას და დედაქალაქი დაეცა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ბათუმში გადავიდა, თუმცა ვერც იქიდან მოახერხა მნიშვნელოვანი წინააღმდეგობის გაწევა და იმავე წლის 17 მარტს ემიგრაციაში წავიდა. საბრძოლო მოქმედებები პარტიზანულად გაგრძელდა. **ქაქუცა ჩოლოყაშვილი** შეფიცულ პატრიოტებთან პარტიზანულად ებრძოდა წითელ არმიას, მაგრამ ისიც იძულებული გახდა მცირე ჯგუფთან ერთად უცხოეთში გადახვეწილიყო.

წინამდებარე წიგნში ნაჩვენებია 1924 წლის აჯანყების მძიმე სურათი და მოცემულია ზუგდიდის მაზრაში დახვრეტილ აჯანყებულთა არასრული სია.

ქალბატონ მარინეს ყურადღების მიღმა არ დარჩენია 1937 წლის ტრაგიკული მოვლენები; 1956 წლის მარტის სახალხო გამოსვლები, სადაც იმპერიული ნახევარსაუკუნოვანი წნეხის შემდეგ პირველად იქნა მოთხოვნილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა; 1960-1962 წლების ზუგდიდში მოქმედი ორი არალეგალური ორგანიზაციის საქმიანობის მიმოხილვა; 1978 წლის 14 აპრილის მოვლენებში ზუგდიდელი პატრიოტების მონაწილეობა. მნიშვნელოვანია 1989-1990 წლებში აფხაზეთსა და სამაჩაბლოში განვითარებულ მოვლენებში ზუგდიდელების როლი, რომელსაც ქალბატონი მარინე განსაკუთრებული ყურადღებით მიმოიხილავს.

1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში ჩატარდა პირველი მრავალპარტიული, დემოკრატიული საპარლამენტო არჩევნები, სადაც დამაჯერებლად გაიმარჯვა საარჩევნო ბლოკმა „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“ (სპიკერი — **ზვიად გამსახურდია**). 1990 წლის 14 ნოემბერს საქართველოს ახლადჩამოყალიბებული უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა **ზვიად გამსახურდია**.

1991 წლის 31 მარტს საქართველოში ჩატარდა საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმი, რომლის საფუძველზეც 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებულ იქნა „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი“. ეს გახლდათ ეროვნული ცნობიერებისა და სახელმწიფოებრივი აზროვნების ზეიმი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა საქართველოს დამოუკიდებლობის დე-ფაქტო ცნობას.

„საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს“ ხელი მოაწერეს ბატონებმა: **ზაურ ქობალიამ, ვალტერ შურლაიამ, გურამ აბსანძემ, თენგიზ (გია) მამფორიამ, გურამ მაქაცარიამ, თამაზ ყორყოლიანმა, გოგი ჩიქავამ, ბონდო ჯიქიამ, ლეო ჩიქავამ და ნოდარ ჭითანავამ**. წიგნში მოცემულია ამ უმნიშვნელოვანესი ისტორიული დოკუმენტის ხელმოწერთა მოკლე ბიოგრაფიები.

დამხმარე მასალად ავტორს გამოყენებული აქვს მეცნიერული და მხატვრულ-პოპულარული მასალები, რომლებიც საინტერესოს ხდიან წიგნს როგორც ფართო მკითხველი საზოგადოების, ასევე უახლესი ისტორიით დაინტერესებული მკვლევარებისა და სტუდენტებისათვის.

არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ, მიუხედავად მსგავსი ცდებისა და თითო-ოროლა ღირსეული გამონათებისა, ჩვენი თაობა ვერც ზვიად გამსახურდიას ღვაწლისა და ვერც კანონიერი ხელისუფლების ფენომენის პირუთვნელი შემფასებელი ვერაა. ეს მომავალი თაობების საქმეა და სწორედ მათ სჭირდებათ მსგავსი ხასიათის წიგნები და მასალები.

სახელმწიფოებრივად აზროვნების დეფიციტმა და შესაბამისი კულტურის არქონამ სახელმწიფო გადატრიალებისა და კანონიერი ხელისუფლების, ხალხის მიერ დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტის იარაღით, ძალადობრივად დამხობის მონაწილეთა აბსოლუტურ უმრავლესობას იმის შეგნება და ძალა არ მისცა, რომ დანაშაული და მასთან ცოდვა, ჩადენილი ერისა და ქვეყნის წინაშე, გულწრფელად მოენანიებინა. ეს გახლავთ ტესტი, რომლითაც მოწმდება ერის კოლექტიური ინტელექტის ხარისხი და ღირსება, რამაც კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, თუ რაოდენ დიდ კრიზისშია ჩვენი მსოფლალქმა, ფასეულობები, საერთოდ ჩვენი კულტურა და მისი პირმშო — ეროვნული ცნობიერება. ადამიანები საკუთარ თავზე მაღლა ვერ აყენებენ ჭეშმარიტებას და საქვეყნო ინტერესებს. ესეც შეგნებული ინტელექტუალური ღალატი გახლავთ იმ ქვეყნისა, რომლის მოქალაქედაც ინოდებიან.

წინამდებარე წიგნი წინ გადადგმული ნაბიჯია ეროვნული თანხმობის მისაღწევად. აქ გვერდიგვერდ არიან ადამიანები, რომლებიც ებრძოდნენ ეროვნულ ხელისუფლებას და ადამიანები, რომლებმაც საკუთარი სისხლის ფასად მოიპოვეს ის. საქართველოს გადაარჩინეს მხოლოდ და მხოლოდ ეროვნული თანხმობა, რომლის მისაღწევად უთუოდ დაძლეული უნდა იქნეს სოციალური და პოლიტი-

კური შურისძიების იდეა. პოლიტიკური კულტურის დეფიციტის პირობებში (რაზედაც ზემოთ გვექონდა საუბარი) ეროვნული თანხმობის მიზანია სტაბილიზაცია. ნარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტია, რომ ერი დღემდე ვერ შეთანხმებულა, თუ როგორი სახელმწიფო უნდა — მარტივი თუ ფედერაციული ან შერეული. არ არსებობს ეროვნული განვითარების კონცეფცია, რაც საეჭვოდ ხდის ჩვენს სახელმწიფოებრიობასა და ეროვნულ ცნობიერებას.

უნდა გვახსოვდეს, რომ ნებისმიერი მდგომარეობა თუ თანამდებობრივი სიკეთე დროებითია, რომელიც შეიძლება თვალსა და ხელს შუა წამიერად გაქრეს. **ფრანც კაფკას** გმირი გამახსენდა: „ერთხელ დილით, როცა გრეგორ ზამზამ შფოთიანი სიზმრების შემდეგ გამოიღვიძა, აღმოაჩინა, რომ თავის სანოლში საშინელ მწერად ქცეულიყო“.

არავინ უწყის, ვის რა და როგორი მომავალი ელოდება. ამიტომაც, ვიქცეთ კეთილი ფიქრებისა და სურვილების ნაყოფად. ჩვენ უნდა ვაქციოთ ჩვენ მიერ რუდუნებით ნაპოვნი ტვირთი ისე მსუბუქად, რომ ჩვენმა შთამომავლობამ არ დაიზაროს მისი ტარება. არ დაგვავიწყდეს, რომ უფალი დღენიადაგ თვალს გვადევნებს. (უთხრა მათ იესომ: „კიდევ მცირე ხანს არის თქვენ შორის ნათელი. იარეთ, სანამ ნათელი გაქვთ, რათა ბნელმა არ მოგიცვათ. ბნელში მოარულმა არ იცის, საით მიდის“). **(იოანე 12-35)**.

მადლობა **მარინე დამენიას** ამ წიგნისათვის, იმისათვის, რომ მოგვცა საშუალება, კიდევ ერთხელ ჩავღრმავებოდით როგორც ისტორიულ, ისე ჩვენი თანამონაწილეობით მომხდარ უმნიშვნელოვანეს მოვლენებს.

**ლავა გვასალია,
მწერალი**

რ ე ც ე ნ ზ ი ა



მურმან თავდიშვილი

საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტისა და მწერლის მარინე დამენიას წიგნი „ზუგდიდი ეროვნულ მოძრაობაში“ (I) გახლავთ დიდი ხნის ფიქრის, შრომისა და რუდუნების შედეგი. ნათელი სტილით შესრულებული ნაშრომი თითქოსდა ხელისგულზე გვილაგებს ეროვნული მოძრაობის წინაშე ზუგდიდელთა ღვაწლს, იმ მწვავე პროცესებს, რომლებიც

მიმდინარეობდა XX საუკუნის საქართველოში, განსაკუთრებით კი — სამეგრელოში. წიგნის პათოსი, შესაძლებელია, გამოვსახოთ ლაიბნიცის აფორიზმით: „ანმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“. თუმცა კი ახლო წარსულზე მსჯელობს, სიღრმისეულად იკვლევს მას, ავტორს მაინც მხედველობიდან არ ეპარება მომავალი. ამიტომაცაა ეს ნაშრომი ჩვენი მძიმე ახლო წარსულიდან მომავალში გადაებული იმედის ხიდი. მწერალი გამოკვეთილად გვიხატავს ეროვნულ გმირებს, ოღონდ არც ის ავიწყდება, თუ რაოდენ დიდ კრიზისშია ჩვენი მსოფლაქემა, ფასეულობები, საერთოდ ჩვენი კულტურა და მისი პირმშო — ცნობიერება. „ადამიანები საკუთარ თავზე მაღლა ვერ აყენებენ ჭეშმარიტებას და საქვეყნო ინტერესებს“ (ლაშა გვასალია). სწორედ აქედან გამომდინარეობს ის ფაქტი, რომ ჩვენივე ხელით მოვკალით ილია და ეს სამნუხარო აქტი გავიმეორეთ ზვიად გამსახურდიას მიმართაც.

მართალია, ეს პირდაპირ არა წერია ამ ნათელ წიგნში, ოღონდ აქ გაშლილ მარტებულ მსჯელობას ამის აღიარებად მივყავართ.

ჟურნალისტი მოგვითხრობს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაზე, „ფოსტით მიღებულ“ რევოლუციაზე (23), დამოუკიდებლობის მესვეურებზე. წიგნის გეზიდან გამომდინარე, ავტორი ამ პროცესში მონაწილე ზუგდიდელების ღვაწლს განსაკუთრებით ფართოდ და გამონწილავით იხიებს, საგანგებოდ მიუთითებს, რომ „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს ხელს აწერს ორი ზუგდიდელი – სპირიდონ კედია და ალექსანდრე ჩიქავა“.

ბარემ აქვე ითქვას: ნარკვევში თავ-თავის ადგილას მოთავსებულია ტექნიკურად კარგად შესრულებული ფოტოები, რაც თხრობას აცოცხლებს, დამაჯერებლობას მატებს.

ავტორი თანამიმდევრულად მსჯელობს დამოუკიდებლობის გამოცხადების, ბრძოლის, გერბისა და ჰიმნის, დამფუძნებელი კრების არჩევნების, რესპუბლიკის დე-ფაქტო და დე-იურე აღიარების შესახებ, შემდგომ კი – ოკუპაციასა და ანექსიაზე.

ეს ამბები ისედაც საკმაოდ ცნობილია, ოღონდ ავტორი მათ აცოცხლებს სამეგრელოსა და, კერძოდ, ზუგდიდის მაზრაში მომხდარი რევოლუციური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის საინტერესო ფაქტებით. ასეთია, მაგალითად, ბრძოლა ენგურის პირას (45), ბრძოლა დამოუკიდებლობის აღდგენისათვის (48); ქვეყნდება 1924 წელს ამ მაზრაში დახვრეტილთა სიები; აქვეა 1924 წლის რეპრესიების ამბები, მათი თანამდევნი მოვლენები (66); რა თქმა უნდა, 1937-38 წლების საშინელებები

დანახულია ზუგდიდის მასშტაბით; ფრიად საინტერესოა და ბევრი სიახლეა მოწოდებული, როცა საქმე შეეხება ქართველ ემიგრანტთა ბრძოლას მედიის საშუალებებით (71); ავტორი ზოგიერთ მასალას ამდიდრებს სხვა ავტორ-მკვლევართა მონაცემებით და ამას პატიოსნად კიდევაც მიუთითებს; ნიგნის მძლავრი ბურჯებია ქვეთავები – „დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ახალგაზრდული ორგანიზაცია“ (75) და „ამიერკავკასიის გათავისუფლების ორგანიზაცია“ (79). ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეები ყველაზე მძლავრად ფეთქავდა სწორედ სამეგრელოში, განსაკუთრებით კი – ზუგდიდში. თითქმის არავის ღვანლი არაა დავინწყებული, ბევრის პორტრეტია დაბეჭდილი. შთამომავლობა მათი სახელებით იამაყებს. დოკუმენტად კი ეს ნიგნი გამოადგება; ზუგდიდელები, ასევე, აქტიურობდნენ დედაენის შესანარჩუნებლად გაშლილ მოძრაობაში, ზუგდიდში მოწყობილ აქციებში, 9 აპრილის ტრაგედიაში, პირველ მრავალპარტიულ არჩევნებში, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაში 1991 წელს (92), პირველ საპრეზიდენტო არჩევნებში (106), რეალური დამოუკიდებლობის განმტკიცებაში; განსაკუთრებით არის ხაზგასმული ეროვნული გვარდიის ჩამოყალიბებაში ზუგდიდელთა ღვანლზე, დამარწმუნებლად არის ნაჩვენები, რომ „აფხაზეთის ომში ყველაზე დიდი დარტყმა ზუგდიდმა მიიღო“ (118). ავტორს საგანგებოდ შეუსწავლია კანონიერი ხელისუფლების აღდგენის პროცესები დასავლეთ საქართველოში (122). აქ მოყვანილია ფაქტები, დასახელებულია სახელები, დაბეჭდილია ფოტოები და მკითხველი ნათელ წარმოდგენას მიიღებს არსებულ ვითარებაზე; ერთობ მძიმე ხვედრი ხვდა წილად ზუგდიდის მასმედიას 1992-1994

ნლებში. სამართლიანი და მართალი სიტყვის დამცველებად მოგვევლინენ გულადი ჟურნალისტები ედემ კვირტია, ნონა ქობალია, გიორგი სიჭინავა, განსაკუთრებით მამულზე თავგადასკვდარი მურმან ზაქარაია.

ცამდე მართალია ავტორი, როცა ბრძანებს: „ეროვნული დაუმორჩილებლობის კომიტეტის ტელევიზიამ „თავისუფალი საქართველო“, გაზეთებმა: „ჯვარცმული საქართველო“, „აღდგომა“, „მესიის მახვილი“ და სხვა მედიასაშუალებებმა დიდი როლი შეასრულეს, ეროვნული ცნობიერების ამალებაში. ისინი იბრძოდნენ იმ იარაღით, რასაც თავისუფალი და მართალი სიტყვა ჰქვია. მათ მიერ დაფიქსირებული ყოველი ფაქტი, კადრი ისტორიამ შემოინახა და დრო შეაფასებს“ (135).

ამავე მასალებში ყურადღებას იქცევს ფაქტი: ავტორი გაბედულად ამხელს რეაქციონერ, ჭკუაგადაბრუნებულ ქართველთა უზნეობას. მაგალითად, მოყვანილია ედიშერ ჩარქაზიას „გმირობის“ მაგალითები (136).

ნარკვევში ნათლად არის ნაჩვენები, თუ რა გაკეთდა ზუგდიდში ზვიად გამსახურდიას ხსნოვნის უკვდავსაყოფად, დასტამბულია სათანადო ფოტოებიც (141-142).

ერთობ საინტერესოა მასალები, რომლებშიც ნაჩვენებია ზვ. გამსახურდიას მუშაობა დასავლეთ საქართველოში და მისი დამხმარეების საქმიანობა. მოსაწონია ისიც, რომ ნაშრომის მეორე ნაწილში ავტორი იმ კონკრეტულ პირებზე წერს, რომელთაც ხელიწააშველეს საქართველოს პირველ და მეორე დამოუკიდებლობას. ესენი არიან: სპირიდონ კედია, ალ. ჩიქავა, გურამ აბსანძე, თენგიზ მამფორია, გურამ მაქაცარია, თამაზ ჟორჟოლიანი, ზაურ ქობალია, ვალტერ შურღაია, გოგი ჩიქავა, ლეო ჩიქავა, ნოდარ ჭითანავა, ბონდო ჯიქია.

ბოდიში იმ გმირებს, რომელთა სახელებიც ავტორს გამორჩა.

ჩვენ გვჯერა: „მათ ხსოვნას ქვეყანა სანთლებად აინთებს!“

ჩვენი საბოლოო დასკვნა ასეთია:

ნიგნი საინტერესო და საჭიროა დღეს, ხოლო უსაინტერესოესი და უსაჭიროესი გახდება ხვალ...

მურმან თავდიშვილი,
ფილოლოგიის დოქტორი, საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი,
ნიკო ნიკოლაძისა და დავით აღმაშენებლის
პრემიების ლაურეატი, თბილისის მერიის
ოქროს მედალოსანი კულტურასა და
განათლებაში შეტანილი წვლილისათვის

РЕЦЕНЗИЯ



Мурман Тавдишвили

Книга заслуженной журналистки и писательницы Марины Дамения „Зугдиди в национальном движении“ (1) является плодом долгого раздумья и огромного труда. Ярким стилем выполненный труд, словно, на ладони кладёт заслугу жителей Зугдиди перед национальным движением, те острые процессы, которые происходили в XX веке в Грузии, особенно в Мегрелии. Пафос книги можно выразить афоризмом Лейбница: „Настоящее всегда чревато будущим“. Хотя автор рассуждает о недавнем прошлом, углублённо исследует его, у него с поле зрения не ускользает будущее. Вот почему этот труд из нашего недавнего тяжёлого прошлого, является перекинутым мостом надежды в будущее. Писательница чётко рисует национальных героев, хотя же не забывает, в каком кризисе находятся наше мировоззрение, ценности, вообще наша культура и её первенец-сознание. „Люди выше себя не ставят истину и интересы страны“ (Лаша Гвасалия). Именно отсюда вытекает тот факт, что мы собственными руками убили Илью и этот печальный акт повторили по отношению Звиада Гамсахурдия.

Правда, об этом прямо не написано в этой яркой книге, но здесь развернутое правдивое рассуждение приводит нас к признанию этого.

Журналистка рассказывает о Демократической респу-

блики Грузии, о революции „полученной по почте“ (23), о лидерах независимости. Вытекая из направления книги, автор особенно широко и скрупулезно исследует заслугу зугдидцев в этом процессе, особо указывает, что „Акт о независимости Грузии был подписан двумя жителями Зугдиди – Спиридоном Кейдия и Александром Чикава“.

Кстати, тут же можно сказать: в очерке технически прекрасно выполненные фотографии, что оживляет процесс повествования, добавляет убедительности.

Автор последовательно рассуждает об объявлении независимости, о флаге и гимне, о выборах учредительного собрания, о признании республики де-факто и де-юре, затем об оккупации и аннексии.

Эти события довольно хорошо известны, только автор оживляет их интересными фактами революционной и национально-освободительной борьбы, произошедшими в Мегрелии, в частности, в Зугдидском уезде. Таков, например, бой на берегу Ингури (45), борьба за восстановление независимости (48); публикуется список расстрелянных в 1924 г в этом уезде; здесь же случаи в период репрессий 1924 года, сопутствующие ими события (66); конечно, ужасы 1937-38гг показаны в масштабах Зугдиди; весьма интересно даётся много новизны, когда дело касается борьбе грузинских эмигрантов посредством медиа (71); некоторые материалы автор обогащает данными других авторов-исследователей и на это честно указывает; сильными устоями книги являются подзаголовки — „Молодежная организация, борющаяся за независимость“ (75) и „Освободительная организация Закавказья“ (79). Всё это указывает на то, что национально-освободительные идеи

сильнее всего бились, именно, в Мегрелии, особенно – в Зугдиди. Почти не забыты заслуги ни одного человека, напечатаны портреты многих. Потомство будет гордиться ими. А эта книга будет служить в качестве документа. Жители Зугдиди также активно принимали участие в движении за сохранение родного языка, в трагедии 9 апреля, в первых многопартийных выборах, за восстановление независимости Грузии в 1991 году (92), в первых президентских выборах (106), участвовали в укреплении реальной независимости. Особенно подчеркнута заслуга зугдидцев в формировании Национальной гвардии, убедительно показано, что „самый большой удар во время войны в Абхазии получил Зугдиди“ (1). Автор тщательно изучила процессы восстановления законной власти в Западной Грузии (122). Здесь приведены факты, названы имена, напечатаны фотографии и читатель получит чёткую картину текущей ситуации. Вообще тяжелой оказалась судьба Зугдидской СМИ в 1992-1994гг. Защитниками справедливости и правды стали отважные журналисты Эдам Квиртия, Нонна Кобаля, Георгий Сичинава, особенно самоотверженный за Родину Мурман Закарая. Автор абсолютно права, когда велит: „Телевидение комитета национального неповиновения „Тависупали Сакартвело“ („Свободная Грузия“), газеты: „Джварцмули Сакартвело“ („Распятая Грузия“), „Агдгома“ („Воскресение“), „Месиис махвили“ („Меч Мессии“) и другие средства СМИ сыграли громадную роль в повышении национального сознания. Они боролись оружием, которое называлось свободным и правдивым словом. История сохранила и время оценит те факты и кадры, которых они зафиксировали“ (135).

В этих материалах внимание привлекает факт: автор смело разоблачает аморализм реакционеров - грузин. Например, приведены „подвиги“ Эдишера Чаргазия (136).

В очерке отчётливо показано то, что сделано в Зугдиди во имя увековечения памяти Звиада Гамсахурдия, напечатаны соответствующие фотографии (141-142).

Вообще интересны материалы, в которых показана работа Звиада Гамсахурдия в Западной Грузии и деловитость его помощников. Одобряется и то, что во второй части труда автор пишет о тех конкретных лицах, не без помощи которых была завоёвана первая и вторая независимость Грузии, к ним относятся: Спиридон Кейдия, Ал. Чикава, Гурам Абсандзе, Тенгиз Мампория, Гурам Макацария, Тамаз Жоржолиани, Заур Кобалия, Вальтер шургая, Гоги Чикава, Лео Чикава, Нодар Читанава, Бондо Джикия.

Автор приносит свои извинения тем героям, имена которых она пропустила невольно.

Мы верим: „Родина увековечит их память“.

Наш окончательный вывод таков:

Книга сегодня является нужным и интересным, а завтра станет ещё нужнее и интереснее. Поэтому её обязательно надо напечатать и издать не только для здесь выведенных персонажей, но и для читателей.

**Мурман Тавдишвили,
Доктор филологических наук,
профессор ГТУ, лауреат премий
Нико Николадзе и Давида Агмашенебели,
владелец золотой медали тбилисской мэрии
Тбилиси за лепту культуры и просвещения**

REVIEW



Murman Tavdishvili

Honored journalist and writer Marina Damenia's book „Zugdidi in National Movement“ (I) is a result of the long and hard work. The work created using clear manner of writing represents obviously the merit of Zugdidi residents in National Movement, those acute processes that took place in the XX century in Georgia, especially in Samegrelo. The pathos of the book can be described using Leibniz's aphorism: „The present is saturated with the past and pregnant with the future“. However, the author thinks about the recent past, examines it in depth, the future does not stay beyond her attention. That is why the work is a „Bridge of Hope“ connecting past and future. The writer introduces national heroes but at the same time she does not forget what a crisis are experiencing our world outlook, our values and in general our culture and its product – consciousness. „People cannot put the truth and country's interests above their own ones“ (Lasha Gvasalia). The results of these are the facts that we killed Ilia ourselves and the same we did with Zviad Gamsakhurdia.

Actually this is not directly written in this lucid book but the reasoning here is to lead us to acknowledge this.

The journalist retells about Democratic Republic of Georgia, the revolution „received by the post-office“ (23) and the leaders struggling for the independence. According to the path chosen in the book, the author more widely and in details investigates the contribution of Zugdidi residents in this process and she particularly mentions that „The Declaration of Independence of Georgia was signed by two Zugdidi residents — Spiridon Kedia and Alexandre Chikava“.

Let us say herein: the technically well-executed photos are placed in the right place that makes the story revive and increases the conviction.

The author step by step discusses and analyzes the Declaration of Independence, flag, emblem and anthem, election of the Constituent Assembly of Georgia, de-facto and de-jure recognition of the republic and then occupation and annexation.

These facts are rather well-known. The thing is that the author introduces the story using interesting facts about the revolutionary and national-liberation struggle in Zugdidi Mazra (uyezd). Such is the fight, for example, on the bank of the river Enguri (45), for the restoration of independence (48); the lists of shot people in Zugdidi Mazra (uyezd) in 1924 is published and the events happening during repressions of 1924 are also given (66); Of course, the horrors of 1937-38 are shown in context of Zugdidi; It is very interesting and a lot of new information about the struggle using media means by Georgian

immigrants' are also given in the book (71); The author enriches some materials with data provided by the various researcher and she honestly names the authors. The most powerful subchapters of the book are „Youth Organization Fighting for Independence“ (75) and „Transcaucasia Liberation Organization“ (79). All this is proof to that the National-Liberation Movement was the most powerful in Samegrelo and especially in Zugdidi. Almost no one's merit has been forgotten, many portraits are printed. The offspring will be proud of them and this book will serve as a document; Zugdidi residents were also actively involved in the movement fighting to save mother language, in actions held in Zugdidi, in the April 9 tragedy, in the first multiparty elections, in 1991 in restoration independence of Georgia (92), in the first presidential election (106), to strengthen real independence; Zugdidi residents role in the formation of the National Guard in Zugdidi is especially highlighted. It is assured that „Zugdidi received the biggest blow in the war in Abkhazia“ (118). The author carefully studied the process of restoring the legitimate government in Western Georgia (122). The facts are given, the names are mentioned, and the photos are printed, so the reader will get a clear picture of the situation. The hardest was the fate of mass media in Zugdidi in 1992-1994. The brave journalists Edem Kviria, Nona Kobalia, Giorgi Sichinava, and especially committed to his motherland Murman Zakaraia were the most prominent fair speech defenders of that time.

The author is absolutely true when she claims: „Television of the National Disobedience Committee „Independent Georgia“, the newspapers: the „Crucified Georgia“, the „Easter“, the „Sword of the Messiah“ and other media means played a big role in raising national awareness. They fought with the weapon that is called a free and fair word. History has preserved every facts they had fixed and the time will evaluate them“ (135).

In the same materials one fact attracts our attention: the author boldly exposes the immorality of the reactionary, disoriented Georgians like the „heroic deeds“ of Edisher Chargazia (136).

The book clearly shows what was done to eternalize the memory about Zviad Gamsakhurdia. The Corresponding photos are also included in the book (141-142).

Rather interesting are the materials showing Z. Gamsakhurdia's work in West Georgia and his supporters deeds. It is important that in the second part of the work the author writes about those people concretely who supported Georgia's independent on the first and second time, namely: Spiridon Kedia, Alexandre Chikava, Guram Absandze, Tengiz Mamporia, Guram Makatsaria, Tamaz Zhorzholiani, Zaur Kobalia, Valter Shuraghaia, Gogi Chikava, Leo Chiqava, Nodar Chitanava and Bondo Jikia.

Our apologizes to those heroes who are not mentioned in the book.

We believe that motherland will ever forget their names.

Our final conclusion is the following:

The book is interesting and needed today, and it will become much more interesting and valuable tomorrow...

**Murman Tavdishvili,
Doctor of Philology, GTU professor,
Laureate of Niko Nikoladze and
David Aghmashenebeli prizes,
owner of Gold Medal of Tbilisi City Hall for
contribution in culture and education**

ნაწილი პირველი

ისტორიული ექსკურსი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა

პირველი რესპუბლიკა საქართველოს ტერიტორიაზე შეიქმნა 1918 წლის 26 მაისს, რუსეთის იმპერიის დაშლისა და 1917 წლის რევოლუციის შემდეგ. ამას წინ უსწრებდა ფიქრი, მოქმედება და ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. 1914 წელს რუსეთის იმპერიისგან გათავისუფლებისათვის მებრძოლმა ქართველებმა „**საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი**“ შექმნეს, რომელიც გერმანიასა და ოსმალეთთან თანამშრომლობდა. ომში გამარჯვების შემთხვევაში ეს სახელმწიფოები საქართველოს დამოუკიდებლობას ჰპირდებოდნენ.

1917 წლის გაზაფხულზე, რუსეთში მონარქიის დამხობის შემდეგ, მეფისნაცვალმა **ნიკოლოზ რომანოვმა** თავისთან მიიწვია თბილისის ქალაქის თავი **ალექსანდრე ხატისოვი**, პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოების წარმომადგენლები და განუცხადა, რომ იგი ტოვებდა თბილისს და სთხოვდა, ეზრუნათ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასა და ქვეყნის უშიშროებაზე. რუსეთის იმპერიის მოულოდნელმა აღსასრულმა ქართულ პოლიტიკურ ელიტაში დაბნეულობა გამოიწვია. **ნოე ჟორდანიას** სიტყვებით, მათ რევოლუცია „ფოსტით მიიღეს“.

რუსეთის დროებითმა მთავრობამ კავკასიაში დანიშნა ხელისუფლების სამხარეო ორგანო — ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომისარიატი (ოზაკომი), რომელიც ეროვნული და პარტიული პრინციპით იყო შექმნილი, რეალურად კი ორხელისუფლებიანობა დამყარდა. ოზაკომის

გვერდით არსებობდა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები, რომლის თავმჯდომარედ **ნოე ჟორდანია** აირჩიეს.

1917 წლის აპრილს ქართული პოლიტიკური ძალების ორგანიზების მიზნით მოიწვიეს საქართველოს პირველი და მეორე ინტერპარტიული კრებები. კრებებზე წარმოდგენილი იყვნენ სოციალ-დემოკრატები, ეროვნულ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები, სოციალისტ-რევოლუციონერები. მიუხედავად უთანხმოებისა, ინტერპარტიულმა კრებებმა სამოქმედო პროგრამის განსაზღვრა შეძლეს. ინტერპარტიული საბჭოს თავმჯდომარე გახდა **აკაკი ჩხენკელი**. ქართული პოლიტიკური ელიტა მომავლის ძიებაში იყო. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ადგილობრივმა პოლიტიკურმა ძალებმა არ ცნეს საბჭოთა ხელისუფლება. 1917 წლის 19 ნოემბერს შედგა საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა, რომელსაც ესწრებოდნენ ყველა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლები. ყრილობამ აირჩია საქართველოს ეროვნული საბჭო, რომლის თავმჯდომარე **ნოე ჟორდანია** გახდა. ეროვნული საბჭო საქართველოს მთავრობის ფუნქციას ასრულებდა. 15 ნოემბრიდან თბილისში ამოქმედდა ამიერკავკასიის კომისარიატი — თავმჯდომარე **ევგენი გეგეჭკორი**. ამიერკავკასიის კომისარიატის შექმნით ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ პოლიტიკოსებს სურდათ წინ აღდგომოდნენ საბჭოთა რუსეთის მთავრობის მიერ ამიერკავკასიის სამხარეო ხელისუფლების ორგანოს დანიშვნას, ანუ ამიერკავკასიაზე საბჭოთა რუსეთის მთავრობის იურისდიქციის გავრცელებას.

რუსეთის არმია ბოლშევიკური აგიტაციის შედეგად

უმართავ ძალად იქცა. საბჭოთა რუსეთის მთავრობამ გადაწყვიტა სამხედრო ძალით მოეხდინა ამიერკავკასიის ოკუპაცია. 1918 წლის იანვარში კავკასიის ფრონტზე განლაგებული არმიის ნაწილებმა ფრონტის ხაზები მიატოვეს და თბილისისკენ დაიძრნენ. საქართველოს ეროვნულმა საბჭომ, ახალშექმნილმა ქართულმა რეგულარულმა ჯარმა (პირველმა ქართულმა კორპუსმა) და სახალხო გვარდიის ნაწილებმა შეძლეს რუსეთის არმიის შეჩერება.

ამიერკავკასიის კომისარიატმა ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობები არ ცნო. 1918 წლის პირველ აპრილს ოსმალეთმა ბათუმის ოლქი, გურიის ნაწილი და სამცხე-ჯავახეთი დაიკავა. 1918 წლის 22 აპრილს ამიერკავკასიის სეიმმა გამოაცხადა დამოუკიდებელი სახელმწიფოს, ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის, შექმნა. ამიერკავკასიის დელეგაცია ოსმალეთის დელეგაციასთან მოლაპარაკებისათვის გაემგზავრა ბათუმში, სადაც დელეგაციათა ერთადერთი შეხვედრა 1918 წლის 11 მაისს გაიმართა. გენერალმა **ოტო ფონ ლოსომ აკაკი ჩხენკელს** განუცხადა, რომ შექმნილ ვითარებაში გერმანიის იმპერია ოსმალეთის აგრესიისგან ამიერკავკასიის ფედერაციას ვერ დაიცავდა, ხოლო, თუ ქართველებს გერმანიის მფარველობა სურდათ, უნდა გამოეცხადებინათ დამოუკიდებლობა. გენერალი **ოტო ფონ ლოსო** ქართველებს ჰპირდებოდა, რომ ამ შემთხვევაში იგი იშუამდგომლებდა გერმანიის იმპერიის მთავრობის წინაშე საქართველოს დაცვის თაობაზე.

დამოუკიდებლობის გამოცხადება

1918 წლის 24 მაისს ეროვნული საბჭოს რეზიდენციაში გაიმართა ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა **ნოე ჟორდანიას** თავმჯდომარეობით. კრებაზე ნოე ჟორდანიამ დამსწრეთ გააცნო ბათუმიდან **აკაკი ჩხენკელის** მიერ 1918 წლის 23 მაისს გამოგზავნილი წერილის შინაარსი, სადაც იგი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დაჩქარებას ითხოვდა. ნოე ჟორდანიამ დააყენა წინადადება: საქართველოს დამოუკიდებლობა გამოეცხადებინათ მას შემდეგ, რაც სეიმი ამიერკავკასიის ფედერაციას დაშლილად გამოაცხადებდა.

1918 წლის 26 მაისს კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილ რეზიდენციაში ამიერკავკასიის სეიმის უკანასკნელი სხდომა გაიმართა, რომელმაც ნაშუადღევის 3 საათზე ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა დაშლილად გამოაცხადა. იმავე დარბაზში ნაშუადღევის 4 საათსა და 50 წუთზე **ნოე ჟორდანიას** თავმჯდომარეობით საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომა გაიხსნა. მას 42 წევრი და 36 კანდიდატი ესწრებოდა. **ნოე ჟორდანია** სიტყვით გამოვიდა, სადაც აღნიშნა: „**საქართველოს ახალი სახელმწიფო, რომელიც დღეს აღდგება, არ იქნება მიმართული არც ერთი ხალხის, არც ერთი სახელმწიფოს წინააღმდეგ. მისი მიზანია დღევანდელი ისტორიული ქართველებისგან დაიფაროს თავისი თავი**“. სიტყვის დასრულების შემდეგ წაიკითხა „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“. ამ დამოუკიდებლობის აქტს სხვებთან ერთად ხელს აწერს ორი ზუგდიდელი: **სპირიდონ კედია და ალექსანდრე ჩიქავა**. ეროვნულმა საბჭომ დამოუკიდებლობის აქტი ერთხმად დაამტკიცა.



საქართველოს დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა.
1919 წლის 12 მარტი. თბილისი.

ამავე სხდომაზე დაამტკიცეს სამინისტროების რაოდენობა და მთავრობის პერსონალური შემადგენლობა. ასევე მიღებულ იქნა გადანყვეტილება, საქართველოს ეროვნული საბჭოსთვის ეწოდებინათ საქართველოს პარლამენტი. დამოუკიდებლობის აქტი შემდგომ დაადასტურა და ოფიციალურად გამოსცა საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ პირველსავე სხდომაზე, 1919 წლის 12 მარტს. დამოუკიდებლობის აქტში აღნიშნული იყო:

1. ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენული უფლებების მატარებელია, ხოლო საქართველო — სრულფასოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფო.

2. დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმაა დემოკრატიული რესპუბლიკა.

3. საერთაშორისო ომებში საქართველო მუდმივად ნეიტრალური სახელმწიფოა.

4. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანაბრად უზრუნველყოფს ყველა

მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, მიუხედავად მისი ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა.

5. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ქმნის ყველა პირობას მის ტერიტორიაზე მცხოვრები ერების თავისუფალი განვითარებისათვის.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანო იყო პარლამენტი (დამფუძნებელი კრება), ხოლო აღმასრულებელი ორგანო — მინისტრთა საბჭო (მთავრობა), რომელიც ანგარიშვალდებული იყო პარლამენტის წინაშე. 1918 წლის მთავრობა კოალიციური გახლდათ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი მთავრობის შემადგენლობა ასეთი იყო: მთავრობის თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი — **ნოე რამიშვილი**; საგარეო საქმეთა მინისტრი — **აკაკი ჩხენკელი**; სამხედრო მინისტრი — **გრიგოლ გიორგაძე**; ფინანსთა, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი — **გიორგი ყურული**; იუსტიციის მინისტრი — **შალვა ალექსი-მესხიშვილი**; სახალხო განათლების მინისტრი — **გიორგი ლასხიშვილი**; მინათმოქმედებისა და შრომის მინისტრი — **ნოე ხომერიკი**; გზათა მინისტრი — **ივანე ლორთქიფანიძე**. 1918 წლის ივნისში მთავრობის თავმჯდომარე გახდა **ნოე ჟორდანიას**.



სატერაველოზ დამოუკიდებლობა

სატერაველოს დამოუკიდებელი ერება—არსებული ჰირდაზირი, თანსწორი, სეროველითი, ფორული და ჰრო-პირციონალური საარსებო სისტემით ორთვე სქესის მოქალაქეთა შერ,—თავის ჰროველსვე სსდომპე, 1919 წ. მაისის 12-ს, ქვეჩნის და ისტორიის წინამე აღიარებს, რომ ის სვესებით დღეს და ადსურუგებს სატერაველის ეროვნულ საბჭოს შერ 1918 წ. მაისის 26-ს, ნამუდღვეის 5 ს. და 10 წ. თბილისში გ-პიტესსველეს სატერაველის სატერაველებობის შერვე აქტს.

სატერაველოზ დამოუკიდებლობის ატკტი

„მთვე სვესეთი კანკალიზის სატერაველი ოქსიბი, როვე დამო-უკიდებელი და თვესველი სვესელო.“
„შერბატე სვესეთი დისხრეს ვევე შროა შერსიკან შერბრებელი სატერაველი თვის წინაი შერბი რესუს იმ ჰინობით, რომ რველი ვევე-შვილი თვი სატერაველი კანტე შერსიკან დავე.“
„რვესი დიდი რველითვის შველიბომ რვესიბი თბილი მინავთი წე-პილვე შვესს, რომ შველი ჰინობი ორთვი სრულად დიბილა და რვესი ვინვე დვესეო ორტერეხი.“
„დინე რ თვისი მღვირის ამბე, სატერაველიმ და მინამ ვინვე ამერ-კეცხიბი თვი დღეს თვე სვერბი სვესეთის კეცხილი და სვერბისა და ვე-სავერი ორტერეხე შვესსს, შერბი კანტე მთავი ჰევეთვითი ორტერეხის ვინა შერბრებელი კეცხილი დინევი და შო ამერეკეცხისი პოლიტერეხი მთავი-წინამე დიბილა.“
„სატერაველი არს დვესეული შველიბობის ვეველიბე მთბიბე, რომ სატერაველი სვესეთი სატერაველოვინევი ორტერეხი შვესსს, შინი სვე-ღვესი კანტე მთავის შერ დიბრბისისვე თვი კეცხილისის და დამოუკიდებ-ელ თბილისის ტერევი სვესეული თავს.“
„მთვე თინამე სატერაველის ეროვნული საბჭო, 1917 წლის ნოემბრს 22-ს ორველი სატერაველის ეროვნული ერების შერ, დღეს ატკვიებს:

- 1) ამერბინ სატერაველის ხალხი სვესეული ვეველიბი შერბრებელი და სატერაველი სრულველიბითი დამოუკიდებელი სვესელო.
- 2) დამოუკიდებელ სატერაველი პოლიტერეხი ორბ-ფორტერეხი რე-სვესეო.
- 3) სვერბობისის ობინობის სატერაველი მღვიბი სვერბილი სვე-სელო.
- 4) სატერაველის ემერტერეხი რვესელებს სვერ სვერბობისის ორბ-ობის ვევე წვესინ კოლექტიბურ კანკალიზის დამბრის, კანკალიზი-თი მინამე რ სვესელოვინევი და ვინამე.
- 5) სატერაველის ემერტერეხი რვესელები თვის სვესელები თანს წინამე ვინამევესეთის ვევე მთბიბისის სობიბელო და პოლიტერეხი ვევესეს კანკალიზილი კრეფისის, სვესელოვინის, სოციალურ შვერბრბისის და სვესის.
- 6) სატერაველის ემერტერეხი რვესელები კანკალიზის თბიბეული ობ-რბის კეცხის მს ტერეხისა მთბიბე ვევე ორ.
- 7) დამოუკიდებელ ერების შერბრებელ მთავის სატერაველის შრო-ვეკეცხის სვესე ვევესი ეროვნული საბჭო, რომელი ვევესეული ოქსიბი ეროვნულ ვერე-სობია წინამევესელები, და რვესითი მთავისი სვესისსველი საბჭის წინამე.

Handwritten signatures and names in Georgian script, including names like 'მ. ნაგავანი', 'მ. გვილაძე', and 'მ. მარტოვილი'. The text is arranged in columns and includes various names and possibly dates or locations.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროშა, გერბი და ჰიმნი

დროშის შექმნისას გამოიყენეს სხვადასხვა დროს საქართველოში არსებული ჰერალდიკური ფერები: შავი (ბაგრატიონთა საგვარეულო), თეთრი (სახელმწიფო) და შვინდისფერი (ამირსპასალარის). ამრიგად, დროშაც ამთლიანებდა ქვეყნის ისტორიას... ოღონდ, მას ერთი თვისებაც გააჩნია: საქართველოს სამფეროვანი დროშა ერთგვარი დრამატიზმის მატარებელია და ამ თვალსაზრისით სრულიად მიესადაგება იმ მძიმე ხვედრს, რაც ჩვენს სახელმწიფოს არგუნა ბედმა XX საუკუნეში. ეს დაღვრილი სისხლი და ჭირ-ვარამი, რომელიც საქართველომ თავისი წმინდა ქვეყნის დაცვისთვის გადაიტანა გამოისახება შესაბამისად წითელ და შავ ფერებში. ასე რომ, შავი, თეთრი და წითელი ეს ის ფერებია, რომელნიც სიმბოლურად გამოსახავენ ქართველი ერის ისტორიულ ყოფას. ჰო, კიდევ ის, რომ ძველ ქართულ მითოლოგიაში სამყარო ამ სამ ფერებში იყო წარმოდგენილი ზესკნელი — თეთრი, შუასკნელი — წითელი და ქვესკნელი — შავი. ანუ ქართველის ცნობიერება ამ სამ ფერში შლიდა და წარმოიდგენ-

და სამყაროს. აქედანვე ჩანს, თუ რა საკრალური და ღრმა დატვირთვის მნიშვნელობის მატარებელია ეს ფერები ქართველთათვის ოდითგანვე. (წყარო:<http://gametv.ge/forum/index.php?showtopic=1856> და რგობრივი ენციკლოპედია, სიმბოლოები, ორდენები, გერბი და დროშები...).

* * *




საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი მიღებულია საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ 1918 წლის 27 დეკემბერს.

გერბი შექმნილია საქართველოში მოღვაწე მხატვარ იოსებ შარლემანის მიერ, ივანე ჯავახიშვილის კონსულტაციით.

გერბი წარმოადგენს ქართულ (მრგვალ) ფარს, რომელიც მოთავსებულია ქართულსავე, ორნამენტირებულ 7-ქიმიან ვარსკვლავში. ფარზე, დაბლა გამოსახულია შავ ფერში მთა (კავკასიონი), რომელზეც თეთრი მხედარია აღმართული, შეყენებულ თეთრსავე რაშზე (წმინდა გიორგი). თუმცა მას არ აქვს ტრადიციული შარავანდედი თავზე და ის არავის ებრძვის (მაგ. გველეშაპს) — როგორც თავისუფალი, მშვიდობიანი სახელმწიფოს სიმბოლო. გერბზე თეთრი გიორგის გამოსახვის წესების ავტორები: დიმიტრი შევარდნაძე და ივანე ჯავახიშვილი.

გერბი რესპუბლიკის სიმბოლო იყო საქართველოს გასაბჭოებამდე, ხოლო შემდეგ საქართველოს მთავრობის ოფიციალური ინსიგნია ემიგრაციაში. (წყარო:[ka.wikipedia.org/wiki/ საქართველოს სახელმწიფო გერბი](http://ka.wikipedia.org/wiki/საქართველოს_სახელმწიფო_გერბი)).



კომპოზიტორმა **კოტე ფოცხვერაშვილმა** თავისივე ტექსტის გამოყენებით შექმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნი — „დიდება“.

**დიდება ზეცით კურთხეულს!
დიდება ქვეყნად სამოთხეს!
ტურფა ივერსა,
დიდება ძმობას, ერთობას!
დიდება თავისუფლებას!
დიდება სამარადისო
ქართველ მხნე ერსა!
დიდება ჩვენსა სამშობლოს!
დიდება ჩვენი სიცოცხლის
მიზანს დიადსა!
ვაშა! ტრფობასა,სიყვარულს,
ვაშა! შვებასა, სიხარულს,
სალამი! ჭეშმარიტების,
შუქ — განთიადსა.**

ამ დროისათვის საქართველოს ჩრდილოეთით რუსეთი და ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა რესპუბლიკა ესაზ-


ღვრებოდა; სამხრეთით — თურქეთი, სომხეთი და აზერბაიჯანი. მოსახლეობა შეადგენდა 2,5 მლნ-ს, ფართობი — 107,600 კვ.კმ-ს. დედაქალაქი — თბილისი. სახელმწიფო ენა — ქართული.

დამფუძნებელი კრების არჩევნები

1919 წლის თებერვალში ჩატარდა დამფუძნებელი კრების არჩევნები, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 60%-მა. საჭირო ხმების რაოდენობა მოიპოვა ოთხმა პოლიტიკურმა პარტიამ: სოციალ-დემოკრატიულმა, ეროვნულ-დემოკრატიულმა, სოციალისტ-ფედერალისტურმა, სოციალისტ-რევოლუციურმა.

ეროვნული საბჭოს შემცველი ახალი საკანონმდებლო ორგანოს — დამფუძნებელი კრების — პირველი სხდომა ჩატარდა 1919 წლის 12 მარტს. დამფუძნებელ კრებაზე წარმოდგენილი იყო 130 დეპუტატი, მათგან 109 სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან, 8 ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან, 8 სოციალისტ-ფედერალისტური პარტიიდან, 5 სოციალისტ-რევოლუციური პარტიიდან.

არსებობის ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში ქვეყნის ხელმძღვანელობამ შეძლო მთელი რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარება: დაადგინა რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრები, ქართული ენა გამოაცხადა სახელმწიფო ენად, განახორციელა სასამართლო რეფორმა, ჩამოაყალიბა ეროვნული გვარდია და რეგულარული არმია, ჩამოაყალიბა ადგილობრივი მართვის ორგანოები, პროფესიული კავშირები, მიიღო რესპუბლიკის კონსტიტუცია.



დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი.
კონსტანტინე ჯაფარიძე, გრიგოლ ნათაძე, ექვთიმე თაყაიშვილი,
ალექსანდრე ლომთათიძე, სიმონ მდივანი, ქრისტინე შარაშიძე.



დამფუძნებელი კრების წევრები.
1918 წელი. თბილისი.

მძიმე რჩებოდა ქვეყნის ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობა, რასაც აქტიურად იყენებდნენ ოპოზიციური ძალები, უპირველეს ყოვლისა, ბოლშევიკები. მათი ხელშეწყობით განხორციელდა მუშათა გაფიცვები და გლეხთა აჯანყებები საქართველოს რეგიონებში. მიუხედავად ამისა, მკაცრი პოლიტიკური დისციპლინის წყალობით თავიდან იქნა აცილებული რუსეთის ტერიტორიიდან სამოქალაქო ომის გავრცელების საშიშროება.

ამ პერიოდში ზუგდიდის სამაზრო ერობის (საკრებულო) თავმჯდომარეები იყვნენ: ლეო შენგელია (1918-1919 წწ.) და ვლადიმერ ვეკუა (1920-1921 წწ.).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დე-ფაქტო აღიარება

ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო, რომელმაც დე-ფაქტო დასტური მისცა საქართველოს დამოუკიდებლობას, თურქეთი იყო (1918 წლის 3 ივნისი).

საქართველოს დამოუკიდებლობა დე-ფაქტო ცნეს შემდეგმა სახელმწიფოებმა:

თურქეთი — 1918 წლის 3 ივნისი; გერმანია — 1918 წლის 10 ივნისი; ავსტრია — 1918 წლის 18 ივნისი; არგენტინა — 1919 წლის 15 სექტემბერი; იტალია — 1920 წლის 12 იანვარი; საფრანგეთი — 1920 წლის 12 იანვარი; დიდი ბრიტანეთი — 1920 წლის 12 იანვარი; იაპონია — 1920 წლის 7 თებერვალი; ჩეხოსლოვაკია — 1920 წლის 8 აპრილი; რუსეთი — 1920 წლის 7 მაისი; ბელგია — 1920 წლის 26 აგვისტო; პოლონეთი — 1921 წლის 28 იანვარი.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დე-იურე აღიარება

მიუხედავად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური ინსტიტუტების სტაბილურობისა, საბჭოთა რუსეთი და დასავლეთის ქვეყნები თავს იკავებდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიული აღიარებისაგან. ისინი ქართულ საკითხს რუსეთთან ურთიერთობების კონტექსტში განიხილავდნენ და თავს არიდებდნენ მასთან ურთიერთობების გართულებას.

მდგომარეობა შეიცვალა მას შემდეგ, რაც თვით რუსეთმა 1920 წლის 7 მაისს დე-იურედ ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა.

საქართველოს დამოუკიდებლობა დე-იურე აღიარეს შემდეგმა სახელმწიფოებმა (დამოუკიდებლობის აღიარება საქართველოს ოკუპაციის შემდეგაც გრძელდებოდა):

თურქეთი — 1918 წლის 3 ივნისი; რუსეთი — 1920 წლის 7 მაისი; გერმანია — 1920 წლის 24 სექტემბერი; შვეიცარია — 1920 წელი; ბელგია — 1921 წლის 27 იანვარი; საფრანგეთი — 1921 წლის 27 იანვარი; ინგლისი — 1921 წლის 27 იანვარი; იტალია — 1921 წლის 27 იანვარი; იაპონია — 1921 წლის 27 იანვარი; ავსტრია — 1921 წლის 17 თებერვალი; რუმინეთი — 1921 წლის 18 თებერვალი; ჰაიტი — 1921 წლის 9 მარტი; ლიბერია — 1921 წლის 28 მარტი; მექსიკა — 1921 წლის 14 აპრილი; პანამა — 1921 წლის 26 აგვისტო; სიამი — 1921 წლის 20 ნოემბერი; ლუქსემბურგი — 1922 წლის 23 თებერვალი.

დამოუკიდებლობის გზაზე

(ამონარიდი რამდენიმე გაზეთიდან)

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას თითქმის ყველა ქვეყნის წამყვანი მედია გამოეხმარა. გთავაზობთ ორი წერილიდან ამონარიდს, რომელიც გაზეთ „საქართველოს“, 1918 წ. №106-ში იყო განთავსებული:

სომხური გაზეთი „ჰორიზონტი“ (№100) წერს:

„საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა. ეს გადამწყვეტი ნაბიჯია ქართველი ერის მხრით, მაგრამ ის არ არის იძულებითი, გარეშე ძალდატანებით შესრულებული აქტი, ის არის ერის საერთო სულიერ განწყობილებასთან შეთანხმებული მის ხელმძღვანელ ორგანოებისა და პოლიტიკურ პარტიების თავისუფალ ნებისყოფის გამომჟღავნება. ასე ესმით მათ თავისი ერის რეალური ინტერესების დაცვა და დამოუკიდებლობა მათ დღევანდელი მომენტის აუცილებელ მოთხოვნილებად მიაჩნიათ...“

გერმანული გაზეთი „aukasische Post“:

„საქართველოვ, ძვირფასო მეფის წულო! ტკბილია შენი ბურანი, სიზმარი შენი სიცხადეს აღემატება. სინამდვილე წინ უსწრებს შენს ტკბილ სიზმარს. მზე-ჭაბუკმა ამბორ გიყო და შეგიკრთო ძილი ახალ ცხოვრებისთვის. და აი შენ წარსდექი მთელის შენის სიტურფით მათ წინაშე, ვისაც ეგონა რომ სამარადისოდ მიიხუჭა შენი თვალები.

ასრულდნენ წადილნი შენნი! აგისრულდეს გულის მურაზი. იცოცხლე, აღყვავდი, განვითარდი, იყავ ბედნიერ მრავალჟამიერ! სიბნელიდან სინათლისკენ! გაგიმარჯოს საქართველო“.

1918-1920 წლის 26 მაისის დღესასწაულები ზუგდიდში

1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას ზუგდიდელები დიდი ზეიმით შეხვდნენ. ამის შესახებ ცნობები იმდროინდელ გაზეთებშია დაცული.

1919 წლის 26 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით 18 აპრილის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა“ გვამცნობს, რომ „...16 აპრილს დამფუძნებელი კრების დარბაზში შედგა კრება ხელოვნების კომისიის მთელი შემადგენლობისა. კრების მიზანი იყო გაეთვალისწინებინა ის პირობები და საშუალებანი, რომელშიაც შესაძლებელი იყო ედღესასწაულა ქართველ ერს და კერძოთ, ქ. ტფილისის დამოუკიდებლობის წლისთავი...

კრება პრინციპულად თანახმაა იმ თეზისებისა, რომელიც წამოაყენა ბ. პ. საყვარელიძემ... უნდა იქნას ნამდვილი მოქალაქეობრივი ეროვნული დღესასწაული, რევოლუციურ ფონზე ამოქარგული. დღესასწაულში უნდა მიიღონ მონაწილეობა რაც შეიძლება ფართო მასებმა. ტფილისში დღესასწაულს ხელმძღვანელობს დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისია, ხოლო პროვინციებში ერობები, ქალაქის თვითმმართველობა და სადაც ასეთები არ არიან — ან ინტერპარტიული კომისია, ან ცნობილი საზოგადო დაწესებულება. ხელოვნების კომისია პროვინციას ვერავითარ მატერიალურ დახმარებას ვერ მისცემს და ამ მხრივ, დღესასწაულის მატერიალური მხარე დამოკიდებულია ადგილობრივ მოქალაქეთა და ორგანიზაციათა ღირსება-შეგნებაზე“.

ზუგდიდმა, როგორც ყოველთვის, აქაც გამოიჩინა თავი

და ეს დღე შესანიშნავად აღნიშნა, რისი დამადასტურებელია გაზეთ „ერთობა“ 1919 წლის №122-ში განთავსებული წერილი:

„საქართველოს დამოუკიდებლობის წლის თავი ზუგდიდში შესანიშნავად ჩატარდა. დღესასწაულში მონაწილეთა რიცხვი 15 000-მდე იყო. წინა დღეებში გამუდმებით წვიმდა, 26 მაისს კი მშვენიერი დარი დადგა. თითქოს, ბუნებაც ხელს უწყობდა ხალხის ზეიმს, და აუარებელ ხალხმა სადღესასწაულოთ მორთულმა დროშებით და სიმღერებით დილიდანვე იწყო დენა სოფლებიდან. ქალაქი ამ დროს წარმოცა სურათს წარმოადგენდა. ის სულ ერთიანად იმალებოდა ეროვნულ დროშებით აფერადებულ გირლიანდებში. სოც. დემ. ბიურო კი სულ ერთიანად ყვავილებით იყო მორთული და მის აივანს ამშვენებდა ცოცხალი ყვავილებით კოხტად გაკეთებული საქართველოს ღერბი. დილის 10 საათზე ხალხმა თავი მოიყარა ყოფილ სამეგრელოს მთავრის სასახლის წინ. აქ ერობის თავმჯდომარე ლეო შენგელაიამ განუმარტა ხალხს დღის მნიშვნელობა და სიდიადე. აღტაცებულმა ხალხმა ვაშას ძახილით და სიმღერით უპასუხა მას. ამის შემდეგ ყველა გაემართა ქუჩებისკენ. წინ, თეთრში გამოწყობილი, ყვავილებით ხელში, პატარა ბავშვების წრეში, მიდიოდა ორი ქალი „რევოლუციის“ და „დამოუკიდებელი საქართველოს“ სიმბოლოს ნიშნებით. ამათ მისდევდა მობურთავენი, მოჭიდავენი, ფეხის მარულაში მონაწილენი, გვარდია და რაზმები, პარტიები დროშებით, ხალხი და რაზმი კოხტად გამონწყობილი ცხენოსნებისა. აქა-იქ გაისმოდა სიმღერა. 12 საათზე ბალის წინ გაიმართა ფეხის და ცხენების მარულა და ჯირითი. ნაშუადღევს 4 საათზე ბურთის თამაში. მთელი ზღვა ხალხი მონაწილეობას

იღებდა თამაშში. შემდეგ უკვე, სადამო ჟამს, სასახლის
ნინ მოედანზე გაიმართა ჭიდაობა, ფერხული და ცეკვა-
თამაში. 10 საათზე ხალხი ნელ-ნელა დაიშალა კმაყოფილი
და ნასიამოვნები.

„რა კარგია! ასეთი დღე ბევრი ხანია არ გვახსოვს, ასე რა
ხანია, ჩვენ ბედშავეებს არ გვიმხიარულებია. სიყმანვილე
გაგვახსენდა.“ ამ ხალხში აქა-იქ იტყოდნენ თვალეზა-
ბრწყინებული, მომცინარე მოხუცებულები. სიმღერა და
ხმაურობა შუალამემდე გაისმოდა მთელს ქალაქში. — ვ.
ჯ-ნია“. (სტილი დაცულია).

გაზეთი „ერთობა“, 1920 წელი, №133. „ზუგდიდი.
26 მაისის დღესასწაულმა ტრადიციული ხასიათი მი-
იღო. ის გახდა უდიდეს ეროვნულ დღესასწაულად; ან რა
იქნება ერისათვის უფრო ძვირფასი თავისუფლებაზე,
დამოუკიდებლობაზე! ამას კი ჩაეყარა საფუძველი 26
მაისს. ამიტომ არის, რომ ქართველი ერი ამ დღეს ზეიმობს
სულითა და გულით, ამიტომ არის, რომ ის დიდი აღტკი-
ნებით, აღტაცებით ეგებება ამ დღეს. ქართველმა ხალხმა
შეიგნო 26 მაისის მნიშვნელობა აგრეთვე ინტერნაციონა-
ლური თვალსაზრისით. ამ დღეს ის უყურებს, რევოლუცი-
ის განმტკიცების დღეთ, რასაც პატარა მნიშვნელობა აქვს
საერთაშორისო თვალთახედვის ისრით.

ქ. ზუგდიდში ამ დღესასწაულის მოწყობის ინიციატივა
მაზრის ერობის გამგეობამ მიიღო თავისთავზე. მან შეად-
გინა კომისია ზუგდიდში არსებულ სხვადასხვა საზოგადო
და პარტიულ ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან
და ადრევე შეუდგა სამზადისს. დღესასწაულს რომ მისც-
ემოდა ნამდვილი ეროვნული ხასიათი, პროგრამა თითქმის
მხოლოდ და მხოლოდ ეროვნული, ტრადიციული გასარ-
თობებიდან შესდგებოდა, როგორც არის: მარულა ცხ-
ენის, ფეხის, ჯირითი, ჭიდაობა, ბურთაობა და სხ.

დღის 10 საათიდან ხალხმა იწყო დენა ერობის ეზოში. მოწაფეები, გვარდია, ადგილობრივი და სოფლიდან ჩამოსულები სამხედრო ნყოფით, დროშებით და სიმღერებით თავს იყრიდა აქ, როგორც სხივები სინათლის ფოკუსში.


12 საათზე დაიწყო მანიფესტაცია, პროცესია გაემართა ქალაქში, მათ წინ მიუძღვებოდა დამოუკიდებლობის ემბლემა — თეთრ ცხენზე მხედარი შუბით და ფარით და თავისუფლების ემბლემა ფეხით — შესაფერისად მორთული ქალიშვილი. ერობის ეზოს კარებთან დამსწრეთ მიესალმა სამაზრო ერობის გამგეობის თავმჯდომარის ამხ. ვლ. ვეკუა, რომელმაც გააცნო მას ამ დღესასწაულის შინაარსი და მნიშვნელობა მოკლე სიტყვაში. პროცესიამ შემოუარა ქალაქის ირგვლივ უმთავრეს ქუჩებით და შემდეგ გაიმართა ზეიმი. ხალხის მხიარულებას საზღვარი აღარ ჰქონდა. საზოგადოება ჯგუფ-ჯგუფად გროვდებოდა ხოლმე აქა-იქ და ცეკვა-თამაშში ატარებდა დროს. ჩვენდა საბედნიეროდ, ქალაქს შუა მდებარეობს მინდორი და ამან ხელი შეუწყო ხალხის საზეიმო სულიერ განწყობილების დაკმაყოფილებას. ყველას სახე უბრწყინავდა, ყველა გრძნობდა ამ დღის არაჩვეულებრივობას, მის სიდიადეს. ამ ზეიმის მაცურებელი არაქართველი ტომებიც აუცილებლათ იგრძნობდა, რომ დღესასწაული, რომელსაც იხდიდა ქალაქი, გამონვეული უნდა იყოს ფრიად მნიშვნელოვან მიზეზით, რომ ის ისე ღრმად ჩანვდენია ხალხის სულსა და გულს და ასეთი აუარება ხალხი დიდი და პატარა მისცემია ასეთ უსასზღვრო მხიარულებას. ზეიმი გაგრძელდა საღამოს 9 საათამდე, რის შემდეგ ხალხი დიდად ნასიამოვნები დაიშალა. — კანვინ“. (სტილი და ცუღია).

ქვეყნის ოკუპაცია და ანექსია

1920 წლის დასაწყისში საბჭოთა რუსეთმა სამოქალაქო ომში გარდატეხას მიაღწია: მოიგერია პოლონეთის არმიისა და თეთრგვარდიელი გენერლის **პეტრე ვრანგელის** შემოტევები, შემდეგ კი დაამარცხა **ანტონ დენიკინის** არმია და ამიერკავკასიის საზღვრებს მიუახლოვდა. აპრილში XI არმიამ აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლება დაამყარა, მაისის დასაწყისში კი შემოიჭრა საქართველოში, მაგრამ უშედეგოდ. მისი შემდგომი ცდები ოკუპაციისა დროებით აღკვეთა საბჭოთა რუსეთთან 1920 წლის 7 მაისს გაფორმებულმა ხელშეკრულებამ. საქართველოს მთავრობა იმედოვნებდა, რომ აღნიშნული ხელშეკრულება ხელს შეუშლიდა წითელი არმიის შემოსვლას საქართველოში. 1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა არმია (მე-11, მე-9, მე-3, მე-13 არმიები, **ბუდიონისა** და **ჟლობას** კავალერიები) რამდენიმე მხრიდან შემოიჭრა საქართველოს ტერიტორიაზე, რომელსაც წინ მოუძლოდა **სერგო ორჯონიკიძე**. მოკავშირეების გარეშე დარჩენილმა ქვეყანამ სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია რუსეთის არმიას, რომელმაც დაიკავა თბილისი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ბათუმში გადავიდა.

მე-9 არმიის ნაწილებმა 9 მარტს ზუგდიდი აიღეს და მიტინგზე ძალით შეკრებილ ხალხს, ხელოსან კინტირია ლუკავას ორსართულიანი სახლის აივნიდან, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შესახებ ამცნო. (წყარო: ვებგვერდი: „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ისტორია“. <http://zugdidi.mun.gov.ge/ge/>. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ისტორია).

საბჭოთა ოკუპაციისას, საქართველოს მთავრობა ერ-



კინტირია ლუკავას სახლი ქ. ზუგდიდში.
1920 წელი.

თადერთი იყო, ვინც წითელ არმიას იარაღით შეებრძოლა და თვეზე მეტი ცდილობდა პოზიციების დაცვას. თუმცა, მალე მიხვდნენ, რომ დამარცხება გარდაუვალი იყო. ამიტომ, ქვეყნისთვის სტატუს-კვოს შესანარჩუნებლად და კოლაბორაციონიზმის თავიდან ასარიდებლად, საქართველოს მთავრობა 1921 წლის 17 მარტს ემიგრაციაში წავიდა. ისტორიკოსი ირაკლი ხვადაგიანი, რომელიც პირველი რესპუბლიკის პერიოდს იკვლევს, ამბობს:

„ომი წავაგეთ. ბოლო ფრონტი არის გურიის საზღვარზე, მთავრობა, არმია, რესპუბლიკის ნაშთი ბათუმშია. ამის ფონზე, ბოლო დამფუძნებელი სხდომის კრება მთავრობას ავალებს საზღვარგარეთ წასვლას, რომ შენარჩუნდეს იურიდიული დამოუკიდებლობა და იქიდან ეცადონ რაიმეს შეცვლას. ასე გადარჩა ქვეყნის სტატუსი — კაპიტულაციაზე ხელი არავის მოუწერია და სწორედ

ეს გახდა საუკუნის შემდეგ იმის საფუძველი, რომ ისევ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გაგვეგრძელებინა არსებობა“.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ფორმალურად ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას, რაც აღიარებულ იქნა 1921 წლის 21 მაისის ახალი ხელშეკრულებით და 1922 წლის კონსტიტუციით, თუმცა იურიდიული ფორმა პოლიტიკურ სინამდვილეს არ შეესაბამებოდა.

ბრძოლა ენგურის პირას



ისტორიაში ხშირად გვხვდებიან გმირები, რომლებიც სხვებისთვის მისაბაძნი არიან, მაგრამ ასევე არიან ადამიანები, რომელთაც გმირობა ჩაუდენიათ, მაგრამ ისტორიაში ვერ მოხვდნენ.

კაკა ჟვანიას შვილიშვილმა ვახში ჟვანიამ მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ჟურნალისტთა კლუბ „სარკმლის“ წევრს, ნორჩ მკლევარს მია კაშიას (ხელმძღვანელი ნანი მოსიძე)

მიაწოდა ცნობები კაკა ჟვანიას გმირობაზე ბოლშევიკების შემოსევისას.

1921 წლის თებერვალს ბოლშევიკური რუსეთის მე-11 არმია ორჯონიკიძის კომისრობით ბაქოდან გამოდის და თბილისს იღებს. ტუაფსედან კიდევ ერთი არმია მოდის აფხაზეთისა და სამეგრელოს დასალაშქრავად.

რუსეთის ბოლშევიკურმა არმიამ გამოიარა აფხაზეთი. მან ლამღამობით გადმოლახა მდინარეები: ფსოუ, გუმისთა, კოდორი, ლალიძგა. რუს გენერალს მოახსენეს, რომ ზუგდიდის მაზრაში 80-კაციანი რაზმია სასაზღვრო ჯარების სახელწოდებით. გენერალმა სიფრთხილე გამოიჩინა და გადანყვიტა ადიდებული მდინარე ენგურიც ლამით გადმოელახა.

ქვეითთა პირველი რაზმი ზურგჩანთებითა და შაშხანებით დამძიმებული შედის გაყინულ მდინარეში. რამდენიმე ჯარისკაცი გავიდა ხმელეთზე და ანიშნა მეორე

ნაპირზე მდგომ ჯარისკაცებს, შეგიძლიათ მძიმე ტექნიკის გამოშვებაო. გამოუშვეს კიდეც და მდინარეს ცეცხლი ელვის სისწრაფით წაეკიდა. ერთბაშად იგრიალა უამრავმა შაშხანამ, მეორედ, მესამედ... ცა ჩამოინგრა, წყალი დულს, უზარმაზარმა აალებულმა მორებმა თავზარდაცემული ჯარისკაცები წაღეკა. ნაპირზე მდგომი მომხვედურნი ვერაფერს ხვდებიან. გაოგნებულები უყურებენ ცამდე აალებულ ცეცხლთა გადაადგილებას მდინარეზე, რასაც თან ერთვის შაშხანების სროლა. განცვიფრებული არმიის სარდალი მიუახლოვდა ნაპირს, ცეცხლის ახალმა ენებმა ჩაუქროლეს მას და ისევე მოულოდნელად გაუჩინარდნენ, როგორც გამოჩნდნენ.

შეჩერდა არმია. დაელოდნენ გათენებას. დათვალეს დანაკარგები. თითქმის მთლიანად დაღუპულა ჯარის ის ნაწილი, რომელიც წყალში იყო. ორი კვირა იდგა რუსეთის ჯარი ენგურს გაღმა, ვერ გაბედა წყალში შესვლა. სამეგრელოში კი ხმა გავრცელდა, კაკა ჟვანიამ კაციჭამია ბოლშევიკები ენგურზე გაანადგურაო.

დამარცხებულებმა მალე დაადგინეს, რომ 80-კაციან რაზმს კაკა ჟვანია მეთაურობდა. მან თავის ჯარისკაცებს ტყეში მორები დააჭრევინა, ტივებად შეაკვრევინა და ზედ ფიჩხები დააყრევინა. იმ ღამეს 80 შაშხანა ისროდა ერთდროულად, 80 გულანთებული ჯარისკაცი წყვილ-წყვილად იდგა ტივზე, სადაც ცეცხლწაკიდებული ფიჩხი იდო. ორი კვირის შემდეგ გაბედეს ბოლშევიკებმა ენგურის გადმოლახვა. გაიარეს ზუგდიდი. ქალაქის შესასვლელთან რუს გენერალს აჩვენეს კაკას ლამაზი ფიცრული ოდა. სახლში არავინ იყო, კაკას დედა და ცოლ-შვილი ტყეში იყვნენ გახიზნულნი.

მდუმარედ იდგა რუსი გენერალი კაკა ჟვანიას სახლის წინ. ბოლოს თავის ოფიცერს უხმო და კაკას სახლთან

ჯარისკაცის დაყენება უბრძანა, არავინ დააზიანოსო იგი და ხმამაღლა დასძინა: „ის ნამდვილი ოფიცერია“.

დააფასა რუსმა გენერალმა კაკას გმირობა.

ვინ იყო კაკა ჟვანია?

ზუგდიდელი კოლორიტი, კონსტანტინე (კაკა) დიმიტრის ძე ჟვანია, 1875 წელს დაიბადა ზუგდიდში. დაამთავრა სოხუმის სამასწავლებლო (საოსტატო) კურსები. ზუგდიდის სოფელ ჭითანყარის ოთხნობიანი სკოლის მასწავლებლად თვრამეტი წელიწადი იღვანა. 1902 წელს ზუგდიდის სამრევლო სკოლის გამგე იყო. ის ქართული ენის გუმაგიც იყო და მეგრულის უზადო მცოდნეც.

1914 წელს კაკა ჟვანია ჯარში გაიწვიეს. 4-ჯერ დაიჭრა, 1916 წლის 20 დეკემბერს რუმინეთში მძიმედ დაჭრილი ტყვეობაში აღმოჩნდა. ტყვეობიდან დაბრუნებული სამედიცინო კომისიამ ინვალიდად სცნო.

1918 წელს კაკა ჟვანია წმინდა ანას, წმინდა გიორგის, ვლადიმირისა და სტანისლავის ორდენებით მკერდამშვენებული დაბრუნდა მშობლიურ ქალაქში და დამოუკიდებელი საქართველოს ჯარს მოახმარა თავისი საბრძოლო გამოცდილება, ნიჭი და სიმამაცე.

1924 წლის ეროვნული აჯანყების დამარცხების შემდეგ, კაკა ჟვანია რამდენიმე თვე იმალებოდა და მას შემდეგ გამოვიდა ტყიდან, რაც დახვრეტები შეწყვიტეს ბოლშევიკებმა. სიბერე მეგრული ლექსების თხზვაში გაატარა. მეგრულად თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“.

კაკა ჟვანია, ღრმად მოხუცი, 98 წლისა გარდაიცვალა 1973 წელს. (ჯამბულ არქანია, „მე კოლხი ვარ, ასი წელი ვარწიე.“ გაზ. „ოდიში“, 1990 წ. №78).

შენიშვნა: ვახში ჟვანიას მიერ მოწოდებული ინფორმაციის — ენგურის პირას ბოლშევიკებთან შეტაკების შესახებ — დამადასტურებელი საბუთები ვერ მოვიპოვე, მაგრამ მაინც ვერ შევძელი მისი უყურადღებოდ დატოვება. **მ. დ.**

ბრძოლა დამოუკიდებლობის აღდგენისათვის

(ნაწყვეტი ლევან ჯიქიას ნაშრომიდან
„1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში“)

1921 წლის თებერვლიდან 1990 წლამდე საქართველომ არაერთი მძიმე დღე გადაიტანა. მათ შორისაა 1924 წლის აჯანყება, რომელიც მძიმე შედეგით დამთავრდა.

1921 წლის 25 თებერვლის საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ საქართველოში ანტისაბჭოთა მოძრაობა დაიწყო. ქართული ეროვნული მოძრაობის მიზანს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა წარმოადგენდა. 1921 წელს დაწყებული ეროვნული მოძრაობა 1924 წლის აჯანყებაში გადაიზარდა. აჯანყებამ აგვისტოს მიწურულს მთელი ქვეყანა მოიცვა. ამ აჯანყებაში მონაწილეობას ღებულობდნენ ზუგდიდელებიც.



შალვა თვალთვაძე

სენაკის მაზრის დამოუკიდებლობის კომიტეტმა ზუგდიდის მაზრაში დამოუკიდებლობის კომიტეტის შესაქმნელად და მასზე მეთვალყურეობის მიზნით მიავლინა ეროვნულ-დემოკრატი შალვა თვალთვაძე. (დაიბადა 1897 წ. წალენჯიხის რაიონში. იყო სასულიერო წოდების. მიღებული ჰქონდა საშუალო განათლება. დაპატიმრებამდე იყო ადვოკატთა კოლეგიის წევრი. ცხოვრობდა ქ. თბილისი, მაჩაბლის ქ.

№15. დააპატიმრეს 04/30/1938 წელს. ბრალად ედებოდა, რომ 1936 წლიდან შედიოდა კ/რ ნაციონალისტურ ფა-

შისტურ ორგანიზაციაში და ეწეოდა კ/რ საქმიანობას ორგანიზაციაში ახალი წევრების გადასაბირებლად. ამზადებდა შეიარაღებულ აჯანყებას ძალაუფლების ხელში ძალით ჩაგდების მიზნით და უშუალო კავშირში იყო კ/რ ორგანიზაციის ცენტრის წევრ ვ.ვ. ღვამიჩავასა და პოლიტბანდიტ მ. ჭანტურიასთან. თავი დამნაშავედ ცნო. გაასამართლა შინსახკომის სამეულმა. მომხსენებელი: უჩანეიშვილი. მონაწილეობდნენ: გოგლიძე, ჩარკვიანი, ტალახაძე).

შალვა თვალთვაძემ ადგილზე ჩასვლისთანავე ზუგდიდის მაზრის დამოუკიდებლობის კომიტეტი შექმნა. კომიტეტში შევიდნენ: **მამია ანჯაფარიძე** (თავმჯდომარე), **ალექსანდრე გაბუნია** (ზუგდიდის არქივში დაცულ დოკუმენტში ის ზუგდიდის მაზრის დამკომის თავმჯდომარედ იხსენიება, რაც რეალობას არ შეესაბამება — ავტ. ლევან ჯიქია), **ესტატე ლატარია**, **ტიტე საჯაია**, **ლუკა გვასალია** (მოლარე), **ბიდი წულეისკირი** (ოფიცერი), **ნიკოლოზ გვათუა** (ეროვნულ-დემოკრატი, სტუდენტი), **გრიგოლ ჭაბუკიანი** (ეროვნულ-დემოკრატი, სტუდენტი). ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პირი შედიოდა ზუგდიდის მაზრის სამხედრო შტაბში. სამხედრო შტაბის ხელმძღვანელი იყო ქ. ზუგდიდის კომენდანტი და შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელი **ბიდი წულეისკირი**. ზუგდიდის მაზრის დამკომმა დარჩელის რაიონის სამხედრო ხელმძღვანელებად **სოკრატ კეზუა** (მცხოვრები სოფ. კახათში) და **კალისტრატე ზარანდია** (მცხოვრები სოფ. დიდინეძეში) დანიშნა. ამავე რაიონში აჯანყების ორგანიზატორობა **სოკრატ კეზუასა** და **ადამურ ცხაკაიას** (მცხოვრები სოფ. კოკში) დაევაალათ. საჭირო ინფორმაციებს მათ **კოლი კეიდია** აწვდიდა. **სოკრატ კეზუა** ასევე ითავსებდა ორგანიზატორის ფუნქციებს სოფ. დიდინეძეში. უჯრედში

12 კაცი იყო განწევრიანებული: **კალისტრატე ზარანდია, მიხეილ შონია, ერასტო ქარჩავა, ლევან ზარანდია, გრიგოლ კუკავა, ალექსი თოდუა, გრიგოლ კუტალია, გრიგოლ ნანავა, ესტატე ქირია, ვარლამ მაქაცარი, არსენ წურწუშია და მიხეილ (მიხა) შონია.** ხშირ შემთხვევაში მაზრის დამკომი ამა თუ იმ სოფელში მუშაობას მთლიანად სოციალ-დემოკრატიული პარტიის შესაბამის უჯრედს ანდობდა. დარჩეულში სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ოთხი უჯრედი ჰქონდა. ერთ-ერთ უჯრედს **ბაადურ აბესაძე** ხელმძღვანელობდა, ხოლო წევრები იყვნენ: **ბიქტორ ჯიქია, ნიკო ყვანია, მიხეილ შენგელია, ბარდღუ აბსანძე, კირილე ქეცბაია.** მეორე უჯრედს **პავლე ბიგვავა** მეთაურობდა (ის აცხადებდა, რომ უჯრედში მარტო იყო). მესამე უჯრედს სათავეში **ფედია კორკელია** ედგა, წევრები იყვნენ: **კალისტრატე ყუფუნია, პორფირე სორდია, დუდუ ქართიშვილი, დომე კორკელია.** მეოთხე უჯრედის ორგანიზატორი **ბესა ბერაია** იყო, ხოლო წევრი — **დომე ქართიშვილი.** სოფ. ანაკლიაში საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას მხოლოდ ერთი უჯრედი ჰქონდა, რომელსაც **ოქროპირ ქანტურია** ხელმძღვანელობდა.

1924 წლის აჯანყების წინა დღეებში სენაკის მაზრის დამოუკიდებლობის კომიტეტმა მაზრის ყველა რაიონში აჯანყების ხელმძღვანელად დანიშნული პირები შეკრიბა. შეკრებაზე გაირკვა, რომ აბაშის, ბანძისა და სალხინოს რაიონებში აჯანყების მოსამზადებელი სამუშაოები კარგად იყო ჩატარებული. საპირისპირო ვითარება იყო მარტვილისა და ნოქალაქევის რაიონებში, ამიტომ სალხინოსა და ბანძის აჯანყებულებს თავიანთ რაიონებში ძალაუფლების ხელში აღების შემდეგ მარტვილისა და ნოქალაქევის დაკავებაზე უნდა ეზრუნათ. ქალაქი ახალი სენაკი 200

შეიარაღებულს უნდა აეღო. საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა აჯანყების ზუსტი თარიღი აჯანყებამდე სამი დღით ადრე **თედო ესართიას** შეატყობინა. **თედო ესართიამ** 1924 წლის 26-27 აგვისტოს სენაკის, ზუგდიდისა და სამურზაყანოს მაზრებში აჯანყების მეთაურები გააფრთხილა. 1924 წლის 28 აგვისტოს, დილით, სენაკის მაზრის დამკომისა და სამხედრო შტაბის გაერთიანებული სხდომა გაიმართა.

ზუგდიდის მაზრის დამოუკიდებლობის კომიტეტმა აჯანყების თარიღი თედო ესართიასგან შეიტყო. ზუგდიდის მაზრის დამკომმა მაზრის სამხედრო შტაბი და აჯანყებულთა შეიარაღებული რაზმების მეთაურები გააფრთხილა. აჯანყების მოსამზადებელი სამუშაოები, მაზრის დამკომის მტკიცებით, დამაკმაყოფილებელი იყო.

აჯანყებულები 1924 წლის 28 აგვისტოს სოფ. კახათის კოოპერატივის შენობას დაეცნენ. ზუგდიდის რაიონული მილიციის უფროსი **ა. თოლორაია** სოფ. კახათისკენ მილიციელების თანხლებით გაემართა. მანამდე **ა. თოლორაიასთან** მივიდა პიროვნება (აჯანყებულების მიერ შეგზავნილი), რომელიც მას ყაჩაღების ბინის ჩვენებას დაჰპირდა. ამ ინფორმაციის საფუძველზე, ყაჩაღების ბინისკენ (სოფ. ობუჯისკენ, წალენჯიხის რაიონი) მაზრის მილიციის უფროსის თანაშემწე **როგავა** სამი მილიციელის თანხლებით გაემართა. რაიონის მილიციიდან ორი მილიციელი ჩხორონწყუში ტუსაღების ბადრაგად იყო გაგზავნილი. ამდენად, მაზრის მილიციის უფროსის განკარგულებაში მაზრის მილიციიდან დამატებით მხოლოდ ოთხი მილიციელი აღმოჩნდა, ზუგდიდის რაიონის მილიციიდან — ხუთი. 1924 წლის 28 აგვისტოს, საღამოს, ზუგდიდის მაზრის მილიციის უფროსმა მოსალოდნელი გამოსვლის

შესახებ ინფორმაცია ინფორმპუნქტის რწმუნებულის თანაშემწისგან მიიღო. მან მილიციელებს სათანადო მითითება მისცა, თვითონ კი პარტიულ ამხანაგებთან ერთად ქალაქში პატრულირება დაიწყო, თუმცა საეჭვოს ვერაფერს ამჩნევდა. აჯანყებულებმა ქ. ზუგდიდზე იერიში 1924 წლის 29 აგვისტოს დილის ოთხ საათზე მიიტანეს. აჯანყებულები ინფორმპუნქტის შენობაში შეიჭრნენ და აღმასკომის თავმჯდომარე **გრიგოლ როგავა** სიცოცხლეს გამოასალმეს. აჯანყებულთა სხვა ძალები ქალაქისკენ სამხრეთის მხრიდან მიიწვედნენ. აქ ისინი მაზრის მილიციის უფროსსა და მილიციელებს წააწყდნენ. ხანგრძლივი სროლის შემდეგ აჯანყებულებმა უკან დაიხიეს. ამასობაში გააფთრებული ბრძოლა მიმდინარეობდა დადიანების სასახლის მახლობლად. აჯანყებულებს ტყვიამფრქვევით სამხედრო კომისარი **ჩიჩუა** უმკლავდებოდა. რიცხოვრივი უპირატესობა აჯანყებულთა მხარეს იყო, ამიტომ მაზრის მილიციის უფროსი დადიანების სასახლისაკენ გაემართა **ვანიჩკა ჩხეტიასა** და მილიციელებთან ერთად. ბრძოლაში სასიკვდილოდ დაიჭრა ვანიჩკა ჩხეტია. პოზიციური ბრძოლა დიდხანს გაგრძელდა. კომუნისტებს ტყვია-წამლის მარაგი აღმასკომის შენობაში ჰქონდათ, ამიტომ აღმასკომის დაუფლებსათვის ბრძოლას ამბოხებულები დიდ ყურადღებას უთმობდნენ. მათ აღმასკომის შენობის დაკავება მაინც ვერ შეძლეს. შენობები ხელიდან ხელში გადადიოდა (საავადმყოფო, გამასწორებელი სახლი (საპყრობილე) და სხვ.). აჯანყებულებმა გამასწორებელი სახლიდან პატიმრები გაათავისუფლეს. ქ. ზუგდიდის დაუფლებსათვის ბრძოლა მათი გამარჯვებით დამთავრდა. ამის შემდეგ აჯანყებულებმა კომუნისტების განიარაღებასა და დაპატიმრებას მიჰყვეს ხელი. აჯანყე-

ბულებმა დააპატიმრეს **კირილე მიქაია, მელიტონ ხორავა** და სხვ. ამის პარალელურად აჯანყებულები მოსახლეობაში მონოდება-პროკლამაციას ავრცელებდნენ და აცხადებდნენ: „ყველაფერი გათავებულა“. **მამია ანჯაფარიძე** და **ესტატე ლატარია** ცენტრიდან ტელეგრამებს ლებულობდნენ. ზუგდიდის მაზრაში აჯანყებულთა რიცხვმა 1500 მიაღწია. **მამია ანჯაფარიძემ** ზუგდიდის მაზრის მასშტაბით სამხედრო ხელმძღვანელად **ვლადიმერ ალექსანდრეს ძე გეგეჭკორი** დანიშნა. 1924 წლის 31 აგვისტოს ზუგდიდში კომუნისტების ახალი ძალების შემოსვლა დაიწყო, რომელსაც სათავეში საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი **აქირთავა** და გალის საინფორმაციო პუნქტის უფროსი **შარია** ხელმძღვანელობდნენ. განახლდა შეტაკებები. სროლა მთელი დღის განმავლობაში არ შეწყვეტილა. აჯანყებულთა ერთ-ერთი რაზმი, რომელსაც **ვ. გეგეჭკორი** მეთაურობდა, მდინარე ჩხოუშის ხიდთან დაბანაკდა. ამ დროს აჯანყებულებთან ვინმე **კალანტარია** მივიდა და აუწყა, რომ მათკენ მოინეგდნენ სამურზაყანოელი კომუნისტების შეიარაღებული რაზმები **კოლბაიასა** (სოფ. ქუბურხინჯის საბჭოს თავმჯდომარე) და **იასონ ქარდავას** ხელმძღვანელობით. **კალანტარიას** თქმით, **იასონ ქარდავას** სურდა აჯანყებულებთან მოლაპარაკება. **ვლადიმერ გეგეჭკორმა კალანტარიას** დაავალა **იასონ ქარდავასთვის** გადაეცა, რომ ის უკან იხევდა და მათ გზას უთმობდა. სამურზაყანოს შეიარაღებული ძალები ქ. ზუგდიდში შევიდნენ. ვ. გეგეჭკორი თავისიანთა შტაბში გამოცხადდა (აჯანყებულთა შტაბი სასტუმრო „ფრანციაში“ მდებარეობდა). იქ ვ. გეგეჭკორს ჰკითხეს, თუ რატომ გაიარეს თავისუფლად კომუნისტებმა იმ ტერიტორიაზე, რომელ-



ალექსანდრე ქავთარაძე

საც ის იცავდა. ამაზე ვ. გეგეჭკორმა უპასუხა, რომ მონინალმდეგის შეიარაღებული ძალა 150 მეტრძოლისგან შედგებოდა და მათი შეჩერება შეუძლებელი იქნებოდაო. სამხედრო შტაბში თათბირი დაიწყო. თათბირის დასრულების შემდეგ შტაბიდან სოციალ-დემოკრატი

ალექსანდრე ქავთარაძე **ომის მონაწილე, მსახურობდა კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარებში, 39-ე ქვეითი დივიზიის შტაბის უფროსი**) გამოვიდა და ვ. გეგეჭკორს უბრძანა, მათთვის იარაღი ჩაებარებინა, რადგან ის არასანდო პიროვნებად მიიჩნიეს. ვ. გეგეჭკორმა შაშხანა და რევოლვერი ა. ქავთარაძეს ჩააბარა. იარაღის ჩაბარებას ესწრებოდნენ **იასონ ჯღამაია, კონსტანტინე ყვანია (ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფოთის განყოფილების წევრი და ხაზინადარი), ბიდი წულეისკირი** (მოჯანყეთა მიერ ქ. ზუგდიდის კომენდანტად დანიშნული), **კაკულია** და სხვ. ამ ოფიცრებმა განაცხადეს, რომ ვ. გეგეჭკორი მათი მეგობარი იყო და თვითონაც იარაღის დაყრით იმუქრებოდნენ. ე. ლატარიამ და ა. ქავთარაძემ ვ. გეგეჭკორს მოუბოდიშეს და იარაღი დაუბრუნეს. ვ. გეგეჭკორმა ზუგდიდის მაზრაში არსებულ აჯანყებულთა ცალკეული შეიარაღებული რაზმების ხელახლა შეკრება დაიწყო. სოფ. მანცხვარში მემამოხეთა ოთხი რაზმი შეიკრიბა. თითოეული რაზმი 100 მეტრძოლისაგან შედგებოდა. რაზმებში სულ ხუთი ოფიცერი იყო: პირველ რაზმში

იასონ ჯღამაია, მეორეში — **დურუ როგავა**, მესამეში — **კონსტანტინე ყვანია**, მეოთხეში — **გეთია** და მეხუთეში — **ვლადიმერ გეგეჭკორი**. თითოეულ მებრძოლს შაშხანა და 15 ვაზნა ჰქონდა. ვ. გეგეჭკორმა შემდგომი მოქმედების გეგმის შედგენის მიზნით თათბირი ჩაატარა და სენაკის მიმართულებით წასვლა გადაწყვიტა. ამასთანავე, მან განაცხადა, რომ მსურველებს შეეძლოთ არ გაჰყოლოდნენ მას. აჯანყებულთა სამხედრო შტაბი და 200 აჯანყებული ხელმძღვანელს გაჰყვა. ვ. გეგეჭკორმა რაზმიდან 30 შეიარაღებული გამოყო, რომლებსაც პატიმარი კომუნისტების წაყვანა ევალებოდათ. მოიყვანეს 20-მდე პატიმარი კომუნისტი. აჯანყების მეოთხე დღეს სოფ. ცაიშთან აჯანყებულები 8 შეიარაღებულ კომუნისტს გადაეყარნენ. ვ. გეგეჭკორმა კომუნისტი შამუგია კომუნისტებთან გაგზავნა მოსალაპარაკებლად, რათა მათთვის გზა მიეცათ. ვ. გეგეჭკორმა მოჯანყეთა ერთად სოფ. ცაიში გაიარა. სოფ. ხეთაში ვ. გეგეჭკორი აჯანყებულთა 60-კაციან რაზმს შეხვდა, რომელსაც სოციალ-დემოკრატი **ვარლამ კობახიძე** მეთაურობდა. მათ თან 200 დაპატიმრებული კომუნისტი მოჰყავდათ. 1924 წლის 1 სექტემბერს აჯანყებულებმა სოფ. ხეთა დატოვეს და ახალი სენაკისკენ გააგრძელეს გზა. მათ დაბა ხობში შეისვენეს. მოგვიანებით ვ. გეგეჭკორმა ე. ლატარიასა და ჭაბუკიანთან საუბარი მოისურვა, მაგრამ ისინი ადგილზე არ აღმოჩნდნენ. ვ. გეგეჭკორი ახალი სენაკიდან მოსულ ერთ სოციალ-დემოკრატს გაესაუბრა, რომელმაც მას კომუნისტების მიერ ახალი სენაკის აღება აცნობა. ვ. გეგეჭკორმა აჯანყებულებს ყველაფერი აუწყა და დასძინა, რომ მოვლენათა შემდგომ განვითარებაზე ის პასუხს არ აგებდა და თითოეულ მათგანს შეეძლო თავად ეშველა საკუთარი თავისთვის. აჯანყებულებმა

ხობის დატოვება დაიწყეს, მაგრამ ამ დროს მათ კომუნისტებმა ცეცხლი გაუხსნეს, რასაც სროლითვე უპასუხეს. შეტაკებისას აჯანყებულები დაიქსაქსნენ. ისინი 1924 წლის 29 აგვისტოს, დილით, სოფ. კახათში ზუგდიდის რაიონის მილიციის უფროსს ა. თოლორაიას დაესხნენ თავს, რომელიც ორი მილიციელის თანხლებით სოფელში იყო მივლინებული იქ მომხდარი ყაჩაღობის ფაქტის გამოსარკვევად. ა. თოლორაია აჯანყებულებს გაექცა და ზუგდიდისკენ აიღო გეზი, თუმცა ზუგდიდში შესვლა ვერ შეძლო, რადგან ქალაქი აჯანყებულების ხელში იყო. ის სოფ. ჯოღეჯიანში გადავიდა, იქიდან — სოფ. ცაიშში და კომუნისტების შეგროვება დაიწყო. ამ ორ სოფელში მან ხუთ მეზრძოლს მოუყარა თავი. სოფ. ცაიშში მათ აჯანყებულები დაესხნენ თავს, თუმცა გაქცევა ადვილად მოახერხეს. ამის შემდეგ ა. თოლორაია შეკრებილ კომუნისტებთან ერთად სოფ. კახათში დაბრუნდა და აჯანყებულების წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო (ისინი აქ 60 კაცს შეადგენდნენ). ა. თოლორაიამ 25 აჯანყებულის განიარაღება და მათ მიერ დაპატიმრებული კომუნისტების გამოსხნა შეძლო. ამასობაში მისი რაზმი თანდათანობით ივსებოდა, რის შემდეგაც მათ აჯანყებულები საბოლოოდ დაამარცხეს. სოფ. კახათის დაკავების შემდეგ ის სოფ. ცაიშში გადავიდა. აქ მემამბოხეთა წინააღმდეგ ცხარე ბრძოლა გაიმართა. შეტაკებისას ერთი აჯანყებული, გვარად **ბიბლაია** დაიღუპა, ცხრა კი ტყვედ ჩავარდა. ა. თოლორაიამ 40 კომუნისტი ტყვეობიდან გაათავისუფლა. აჯანყებულებმა სოფ. ხეთის მიმართულებით დაიხიეს. თოლორაია 1924 წლის 1 სექტემბერს ქ. ზუგდიდიდან უკან დახეულ მემამბოხეთ ჩაუსაფრდა. ბრძოლაში ერთი აჯანყებული, გვარად **ჯიშკარიანი** დაიღუპა, დანარჩე-


ნები კი სოფ. ხეთის მიმართულებით გაიქცნენ, სადაც საბოლოოდ დაიშალნენ.

1924 წლის 28 აგვისტოს, ღამის 7 საათისათვის, დარჩელის რაიონში ქ. ზუგდიდიდან **იაკობ ევნატეს ძე ახალაია** (1884-1963 წწ. დარჩელის რაიონის აგრონომი) და **ვარლამ თორია** (სოციალისტ-ფედერალისტი) ჩავიდნენ, რომლებმაც ადგილობრივებს აჯანყების თარიღი აცნობეს. ადგილობრივმა მემამბოხეებმა დანიშნულ ადგილზე შეკრება დაიწყეს. 1924 წლის 28 აგვისტოს, ღამის ორი საათისათვის, 22 კაცი მოგროვდა, რომელთაგან 10 შეიარაღებული იყო. აქ მათ დილამდე დაჰყვეს, დილას კი გამოსვლა დაიწყეს. **ვარლამ ტარასის ძე ანჩაბაძისა** (1893-1938 წწ. დაბადების ადგილი: ქ. სოხუმი. სოციალური წარმომავლობა: თავადი.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ზუგდიდის განყოფილების წევრი, უპარტიო. იყო „საქმუნის“ თანამშრომელი. ბრალად დაედო, რომ 1931 წელს სიმონ ხმალაძემ გადაიბირა კ/რ ტერორისტულ მემარჯვენე ორგანიზაციაში, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობასა და ტერორისტული აქტების მოწყობას სკკპ(ბ)-სა და საბჭოთა ხელისუფლების ლიდერების წინააღმდეგ. ეწეოდა კ/რ სამუშაოებს. წარსულში იყო მენშევიკთა



იაკობ ახალაია



ვარლამ ანჩაბაძე

არმიის კავალერიის ოფიცერი, აქტიურად იბრძოდა ბოლშევიკების წინააღმდეგ. თავი დამნაშავედ ცნო. მიესაჯა დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია. გამსამართლებელი ორგანო: შინსახკომის სამეული. მომხსენებელი: კომოლცევი, მონაწილეობდნენ: ქობულოვი, წერეთელი, ტალახაძე, მოროზოვი. მუხლი: 58-8, 58-11, 58-13) და ვალოდია ჩხოლარიას ხელმძღვანელობით აჯანყებულებმა ადგილობრივი კომუნისტები განაიარაღეს და დააპატიმრეს. ისინი კომუნისტებისთვის წართმეული იარაღებით შეიარაღდნენ. გამოსვლებში მოსახლეობა აქტიურად ჩაერთო, რის შემდეგაც მემბოხეთა რიცხვმა 500-600 მიაღწია. აჯანყებულებმა ძალაუფლების ხელში აღების შემდეგ ჩამოაყალიბეს თავდაცვის კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: **ვარლამ ანჩაბაძე, კალისტრატე ხუფენია, ესავა სიჭინავა და ტარასხან სიჭინავა**. ბრძანებასა და განკარგულებას **ვ. ანჩაბაძე** და **კ. ხუფენია** იძლეოდნენ. აჯანყებულებმა დარჩეულში ძალაუფლების მოპოვების შემდეგ **კირილე ქეცბაიას** მეთაურობით 10-კაციანი რაზმი გაგზავნეს სოფ. ანაკლიის მიმართულებით. ფოთიდან დამხმარე ძალების მოსვლის შემდეგ დარჩელის რაიონის მილიცია აჯანყებულების წინააღმდეგ შეტევაზე გადავიდა და სოფ. ანაკლია მთლიანად განმინდა მემბოხეთაგან. სოფლების: ერგეტისა და ორულუს კომუნისტები მდინარე ჯუმს მიადგნენ. ხიდის ერთ მხარეს პოზიციები დაიკავეს აჯანყებულებმა, მეორე მხარეს — კომუნისტთა რაზმმა. შუადღისთვის სოფ. დარჩელი კომუნისტებმა აიღეს. სოფ. ორულუ-ერგეტაში აჯანყება 1924 წლის 29 აგვისტოს, დილით დაიწყო. აჯანყებულები ზუგდიდის მაზრის უფროს მილიციელს **ს. მიქავასა** და მის ძმას დაესხნენ თავს. ძმები **მიქავეები** სროლით გავიდ-

ნენ სახლიდან და სოფ. ორულუ-ერგეტაში მყოფი კომუნისტის **მიხა მამფორიას** რაზმს შეუერთდნენ. ამ რაზმმა სოფ. ორულუ-ერგეტა მოწინააღმდეგეთაგან განმინდა და 1924 წლის 31 აგვისტოს ქ. ზუგდიდში დაბრუნდა. ს. მიქავა მაზრის მილიციის უფროსთან გამოცხადდა და არსებული ვითარების შესახებ პატაკი ჩააბარა.

1924 წლის 29 აგვისტოს, დღის ორ საათზე, სოფ. ხეთაში მოიტანეს ცნობა კომუნისტების მიერ სოფ. ცაიშის დაკავების შესახებ. ხეთის აჯანყებულებმა ცაიში-ხეთის საზღვრისდაცვის გადაწყვეტილებამიიღეს, რაც შესრულდა კიდევ. უფრო მეტიც, მათ სოფ. ცაიშიც კი დაიკავეს და 26 კომუნისტი დააპატიმრეს. 1924 წლის 31 აგვისტოს ქ. ზუგდიდიდან უკანდახეულმა აჯანყებულებმა **მამია ანჯაფარიძემ, ვარლამ გობეჩიამ, ვარლამ ხუბუტიამ, ბაგრატ ვეკუამ, არსენ კუჭავამ, ბეგი გეგეჭკორმა** და სხვებმა ხეთაში 150 კომუნისტი პატიმარი მოიყვანეს 100 მცველის თანხლებით, 40 ავადმყოფი პატიმარი სოფ. ხეთაში დატოვეს, დანარჩენები კი ხობის მიმართულებით წაიყვანეს. მოგვიანებით **ვ. კობახიძემ** ხობში კაცი გაგზავნა კითხვით — შეეძლოთ თუ არა მათ დამატებით პატიმრების მიღება? აღმოჩნდა, რომ ხობი უკვე კომუნისტებს ჰქონდათ დაკავებული. ამასთანავე, ხეთაში ცნობა მოვიდა, რომ სოფ. ანაკლიის კომუნისტებისგან შემდგარი რაზმი სოფ. ხეთაზე თავდასხმისთვის ემზადებოდა. **ვ. კობახიძემ** რაზმი დაშალა.

აჯანყებას ხელმძღვანელობდნენ: **კონსტანტინე (ჯუგუ) გრიგოლის ძე დადიანი** (სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის, დავითის



ჯუგუ დადიანი

უმცროსი ძმის, კონსტანტინეს შვილიშვილი), **ფუხული ლომაია, ალექსანდრე ლომაია, რაჟდენ ყურაშვილი, აკაკი ქაჯაია** (ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თბილისის განყოფილების წევრი).

1924 წლის 28 აგვისტოში დაწყებულმა აჯანყებამ რამდენიმე დღე გასტანა, საბოლოოდ კი მემბოხეთა მარცხით დასრულდა.

ზუგდიდის მაზრაში აჯანყებაში მონაწილეობა 2 769 მოქალაქემ მიიღო. მათ შორის: აბასთუმანში — 140; სოფ. ჯოდეჯიანში — 45; სოფ. შამგონაში — 42; სოფ. ცაიშში — 51; სოფ. ყულიშკარში — 250; სოფ. ცაიშის კახათში — 43; სოფ. რიყეში — 36; სოფ. კორცხელში — 130; სოფ. ნიკოსიაში — 27; სოფ. ჯიხაშკარში — 100; სოფ. ლედგებიეში — 64; სოფ. კოკში — 150; სოფ. დიდინეძში — 100; სოფ. ხეთაში — 220.

ზუგდიდში 40 ამბოხებული დახვრიტეს, 8 აჯანყებული დასახვრეტად ფოთში გაგზავნეს, 30 ადამიანი დახვრიტეს ზედაწერის ტყეში, 28 ადამიანი კი — სოფელ კახათის ასასვლელ ფერდობთან.

აჯანყებაში აქტიური მონაწილეობის მიმღებთა ძებნა-დაპატიმრებები საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. იყო შემთხვევები, როდესაც ძებნილები ვერ უძლებდნენ ოჯახებზე განხორციელებულ ზეწოლას და ნებაყოფლობით ბარდებოდნენ.

ზუგდიდის მაზრაში 1924 წელს დახვრეტილ აჯანყებულთა არასრული სია

ალშიბაია ვასო — სტუდენტი, ქართველი, ზუგდიდის მაზრა, სოფელი ჭკადუაში.

ანთელავა აკაკი ბესარიონის ძე — 1900 წ. ქართველი, 24 წლის, ყოფილი აზნაური, ვაჭარი, ეროვნულ-დემოკრატი 1917 წლიდან, ყოფილი გვარდიელი, ზუგდიდის მაზრა, სოფ. ჯიხაშკარის მკვიდრი.

ანთია პროკოფი ალექსანდრეს ძე — 1901 წ. ქართველი, სოციალ-დემოკრატი, ზუგდიდის მაზრა.

გობეჩია ვარლამი ევგენის ძე — 1883 წ. ქართველი, 41 წლის, ყოფილი მემამულე, უმაღლესი განათლებით, ეროვნულ-დემოკრატი 1917 წლიდან, ქ. ზუგდიდის მკვიდრი.

გრიგოლია სარდიონი ანდროს ძე — 1896 წ. ქართველი, 26 წლის, ვაჭარი, სოციალ-დემოკრატი 1918 წლიდან, ყოფილი გვარდიელი, ქ. ზუგდიდის მკვიდრი.

გრიგოლია ფილიპე ანდროს ძე — 1901 წ. ქართველი, 23 წლის, ზუგდიდის მაზრა, „ეპოს“ ნოქარი, სოციალ-დემოკრატი 1919 წლიდან, ყოფილი გვარდიელი.

დარასელია მაკარი ბინოს ძე — 1898 წ. ქართველი, 26 წლის, ზუგდიდის მაზრა, ეროვნულ-დემოკრატი, კულაკი.

დგებუაძე რაჭდენი ტოტიას ძე — 1885 წ. ქართველი, 39 წლის, ყოფილი აზნაური, ეროვნულ-დემოკრატი 1917 წლიდან, ქ. ზუგდიდის მკვიდრი.

დგებუაძე ბენედიქტი არისტოს ძე — 1899 წ. ქართველი, 25 წლის, ყოფილი აზნაური, სოციალ-დემოკრატი

1918 წლიდან, ყოფილი გვარდიელი, ზუგდიდის მაზრა, სოფ. ჯიხაშკარის მკვიდრი.

ვეკუა თადეოზი სტეფანეს ძე — 1896 წ. ქართველი, 28 წლის, ვაჭარი, სოციალ-დემოკრატი 1917 წლიდან, ყოფილი გვარდიელი, ქ. ზუგდიდის მკვიდრი.

თოდუა შალვა ალექსის ძე — 1902 წ. ქართველი, 22 წლის, კულაკი, ეროვნულ-დემოკრატი 1921 წლიდან, ზუგდიდის მაზრა, სოფ. ორულუ-ერგეტის მკვიდრი.

კალანდია ვასილი კოსტას ძე — 1865 წ. ქართველი, 59 წლის, ეროვნულ-დემოკრატი 1917 წლიდან, ქ. ზუგდიდის მკვიდრი.

კოზუა კოზმან როსტომის ძე — ქართველი, 31 წლის, ვაჭარი, უმაღლესი განათლებით, ეროვნულ-დემოკრატი 1917 წლიდან, ქ. ზუგდიდის მკვიდრი.

კუკავა ბაქირბეი ეგნატეს ძე — 1883 წ. ქართველი, 41 წლის, კულაკი, ეროვნულ-დემოკრატი 1917 წლიდან, ზუგდიდის მაზრა, სოფ. კახათის მკვიდრი.

კუკავა გრიგოლი გუჯუს ძე — 1889 წ. ქართველი, 35 წლის, კულაკი, სოციალ-დემოკრატი 1917 წლიდან, ზუგდიდის მაზრა, სოფ. დიდინეძის მკვიდრი.

მატუა თადეოზი სტეფანეს ძე — 1884 წ. ქართველი, 40 წლის, კულაკი, ეროვნულ-დემოკრატი 1917 წლიდან, ქ. ზუგდიდის მკვიდრი.

მაქაცარია ვარლამი როსტიას ძე — 1896 წ. ქართველი, სოციალ-დემოკრატი, ზუგდიდის მაზრა.

მაქაცარია ვარლამ კოსტას ძე — ქართველი, 28 წლის, კულაკი, სოციალ-დემოკრატი 1917 წლიდან, ზუგდიდის მაზრა, სოფ. დიდინეძის მკვიდრი.

მესხია ალექსანდრე ჯემალის ძე — 1897 წ. ქართველი, ეროვნულ-დემოკრატი, ზუგდიდის მაზრა.

მესხია ალექსანდრე თეიმურაზის ძე — ქართველი,

27 წლის, ეროვნულ-დემოკრატი 1918 წლიდან, ყოფილი გვარდიელი, ზუგდიდის მაზრა.

მიშველიძე კირილე იოსების ძე — 1879 წ. ქართველი, 45 წლის, ეროვნულ-დემოკრატი 1917 წლიდან, ზუგდიდის მაზრა, სოფ. ჯოღეჯიანის მკვიდრი.

ორბელია ჯვაბე ბიბოს ძე — 1874 წ. ქართველი, ეროვნულ-დემოკრატი, ზუგდიდის მაზრა.

ორზოლია ჯვებე — ქართველი, 50 წლის, ყოფილი აზნაური, ზუგდიდის მაზრა, სოფ. კოკის მკვიდრი.

რაფავა ლეონტი ბაბითას ძე — 1898 წ. ქართველი, სოციალ-დემოკრატი, ზუგდიდის მაზრა.

რაფავა ლეონტი ბებიტოს ძე — ქართველი, 26 წლის, კულაკი, სოციალ-დემოკრატი 1905 წლიდან. ზუგდიდის მაზრა.

შამათავა კონდრატე მარკოზის ძე — 1889 წ. ქართველი, სოციალ-დემოკრატი, ზუგდიდის მაზრა.

სიჭინავა მიხეილი ბიდოს (ბიჭო) ძე — 1858 წ. ქართველი, 66 წლის, კულაკი, სოციალ-დემოკრატი 1905 წლიდან. ზუგდიდის მაზრა.

სიჭინავა ვარლამი როსტომის ძე — 1881 წ. ქართველი, 43 წლის, ვაჭარი, ეროვნულ-დემოკრატი 1917 წლიდან, ქ. ზუგდიდის მკვიდრი.

სიჭინავა ირაკლი მარუას (შარუ) ძე — 1887 წ. ქართველი, 37 წლის, ვაჭარი, ეროვნულ-დემოკრატი 1917 წლიდან, ქ. ზუგდიდის მკვიდრი.

სიჭინავა ამბროსი ქუნას (კუკა) ძე, 1896 წ. ქართველი, 28 წლის, ვაჭარი, ეროვნულ-დემოკრატი 1917 წლიდან, ქ. ზუგდიდის მკვიდრი.

ტატიევი მელიტონი — 38 წლის, კულაკი, ზუგდიდის მაზრა, სოფ. ცაიშის მკვიდრი.

ფონია აკაკი თეიმურაზის ძე — ქართველი, 33 წლის,

ვაჭარი, სოციალ-დემოკრატი 1917 წლიდან, ყოფილი გვარდიელი, ქ. ზუგდიდის მკვიდრი.

ქავთარაძე ბადუ იოსების ძე — 1870 წ. ქართველი, 54 წლის, ყოფილი აზნაური, ეროვნულ-დემოკრატი 1917 წლიდან, ქ. ზუგდიდის მკვიდრი.

ქოზუა კოსმანი როსტომის ძე — 1893 წ. ქართველი, ეროვნულ-დემოკრატი, ზუგდიდის მაზრა.

ქუთელია სოლომონი ქერამდუხის (კერანდუხი) ძე — 1874 წ. ქართველი, 50 წლის, ყოფილი აზნაური, ეროვნულ-დემოკრატი 1917 წლიდან, ყოფილი სახელმწიფო მოხელე, ქ. ზუგდიდის მკვიდრი.

შონია აკაკი თეიმურაზის ძე, 1891 წ. ქართველი, ვაჭარი, სოციალ-დემოკრატი, ზუგდიდის მაზრა.

შამათავა კონდრატე მარკოზის ძე — ქართველი, 35 წლის, ვაჭარი, სოციალ-დემოკრატი 1917 წლიდან, ქ. ზუგდიდის მკვიდრი.

ჩიქავა ალექსანდრე ხიტუს ძე — 1882 წ. ქართველი, 42 წლის, სოციალ-დემოკრატი 1917 წლიდან, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ხელმომწერი, ზუგდიდის მაზრა, სოფ. შამგონის მკვიდრი.

ჩიქოვანი გუჩუ დათას ძე — 1891 წ. ქართველი, ეროვნულ-დემოკრატი, ზუგდიდის მაზრა.

ჩიქოვანი ჭუჭუ დათას ძე — ქართველი, 33 წლის, ყოფილი აზნაური, ეროვნულ-დემოკრატი 1917 წლიდან, ზუგდიდის მაზრა, ტყაია-ბეჟაშლალის მკვიდრი.

ჩხოლარია ვალოდია მიხეილის ძე — 1890 წ. ქართველი, 34 წლის, ყოფილი აზნაური, ეროვნულ-დემოკრატი 1917 წლიდან, ზუგდიდის მაზრა, სოფ. კოკის მკვიდრი.

ჩხოლარია კონსტანტინე ბახვას ძე — 1894 წ. ქართველი, 30 წლის, ყოფილი აზნაური, ეროვნულ-დემოკრატი 1917 წლიდან, ზუგდიდის მაზრა, სოფ. კოკის მკვიდრი.

ცხაკაია დოროთე საბას ძე — 1882 წ. ქართველი, 42 წლის, ვაჭარი, ეროვნულ-დემოკრატი 1917 წლიდან. ქ. ზუგდიდის მკვიდრი.

წურწუმია არსენი მათეს ძე — 1894 წ. ქართველი, 30 წლის, კულაკი, მაშვ. ეროვნულ-დემოკრატი 1917 წლიდან, ზუგდიდის მაზრა, სოფ. ორულუ-ერგეტის მკვიდრი.

ხვარძია თეოფანე ნიკოლოზის ძე — ქართველი, 23 წლის, ეროვნულ-დემოკრატი 1918 წლიდან, ზუგდიდის მაზრა, სოფ. შამგონის მკვიდრი.


ხვარძინია ფეოფანე ნიკოლოზის ძე — 1898 წ. ქართველი, ეროვნულ-დემოკრატი, ზუგდიდის მაზრა.

ხვარძინია ლუღუნი ნიკოლოზის ძე — ქართველი, 26 წლის, ყოფილი აზნაური, ეროვნულ-დემოკრატი 1918 წლიდან, ზუგდიდის მაზრა, სოფ. შამგონის მკვიდრი.

ხვიტია თომა ბახვას ძე — 1881 წ. ქართველი, 43 წლის, ყოფილი აზნაური, ეროვნულ-დემოკრატი 1917 წლიდან, ზუგდიდის მკვიდრი.

ყურაშვილი რაჟდენი ოთოს ძე — ქართველი, 30 წლის, სოფ. ხიბულის მკვიდრი.

ჯიქია ჭიჭიკო კირილეს ძე — 1894 წ. ქართველი, 30 წლის, მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტი 1920 წლიდან, ქ. ზუგდიდის მკვიდრი.



მონუმენტის ავტორია მოქანდაკე ჯუმბერ ჯიქია.

2017 წლის 22 თებერვალს, საქართველოს ოკუპაციის დღეს, ზუგდიდში, დადიანისეული სასახლის პარკის ტერიტორიაზე, გაიხსნა 1924 წლის აჯანყების დროს რეპრესირებულთა მონუმენტი. გახსნის ცერემონიალი სიმბოლურად 12 საათზე, აჯანყებულთა დახვრეტის დროს, დაიწყო. მონუმენტის გახსნას რეპრესირებულთა შთამომავლები, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის მოადგილეები, ზუგდიდის მერი, გამგებელი და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები დაესწრნენ.

მასობრივი რეპრესიები 1937-1938 წლებში

1924 წლის აჯანყების ჩახშობისა და სასტიკი რეპრესიების შემდეგ 1936-1937 წლების საქართველოში ახალი რეპრესიები დაიწყო. ამან ერის რჩეული შვილები შეიწინა. ამ პერიოდს შეეწირნენ ის ადამიანებიც, რომელთაც პოლიტიკასთან არაფერი აკავშირებდათ. რეპრესია არ იყო ერთჯერადი. ის პერმანენტულად მიმდინარეობდა.

იოსებ სტალინის ბრძანებით, პოლიტიკურ ტერორს ახორციელებდა ჩეკა. ჩეკა საბჭოთა მოქალაქეს ბრალს სდებდა საბოტაჟში, სამშობლოს ღალატში, ჯაშუშობაში და წამებით აიძულებდა ეღიარებინა დანაშაული. განაჩენი გამოჰქონდა ე.წ „ტროიკას“, უსჯიდნენ დახვრეტას ან გადასახლებას 5-დან 25 წლამდე.

მიხეილ მჭედლიშვილი თავის ნაშრომში „1937 წლის ბარბაროსული ხოცვა-ჟლეტა და ქართველთა ზღვა სისხლი ამ კაცთაკვლაში“ წერს: „დაიხვრიტნენ არა მარტო საუკეთესო ქართველი ინტელიგენცია: მწერლები, მეცნიერები, კულტურის მუშაკები, არამედ ისინიც, ვინც საბჭოთა ხელისუფლებას ერთგულობდა და, კერძოდ, 1921 წელს წინ მოუძღოდა საქართველოში სტალინის მიერ შემოსეულ რუსულ არმიებს. რა მიზანს ისახავდა სტალინი მსოფლიო ისტორიაში ჯერ არნახული ასეთი მასობრივი რეპრესიებით?

1. მოესპო კრიტიკულად მოაზროვნე ინტელიგენცია და დაეთრგუნა მშრომელი ხალხი, რომ ხმის ამოდება ველარავის გაეხედა მონურ ყოფაცხოვრებაზე;

2. რევოლუციაში მონაწილე და იმ დროს ხელისუფლებაში მყოფი დიდი ავტორიტეტების ჩამოცილებით ერთპიროვნული დიქტატორი გამხდარიყო, მთელი „რევოლუ-

ციური მონაპოვარი“ თავისი პერსონისათვის მიენერა (ამ შემთხვევაში გამონაკლისი იყო **ვლადიმერ ლენინი**, იგი დასაყრდენად სჭირდებოდა)...

3. მასიური დაპატიმრება-გადასახლებების ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა ციმბირის მშენებლობათა უზრუნველყოფა უფასო მუშახელით.

უბედურება მარტო ის კი არ იყო, რომ 1924-1937 წლების ამბებმა უამრავი ქართველის სიცოცხლე შეინირა. მთავარი ისაა, რომ სტალინმა საქართველოს უმთავრესად ნაღები ფენა — ზნემალაღი, ნიჭიერი, განათლებული და სამშობლოსადმი პატრიოტულად განწყობილი ელიტა მოუსპო, რითაც საქართველოს, როგორც ერთიან ეროვნულ ორგანიზმს, თავი წააცალა. ხოლო მათ ნაცვლად ქვეყანას მეთაურებად მოეგლინნენ სამშობლოს უარმყოფელი კოსმოპოლიტები, უპრინციპო და სინდისგარეცხილი კარიერისტები; ისეთები, რომლებიც სამშობლოს კი არა, საკუთარ დედასაც კი განირავდნენ პირადი ბედნიერებისთვის. მათი მიზანძვით ცხოვრების ნორმად იქცა ურთიერთდაბეზლება, ცილისწამება, ქურდობა, გამომძალველობა, მექრთამეობა, მომხვეჭელობა, ყალბისმქნელობა. ამან კი კატასტროფულად დასცა ერის ზნეობა. ცნობილი ამბავია — უზნეო კაცს არც დედა სწამს, არც მამა, არც ერი, არც ბერი და არც სამშობლო. ისიც ცნობილია, რომ ზნემალაღი ერი კიდევაც რომ დაიმორჩილოს მტერმა, ვერ დაამონებს, ვერ გადააგვარებს. ამიტომ იყო, რომ ყოველ დამპყრობელს შორის ყველაზე ვერაგმა — მეფის რუსეთმა — ჩვენი ქვეყნის დაპყრობისთანავე ყველაზე მძაფრი იერიში ქართულ, ეროვნულ ზნეობაზე მიიტანა. იმავეს მიმართა კომუნისტურმა ხელისუფლებამ. ცხოვრებიდან გარიყეს პატიოსანი, ალალმართა-

ლი და სამშობლოს მოყვარული ადამიანები, ხოლო მათ ადგილზე წამოწიეს გაიძვერა, თაღლითი და ეროვნების უარმყოფელი გარეწრები.

ეს მოხდა არა მარტო მმართველ ორგანოებში, არამედ უნივერსიტეტში, მწერალთა კავშირში და სხვაგან. უნივერსიტეტიდან გამოაძევეს მისი დამაარსებელი და დიდი მოამაგე **ივანე ჯავახიშვილი**. მწერალთა კავშირში, ერთის მხრივ, შეზღუდეს სახელოვანი მწერლები, ხოლო, მეორეს მხრივ, სარბიელი მისცეს მუშა პოეტებს, ანუ „პროლეტკულტელებს“. ესენი იყვნენ — **სანდრო ეული, კალე ფედოსიშვილი, ალიო მაშაშვილი, კარლო კალაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, იაკინთე ლისაშვილი, ფ. ნაროუშვილი** და სხვები. აი, კერძოდ, ის „ოქროს ფონდი“, რომელიც „პროლეტკულტელ“ პოეტთა შორის ზოგიერთმა მათგანმა დაგვიტოვა:

**„მე მოვკლავ დედას, დავახრჩობ მამას,
თუ რევოლუცია მიბრძანებს ამას“.**

ამას წერს **კალე ფედოსიშვილი**, რომელსაც არც პოეტი ეთქმოდა და არც ადამის მოდგმის შვილობა თავისი კანიბალისტური სულით“.

ამ რეპრესიების მსხვერპლი გახდა ზუგდიდელთა დიდი ნაწილი. არაერთი ზუგდიდელის სიცოცხლე ემსხვერპლა 1937 წლის რეპრესიებს. არაერთი გადაასახლეს ციმბირში. ბევრმა მათგანმა იქ დალია სული.

1937-1938 წლებში დახვრეტილთა არასრული სია:

ანთელავა სევერიან სამსონის ძე, 1897 წ. — 09/30/1937;
ბაქარაძე იაკიმე თაგუს ძე, 1900 წ. — 07/14/1938; გვარამია ვიქტორ ჰავლეს ძე, 1899 წ. — 30/09/1937; გვასალია იუსტინე კონსტანტინეს ძე, 1903 წ. — 11/14/1937; გორდავა ბარნაბა კონსტანტინეს ძე, 1892 წ. — 03/14/1938; გულუა ვლადიმერ პეტრეს ძე, 1909 წ. — 01/20/1938; თა-

თარიშვილი აკაკი სამსონის ძე, 1897 წ. — 11/14/1937; თოხაძე დავით ტრიფონის ძე, 1899 წ. — 09/30/1937; კედია ალექსი გრიგოლის ძე, 1906 წ. — 01/20/1938; კედია ნიკოლოზ მალაქიას ძე, 1899 წ. — 09/14/1937; კვარაცხელია პლატონი ეპიფანეს ძე, დაბადების თარიღი: 1917 წ. გადასახლების თარიღი: 1937 წ.; ლოლუა პეტრე მამანტის ძე, 1914 წ. — 09/16/1937; ნაჭყებია კოლია (კოჩა) დიტოს ძე, დახვრეტის თარიღი: 10/22/1937; შვანია ისააკ ექვთიმეს ძე, 1891 წ. — 12/30/1937; როგავა ვლადიმერ ფარნაოზის ძე, 1888 წ. — 11/14/1937; სვირავა იონა ტუგუს ძე, 1904 წ. — 01/19/1938 ; ფანცულაია მაკარ სტეფანეს ძე, 1902 წ. — 10/10/1938; ფულარია ევგენი ნიკოლოზის ძე, 1889 წ. — 12/13/1937; ქადარია ჯვებე ვასილის ძე, 1907 წ. — 12/12/1937; ყალიჩავა სევერიან კამსარაკანის (კალისტრატე) ძე, დაბადების თარიღი: 1909 წ.; შენგელია კალისტრატე მალხაზის ძე, 1908 წ. — 12/12/1937; შულაია არმენ (პარმენ) თადეს ძე, 1911 წ. — 12/27/1937; ჩახაია იონა გუძოს ძე, 1902 წ. — 12/11/1937; ჩხაიძე (ჩხეიძე) ივანე დავითის ძე, 1901 წ. 11/12/1937 წ.; ძაძამიძე ივანე კონსტანტინეს ძე, დაბადების თარიღი: 1907 წ.; ჭურღულია ვარლამ (ვალიკო) არჩილის ძე, 1897 წ. — 01/17/1938; ხარჩილავა დავით სიმონის ძე, 1907 წ. — 02/08/1938; ხასია მიხეილ სტეფანეს ძე, 1905 წ. — 09/30/1937; ხვინგია ნიკოლოზ ერისტის ძე, დაპატიმრების თარიღი: 02/14/1938; ხვინგია პეტრე პლატონის ძე, 1895 წ. — 04/30/1938; ჯალალანია დომენტი ლუკას ძე, დაბადების თარიღი: 1894 წ.; ჯალალანია ვლადიმერ პავლეს ძე, 1900 წ. — 10/05/1937; ჯიქია ბორის ეგნატეს ძე, 1896 წ. — 12/11/1937; ჯიქია ვლადიმერ გაბრიელის ძე, 1893 წ. — 12/07/1937 წ.

ქართველი ემიგრანტების ბრძოლა მედინასაშუალეობით

ქართველ ემიგრანტებს წუთითაც არ შეუწყვეტიათ ფიქრი და ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად. ამ მიზნით ისინი ერთ-ერთ პოლიტიკურ იარაღად ბეჭდვით ორგანოს იყენებდნენ და წლების მანძილზე გამოსცემდნენ ჟურნალ-გაზეთებს.

გაზეთები: საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორკვირეული გაზეთი „ახალი საქართველო“, ბერლინი, პარიზი, 1924-1926 წწ. რედაქტორი გრიგოლ ვეშაპელი; საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი „ბრძოლის ხმა“, პარიზი, 1929-1937 წწ. რედაქტორები: გ. გვარჯალაძე, დ. ჩარაჭიძე; ეროვნული პოლიტიკის ორგანო „ქართული საქმე“, პარიზი, 1946-1947 წწ. მთავარი რედაქტორი აკაკი მეუნარგია; საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი „ქართული აზრი“, 1959-1974 წწ. ნიუ-იორკი, რედაქტორი დ. სინდიკელი. (არასრული სია).

ჟურნალები: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საზღვარგარეთული ბიუროს ყოველთვიური ორგანო „ბრძოლა“, პარიზი, 1925-1928 წწ. რედაქტორები: გ. ა. ბერნარდი, დ. შარაშიძე; ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების ყოველთვიური ორგანო „საქართველო“, პარიზი 1929-1938 წწ.; ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების ყოველთვიური ორგანო „სამშობლო“, პარიზი, 1929-1938 წწ. რედაქტორი პატარაძე; ქართველ იუნკერთა კავშირის ორგანო „მხედარი“, პარიზი, 1929-1935 წწ.; „ჩვენი გზა“; „თეთრი გიორგი“, ბერლინი-შონებერგი, 1930 წ. რედაქტორი ლეო კერესე-

ლიძე; წმინდა ნინოს ქართულ-მართლმადიდებელი მრევლის ორგანო „**ჯვარი ვაზისა**“, 1931-1934 წწ. რედაქტორი გრიგოლ ფერაძე; ისტორიული, ლიტერატურული და სამეცნიერო კრებული „**ბედი ქართლისა**“, პარიზი, 1948-1965 წწ. რედაქტორი კალისტრატე სალია. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთული ბიუროს ორგანო „**ჩვენი დროშა**“, პარიზი, 1949-1974 წწ. რედაქტორი ნოე ჟორდანიას; ქართული ეროვნული საბჭოს ორგანო „**მებრძოლი საქართველო**“, პარიზი, 1952-1953 წწ. (არასრული სია).

ემიგრანტების გარკვეული ნაწილი მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელთა მხარეს იბრძოდა იმ იმედით, რომ საბჭოთა კავშირის დამარცხების შემდეგ გერმანია დაეხმარებოდა დამოუკიდებლობის აღდგენაში. ამის მაგალითია გერმანიაში — ბერლინში 1942 წელს ქართველ ლეგიონერთა მიერ გამოცემული ქართული ყოველკვირეული გაზეთი „**საქართველო**“, პასუხისმგებელი რედაქტორები: პაატა ვარძიელი, გაი მაღლაკელიძე, ლ. ლინი, ლეგიონერი და ასმეთაური — გაი მადაურიძე. ქართველ ლეგიონთა ჟურნალი „**ცნობის ფურცელი**“, 1944 წ.

1956 წლის მარტი



იოსებ ბესარიონის ძე სტალინის გარდაცვალების შემდეგ ნიკიტა ხრუშჩოვის კრიტიკამ სტალინის მიმართ და კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მიერ მიღებული დადგენილებამ მასობრივი პროტესტი გამოიწვია საქართველოში. ქართველებმა ეს ეროვნული ღირსების შელახვად მიიჩნიეს, რასაც მოჰყვა მასობრივი გამოსვ-

ლები 1956 წლის 4-9 მარტს. მართალია, ეს არ იყო წმინდა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის გამოვლინება, მაგრამ იყო ეროვნული ემოციის გამოხატულება. ქართველები სტალინის სახელის დაცვით ეროვნულ ღირსებას იცავდნენ.

ფაქტობრივად, 1956 წლის მარტის მოვლენებით იწყება ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ახალი, აღმავალი ეტაპი. ერთ-ერთი პირველი, ვინც საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი დააყენა, იყო **გივი ბარამიძე**, რომელმაც 8 მარტის მიტინგზე გამოსვლისას ხმამაღლა განაცხადა: **„გაუმარჯოს თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოს, ძირს კოლონიალიზმი!“** რისთვისაც მას და მის მეგობრებს **მიხეილ ყიფიანს, იროდიონ ფაჩულიასა** და სხვებს 8-8 წელი მიუსაჯეს.

1956 წლის მარტის სისხლიანი დღეების განმავლობაში სულ დაპატიმრებულ იქნა 375 კაცი, მათ შორის: სკკპ წევრი — 34, ალკკ წევრი — 165, უპარტიო — 142. დახოცილთა რიცხვმა ოფიციალური მონაცემებით მიაღწია ოცდასამს.

1956 წლის მარტის მოვლენებში არაერთი ზუგდიდელი მონაწილეობდა: **ალეკო თოდუა, აბელ ხვიტია, სოსო კალანდია**. (არასრული სია).


საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ახალგაზრდული ორგანიზაცია

1956 წლის სისხლიანი მარტი მრავალი ადამიანის მეხსიერებაში მოუშუშებელ ჭრილობად დარჩა. ამდენი დამარცხებისა და დასჯის მიუხედავად, ქართველ ერს არ შეუწყვეტია ბრძოლა ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის. საქართველოში არაერთი არალეგალური პოლიტიკური გაერთიანება მოქმედებდა. მათ შორის იყო ორი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ზუგდიდის ორგანიზაცია „საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ახალგაზრდული ორგანიზაცია“ და „ამიერკავკასიის ერთა გაერთიანებისა და გათავისუფლების ორგანიზაცია — აკეგო“.

1960წელს ზუგდიდში ჩამოყალიბებულ „საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ახალგაზრდული ორგანიზაციის“ დამფუძნებლები იყვნენ: ანრიდ (ბუჭა) სანაია და ვალტერ შურღაია. ცოტა ხანში მათ სერგო სორდია და რუსლან ქირია შეუერთდნენ. თანდათანობით გაიზარდა გულანთებულ მამულიშვილთა რიცხვი: ჰამლეტ სანაია, გურამ მაკალათია, ალვერ იზორია, ვარილო ჯინჯოლავა, ვალტერ იობიძე, ზაურ რატია.



ანრიდ სანაია



ვალტერ შურღაია



რუსლან ქირია



რევაზ ყალიჩავა

ორგანიზაციის დამფუძნებლებმა პროკლამაციების ხელნაწერის სახით გავრცელებაზე უარი თქვეს, რადგან რამდენიმე ათასი პროკლამაციის ხელით გადაწერა ძნელი იყო, თანაც, ხელნაწერს ის შთაბეჭდილება და ზემოქმედება არ ექნებოდა, როგორც ბეჭდურს. **ანრიდ სანაიამ** თავის თავზე აიღო ამ საკითხის მოგვარება. პირველად რეზინისგან დაამზადა „შრიფტი“, მაგრამ ამან არ გაამართლა, ტყვიისგან დამზადებული შრიფტიც ვერ გამოდგა. ანრიდ სანაიამ გადაწყვიტა, სტამბაში მოენახა სანდო პიროვნება, რომელიც ნაწილ-ნაწილ გამოუტანდა შრიფტს. ასეთ პიროვნებად **აბიბო ბუაძე** მიიჩნია.

რამდენიმე დღეში აბიბო ბუაძემ საჭირო რაოდენობის შრიფტი მოიტანა. ანრიდ სანაიამ დაზგა გააკეთა და

28 იანვარს 2000 ცალი პროკლამაცია საქართველოს კინოთეატრებში ბოლო სეანსის ბოლო წუთებში გაავრცელეს. ქალაქები ასე გადაინაწილეს: თბილისი — **სერგო სორდია**, ქუთაისი — **ანრიდ სანაია**, ფოთი — **ვალტერ შურღია**, სოხუმი — **გურამ მაკალათია**, ბათუმი — **მუსო მორგოშია**, ცხაკაია — **რუსლან ქირია**. ზუგდიდში, კონსპირაციის მიზნით, პროკლამაციების გავრცელებაზე უარი თქვეს.

პროკლამაციის ტექსტი ასეთია:

„ქართველნო! დამოუკიდებლობის მსურველნო! — ერთად დამოუკიდებლობისაკენ!

პირადი და საშვილიშვილო საქმისათვის, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მოგინოდებთ თქვენ, ქართველებო! ყოველი ქართველი ვალდებულია იბრძოდეს დამოუკიდებლობისათვის.



ჰამლეთ სანაია

ამხანაგებო! მეგობრულად, ერთი გრძნობით, ამ დიდი საქმისათვის მხარდაჭერით, ქართული სიმტკიცით გავერთიანდეთ, ვიბრძოლოთ და მოვიპოვოთ დამოუკიდებლობა!“



გურამ მაკალაშვილი

საქართველოს გასაბჭოების ორმოცი წლისთავი ახლოვდებოდა. ამ დროს დამოუკიდებლობის მოთხოვნით პროკლამაციების გავრცელებაში საგონებელში ჩააგდო სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი.

ცხრათვიანი ძიების შემდეგ, 27-28 ოქტომბერს, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრები დააპატიმრეს.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელით საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1962 წლის 12-13-15 იანვარს ქალაქ თბილისში დახურულ სხდომაზე შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე **დ. ბაღათურია**. სახ. მსაჯულები: **თ. ქადაგიშვილი**, **თ. შათირიშვილი**, მდივნის **მ. მელიქოვის** თანდასწრებით, პროკურორის **ვ. გოგავასა** და ადვოკატების: **ა. ჯავახ-**



სერგო სორდია

იასა და ა. კუტალიას მონაწილეობით დაადგინა: ცნობილ იქნენ დამნაშავედ საქართველოს სსრ სსკ 73 მუხლით, სსკ 71 მუხლის I ნაწილით და მიესაჯოთ: **ანრიდ პავლეს ძე სანაიას** ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა, **სერგო სევერიანეს ძე სორდიას** ორი წლით თავისუფლების აღკვეთა, **ვალტერ გრიგოლის ძე შურლაიას, რუსლან მიხეილის ძე ქირიას, ჰამლეტ ვლადიმერის ძე სანაიას** — თი-

თოეულს თითო (1) წლით თავისუფლების აღკვეთა; **გურამ ევგენის ძე მაკალათია** ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსრ სსკ 19-71 მუხლის I ნაწილით და მიესაჯოს ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა.

სასამართლო აღნიშნავს, რომ ჰამლეტ ვლადიმერის ძე სანაია და გურამ ევგენის ძე მაკალათია პირველად არიან სამართალში, ხასიათდებიან დადებითად, დანაშაულის ჩადენის დროს იყვნენ არასრულწლოვანი და მათი როლი სხვა მსჯავრდებულებთან შედარებით ჩადენილ დანაშაულში მცირეა, რისთვისაც ჰ.ვ. სანაიას და გ.ე. მაკალათიას შესაბამისად საქართველოს სსრ სსკ 46 მუხლისა თითო (1) წელი თავისუფლების აღკვეთა ჩაეთვალოთ პირობით და საგამოცდო ვადით დაენიშნოს გ.ე. მაკალათიას სამი (3) წელი, ხოლო ჰ.ვ. სანაიას — ორი (2) წელი.

ანრიდ პავლეს ძე სანაია და სერგო სევერიანეს ძე სორდია სასჯელის მოსახდელად მოთავსებული იქნენ გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში, ხოლო ვალტერ გრიგოლის ძე შურლაია დარუსლან მიხეილის ძე ქირია ბავშვთა შრომა-გასწორების კოლონიაში.

ამიერკავკასიის ერთა გაერთიანებისა და გათავისუფლების ორგანიზაცია


1956 წლის 9 მარტის ტრაგიკულ მოვლენას უკვალოდ არ ჩაუვლია. ზოგ ადამიანში შიშის გრძნობამ დაისადგურა, ზოგს კი პროტესტის გრძნობა გაუჩნდა საბჭოთა კავშირის მიმართ, გააძლიერა ეროვნული ემოცია და პატრიოტიზმი.

ზუგდიდის ილია ჭავჭავაძის სახელობის ბიბლიოთეკასთან არსებული ლიტერატურული ჯგუფის წევრი, ახალგაზრდა პოეტი **ზაურ ქობალია**, იმათ შორისაა, ვისაც შინაგანი პროტესტის გრძნობა არ ასვენებდა, რასაც კიდევ უფრო უძლიერებდა ილია ჭავჭავაძის სიტყვები: „ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუდნოდეს“.


პატრიოტი თავის მოსაზრებებსა და ფიქრებს უფროს მეგობარსა და ნათესავს **ინდიკო ქობალიას** აცნობს.

1961 წლის ზაფხულში ისინი ქმნიან არალეგალურ ორგანიზაციას, რომლის წევრები გახდნენ: **ეკატერინე (კატუშა) ბებია**, **ედემ კვირტია**, **მეგონა კაკაშვილი**, **ნოდარ ჯუღელი**, **ნიკოლოზ (გურამ) ფარცვანია**. ზუგდიდის ჯგუფს **ნიკოლოზ ფარცვანიამ** დაუკავშირა ქუთაისელი თანამოაზრეები: **გრიგოლ (გრიშა) დვალი**, **რევაზ მახარაძე**, **ჯემალ კაკაბაძე**, **ალექსანდრე ლომთაძე**...


1961 წლის შემოდგომაზე ორგანიზაცია ჩამოყალიბე-



ზაურ ქობალია




ინდიკო ქობალია



ედემ კვირტია



ეკატერინე ბებია



ნიკოლოზ ფარცვანია

ბულ სახეს იღებს. ორგანიზაციის თავმჯდომარედ **ინდიკო ქობალიას** ირჩევენ. მათი პროგრამა — მინიმუმი ითვალისწინებდა არალეგალური ჯგუფების შექმნას საქართველოს სხვადასხვა ქალაქში; პროკლამაციებისა და გაზეთების მეშვეობით ქართველი ერის გამოღვიძებასა და დარაზმვას დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად. პროგრამა მაქსიმუმი კი ითვალისწინებდა კავკასიის ერთა გათავისუფლებას რუსეთის იმპერიისგან. სწორედ ამიტომ ორგანიზაციას დაარქვეს „**ამიერკავკასიის ერთა გაერთიანებისა და გათავისუფლების ორგანიზაცია — აკეგო (შემდომში ორგანიზაციას ეწოდა კავკასიის ერთა კავშირი — კეკ)**“.

1962 წლის დასაწყისში **ზაურ ქობალიამ** ზუგდიდის რაიონული საავადმყოფოს სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგურის განყოფილებიდან გამოიტანა ხელით საბეჭდი მანქანა, რომელიც კონსპირაციულ ადგილას, ზუგდიდიდან 12 კილომეტრის მოშორებით, კორცხელის მღვიმეში (ადგილობრივები მას ორკინეს უწოდებენ) გადაიტანა. ვიდრე სასტამბო შრიფტებს იშოვიდნენ, პროკლამაციებს ამ მანქანაზე ბეჭ-

დავდნენ. სხვათა ყურადღება რომ არ მიექციათ, „არალეგალები“ კორცხელის მღვიმეში ღამით ადიოდნენ.

არალეგალური ჯგუფები შეიქმნა სოხუმში, ზესტაფონში, გეგეჭკორში. მათ შეემატნენ ახალი წევრები: **ომარ გაბუნია, თენგიზ ჯობავა, მიმოზა ბებია, შახი სიჭინავა, ალექო ქებაშვილი, ზაურ ჩქვანავა, რევაზ (ჯუმბერ) ყალიჩავა, იაშა ქობალია, რ. კინწურაშვილი...**

ორგანიზაციის წევრებმა 1962 წლის მაის-ივნის-აგვისტოში ზუგდიდში, ქუთაისში, ზესტაფონში, გეგეჭკორში, ცხაკაიასა და სოხუმში ერთდროულად გაავრცელეს პროკლამაცია მონოდებით:

„ამხანაგებო!

მუშაობა დაიწყო ამიერკავკასიის ერთა გათავისუფლებისა და გაერთიანებისათვის მებრძოლმა რევოლუციურმა კომიტეტმა. ისე, როგორც სხვა მოძმე რესპუბლიკაში, ქართველმა ხალხმა შექმნა სათანადო ორგანიზაციები სხვადასხვა ქალაქებში...

მუშებო და გლახებო!


ხმა აღიმადღეთ სკკპ 22-ე ყრილობის გადანყვეტილებათა წინააღმდეგ, ერთობლივი სუ-



მეგონა კაკაშვილი



ომარ გაბუნია




გრიგორ დვალი



თენგიზ ჯობავა

ლისკვეთებით გამოვიდეთ ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის დასაცავად. აღვადგინოთ ეროვნული თვითშეგნება და სიამაყე... ჩამოვხსნათ ნილაბი დემოკრატიული აღმით შენიღბულ კოლონიალიზმს! ხელოვნების მუშაკებო!..

ამხილეთ ხრუშჩოვის ავანტიურისტული პოლიტიკა... გვერდში ამოუდექით მუშებსა და გლეხებს. თქვენს ნაწარმოებებში გამოხატეთ მათი ნამდვილი სულისკვეთება და მისწრაფება.



ნოდარ ჯუღელი

ახალგაზრდებო, სტუდენტებო და მოსწავლეებო... აქტიური მონაწილეობა მიიღეთ სამშობლოს გათავისუფლებისათვის ბრძოლაში. ჩამოაყალიბეთ მეზრძოლი ორგანიზაციები. ყურს ნუ დაუგდებთ მშიშრებს, მლიქვნელებსა და კარიერისტებს...


**თავისუფლება სამშობლოს!
ა ე რ“.**



ალექსანდრე ლომთაძე

1962 წლის აგვისტოში კომიტეტის საგანგებო სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება თბილისში შექმნილიყო ორგანიზაცია და გამოცემულიყო გაზეთი. ამ გადაწყვეტილების შესასრულებლად ინდიკო ქობალიას დაევალა მუხრან მაჭავარიანთან მისვლა,

რადგან ისინი ჯერ კიდევ არ იცნობდნენ ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას. გაზეთისათვის საჭირო შრიფტების შოვნა ზაურ ქობალიასა და თენგიზ ჯობავას დაევალა. თენგიზი იმ პერიოდში ენგურქალაღკომბინატის სტამბაში მუშაობდა და შრიფტები იქიდან ნაწილ-ნაწილ გამოიიტანა.



რევაზ მახარაძე

1963 წლის აპრილში ორგანიზაციის ხელმძღვანელები და აქტიური წევრები დააკავეს.

სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 303-304 მუხლებით და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგიამ დაადგინა: **ალექსანდრე ალექსის ძე ლომთაძე, რევაზ ამბროსის ძე მახარაძე, ჯემალ ალექსანდრეს ძე კაკაბაძე, ომარ მიხეილის ძე გაბუნია, თენგიზ დომენტის ძე ჯობავა, ნოდარ ლენტორის ძე ჯუღელი, მეგონა ამირანის ძე კაკაშვილი** ცნობილ იქნენ დამნაშავედ საქართველოს სსრ სსკ 71-ე მუხლის I ნაწილით, აგრეთვე 73-ე მუხლით და სსკ 71-ე მუხლის I ნაწილით და თითოეულს მიესაჯოს სამ-სამი (3-3) წლით თავისუფლების აღკვეთა მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში, რაც ჩათვალათ პირობითად და, თანახმად სსკ 46 მუხლისა, გამოსაცდელი ვადით თითოეულს დაენიშნოს სამ-სამი (3-3) წელიწადი.



ჯემალ კაკაბაძე

ეკატერინე (კატუშა) აბრამის ასული ბებია ცნობილ იქნა დამნაშავედ 71-ე მუხლის I ნაწილით, აგრეთვე 73-ე მუხლით და სსკ 71-ე მუხლის I ნაწილით მიესაჯა ორი (2) წლით თავისუფლების აღკვეთა მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში სასჯელის მოხდით.

ედემ დავითის ძე კვირტია ცნობილ იქნა დამნაშავედ 71-ე მუხლის I ნაწილით, აგრეთვე 73-ე მუხლით და სსკ 71-ე მუხლის I ნაწილით მიესაჯა სამი (3) წლით თავისუფლების აღკვეთა სასჯელის მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით.

ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე ფარცვანია, ინდიკო თევდორეს ძე ქობალია, ზაურ დავითის ძე ქობალია ცნობილ იქნენ დამნაშავედ საქართველოს სსრ სსკ 71-ე მუხლის I ნაწილით, აგრეთვე 73-ე მუხლით და თითოეულს მიესაჯა ხუთ-ხუთი (5) წლით თავისუფლების აღკვეთა მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში სასჯელის მოხდით.

ხუთი (5) წელი მიუსაჯეს გრიგოლ დვალსაც.

ზ. ქობალიამ, ი. ქობალიამ, გ. დვალმა, ნ. ფარცვანიამ, ე. ბებამ და ე. კვირტიამ სასჯელი მოიხადეს შორეულ მორდვეთში.

საპრობილიდან გამოსვლის შემდეგ **ზ. ქობალიამ, ა. სანაიამ, ვ. შურლაიამ, ი. ქობალიამ** კვლავ სცადეს ახალი იატაკქვეშა ორგანიზაციის შექმნა. **ვალტერ შურლაიამ** რჩევისათვის მწერალ **ლევან გოთუას** მიმართა. არჩევანი შემთხვევითი არ ყოფილა. შურლაიას პირადი ურთიერთობები ჰქონდა მასთან. გამორჩენილი ქართველი მწერალი **ლევან გოთუა** იყო **ვალტერის** მოთხოვნებისათუ **ლექსების ერთ-ერთი პირველი მკითხველი, შემფასე-**



1990 წლის ოქტომბრის თვის პირველი მრავალპარტიული
საპარლამენტო წინასაარჩევნო მიტინგი ზუგდიდში.
ვახტანგ (ლოთი) ქობალია, ინდიკო ქობალია, ვალტერ შურღაია,
კუკურ სორდია, ზვიად გამსახურდია.

ბელი და დამრიგებელი, რაც მთავარია, იგი ანტისაბჭოთა საქმიანობის გამო გულაგის არქიპელაგამოვლილი გახლდათ. ლევან გოთუამ ორგანიზაციის წევრებს თავშეკავება ურჩია.

ახალი ორგანიზაცია მაინც შეიქმნა და ის ლეჩხუმის ერთ-ერთ გამოქვაბულში დაბანაკდა. იქიდან ორგანიზაციამ სცადა ისა ქაძოევსა და ალი ხაშაგულგოვთან დაკავშირება და კავკასიის ერთა კავშირის (კეკ) სახელით ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის განხლება, მაგრამ ეს ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა.

ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ახალი აღმავალი პერიოდი 1970-იან წლების მეორე ნახევრიდან იწყება. მოძრაობის სათავეში საქართველოს ეროვნული გმირები **ზვიად გამსახურდია** და **მერაბ კოსტავა** იდგნენ.

1976 წელს ზვიად გამსახურდიას რედაქტორობით გამოდის არალეგალური ლიტერატურულ-პოლიტიკური ჟურნალი „ოქროს სანმისი“ და ჟურნალი „საქართველოს მოამბე“. სწორედ ამ პერიოდში იწყება ზუგდიდის არალეგალურ ორგანიზაციათა წევრების უშუალო ურთიერთობა და თანამშრომლობა ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავასთან. ისინი 80-იან წლებში, ეროვნული მოძრაობის ტალღის ხელახალი აზვირთების ჟამს, ზუგდიდსა და, საერთოდ, სამეგრელოს რეგიონში საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის შუაგულში ტრიალებენ.

ზაურ ქობალიას, ვალტერ შურღაიას, ინდიკო ქობალიას, ანრიდ სანაიას, სერგო სორდიას, რუსლან ქირიას ძალისხმევით შეიქმნა ზვიად გამსახურდიას მიერ დაფუძნებული „ჰელსინკის კავშირის“ ზუგდიდის ორგანიზაცია და ისინი იყვნენ პირველი წევრები. ისინი ხელმძღვანელობდნენ 1980-იანი წლების მრავალათასიან მიტინგებს, აქციებს რეგიონში. ისინი მიუძღოდნენ წინ მრავალათასიან ლაშქარს, რომელიც 1989 წლის ივლისში მიადგა მდინარე ლალიძგას აფხაზი სეპარატისტებისა და მათი წამქეზებლების ასალაგმავად.

14 აპრილი — დედაენის დღე



დედაენის ძეგლი თბილისში.
მოქანდაკე
ელგუჯა ამაშუკელი

„რა ენა ნახდეს, ერიც დაეცეს“ — ბრძანებდა გრიგოლ ორბელიანი... და, როცა ქართულ ენას რეალური საფრთხე შეექმნა, მთელი ერი გამოვიდა მშობლიური ენის დასაცავად...

1977 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ მიიღო საბჭოთა კავშირში შემავალი მცირე ერების ენის გაუქმებისა და სახელმწიფო ენად რუსული ენის გამოცხადების გადაწყვეტილება. შესაბამისად იცვლებოდა საქართველოს კონსტიტუციაც, საიდანაც

უნდა ამოღებულიყო მუხლი, რომლითაც რესპუბლიკის სახელმწიფო ენად ქართული ენა მიიჩნეოდა. ფაქტობრივად, ეს ნიშნავდა ქართული ენის გაუქმებასა და სახელმწიფო ენად რუსული ენის გამოცხადებას, ე. ი. გარუსების პოლიტიკის დაჩქარებას. ამის საპასუხოდ 1978 წლის 12 აპრილიდან თბილისში დაიწყო მასობრივი საპროტესტო გამოსვლები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან შოთა რუსთაველის გამზირისკენ 14 აპრილს, დილის 10 საათზე, სტუდენტთა მსვლელობა დაიწყო. გზადაგზა მას სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები უერთდებოდნენ. დემონსტრანტთა კოლონაში ყველა ფენის წარმომად-

გენლები აღმოჩნდნენ. პარალელურად დემონსტრაციები ბათუმში, სოხუმსა და სხვა ქალაქებშიც გაიმართა. იმ დღეს ქართველმა საზოგადოებამ დიდი გონიერება გამოიჩინა, აქციაში არ შეიმჩნეოდა ძალაუფლებისათვის ბრძოლის არანაირი ქმედება.

„... ტოტალურ სახელმწიფოში არავინ იხედებოდა კონსტიტუციაში, მაგრამ 1978 წელს საქართველოში ვიღაცამ კონსტიტუციის კანონპროექტში ჩაიხედა და აღმოაჩინა, რომ კონსტიტუციის მიღების მერე ქართველთა სახელმწიფო ენა — ქართული, იურიდიულად აღარ იარსებებდა და მთელი საზოგადოება მშობლიური ენის დასაცავად შეიკრა. ხელისუფლება ცდილობდა საპროტესტო ტალღა არ აგორებულყო. ამ მოვლენამ ისიც გამოაჩინა, რომ საბჭოთა წყობა საკმაოდ მორყეული იყო... საქმე ისაა, რომ ყველა საბჭოთა რესპუბლიკას ჩვენ სიმამაცის მაგალითი მივეცით. — **ავთანდილ არაბული**, ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი (სააგენტო „For.ge“ 2014 წ. 14 აპრილი)“.

ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციის გამო მთავრობა იძულებული გახდა დაეკმაყოფილებინა საპრო-



ანატოლ (ტოლიკა)
დამენია

ტესტო აქციის მონაწილეთა მოთხოვნა და, კონსტიტუციის 75-ე მუხლის თანახმად, საქართველოს სსრ სახელმწიფო ენად ქართული ენა გამოცხადდა. ამ საპროტესტო აქციაში სხვა სტუდენტებთან ერთად მონაწილეობდნენ ზუგდიდელი სტუდენტებიც. აი, როგორ იხსენებს იმ დღის ამბებს **ანატოლ (ტოლიკა) დამენია**: „როცა ეს ამბები

ხდებოდა, საქართველოს პოლიტიკური ინსტიტუტის დამამთავრებელ კურსზე ვიყავი, პრაქტიკებზე დავდიოდი. შინაგანი პროტესტის გრძნობამ არ მომასვენა და დილით ადრე გავედი ბინიდან. მთავრობის სახლს მივაშურე, არავინ იყო, მერე ინსტიტუტისკენ წავედი, უნივერსიტეტისკენ გავემართე, აქაც სიმშვიდე იყო. ვერ ვისვენებდი. ზოგიერთი ლექტორი სტუდენტებს აფრთხილებდა, არ გასულიყვნენ ქუჩაში, მაგრამ დაგროვილმა პროტესტმა უცებ ამოხეთქა, უნივერსიტეტის ეზოში სტუდენტები შეიკრიბა, მათ ლექტორ-მასწავლებლებიც შეუერთდნენ“.

გურამ მოლაშხია: „აქციის დასაშლელად რუსთაველზე ავტომობილები შემოუშვეს, მაგრამ ახალგაზრდობამ წინააღმდეგობა გაუწია. მომიტინგეები პირდაპირ ქუჩაში დასხდნენ, რათა ავტომანქანები არ შემოსულიყო, რამაც ხელისუფლება აიძულა უკან დახეულიყო. ეს ინფორმაცია უცხოეთის საინფორმაციო არხებმა, მათ შორის, „ბიზისიმ“ გადასცა“.



გურამ მოლაშხია

ამ აქციაზე იყვნენ ზუგდიდელები: **რაინდ კილასონია, ჯამბულ გულორდავა, რეზო ჯანაშია, თამაზ ჯიქია, თემურ გულორდავა, ვალერ ქობალია, მურად და მურმან ჯაბუები, თენგიზ მიქავა, სოსო ლაგვილავა (კობახიძის ქუჩიდან), თორნიკე და გულნარა (გულიკო, მიმოზა) დამენიები, მანანა სოტკილავა, ბორის ქარჩავა, გურამ მაქაცარია, ნოდარ ტიბუა, აბესალომ იზორია, თორნიკე ხუბუა, რამინ მესხია, ავთო თორდია, შახი ჯალალონია, გურამ და ზაურ მოლაშხიები...** (არასრული სია).

საქართველოში 1990 წლიდან 14 აპრილი აღინიშნება როგორც დედაენის დღე.

ეროვნული მოძრაობა ქალაქ ზუგდიდში



თამაზ შორშოლიანი

ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ძველ მებრძოლებს ახალი თაობა შეემატა. თბილისის პარალელურად ქალაქ ზუგდიდში იქმნება არაფორმალური ორგანიზაციები. კერძოდ, 1987 წლის სექტემბერში დაფუძნდა ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ზუგდიდის ორგანიზაცია, რომლის თავმჯდომარედ **თამაზ შორშოლიანი** იქნა არჩეული. თამაზ შორშოლიანი ასევე ზუგდიდში აარსებს „წმინდა ილია მართლის საზოგა-

დობას“ და „საქართველოს დამოუკიდებლობის პარტიას“.

ეროვნულ მოძრაობაში აქტიურად ებმებიან: ნუგზარ ქანთარია, ლუარა კვირკველია, ქეთინო ტაბალუა, მაცი ხორავა, ზეინაზ სარია, დალი ჯოლოხავა, მაია ბარამია, მანანა ბუკია, ნატრული (ნატო) აკობია, ულდან შელია, ლადო ჭურღულია, ციალა შელია, შაქრო როგავა, ელდარ (არწივა) შელია, რევაზ ფიფია, გური ხორავა, ზაურ გერგედავა, გუგუტა შედანია, გიზო კვერნაძე, როინ თირქია, თემურ ცანავა, ზვიად კიტია, ამირან (პაშა) ქარდავა, თემურ (ვანა) ვანაძე, ედემ კეკუტია, აბესალომ ტულუში, მერაბ ყვანია, მადონა მაქაცარია, ალბი-

ნა გაგნიძე, ელგუჯა ძიმცეიშვილი, თენგიზ გაბედავა,
ბორის ქარჩავა, დემურ ანთია, სოსო კაკულია, დავით
დავითულიანი, მანანა სოტკილავა, კობა კვარაცხელია,
იზო ხასია და სხვები...



საპროტესტო აქცია ზუგდიდში.
1988-1989 წწ.

9 აპრილის ტრაგედია

ანტისაბჭოთა მოძრაობა საქართველოს სსრ-ში 1988 წლისთვის გაფიცვებისა და მიტინგების სახით უფრო გააქტიურდა. კონფლიქტს საბჭოთა ხელისუფლებასა და ქართველ პატრიოტებს შორის კიდევ უფრო ამწვავებდა 1989 წლის 18 მარტის ე. წ. „ლიხნის კრება“, სადაც აფხაზმა სეპარატისტებმა საქართველოსგან გამოყოფა და 1921-1931 წლებში არსებული აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სტატუსის აღდგენა მოითხოვეს. ამის საპასუხოდ საქართველოში საპროტესტო გამოსვლები დაიწყო.

საპროტესტო აქციებმა პიკს მიაღწია 1989 წლის 4 აპრილს, როდესაც ათეული ათასობით ქართველი შეიკრიბა მთავრობის სახლის წინ, რუსთაველის გამზირზე. მიმიტინგეებმა **ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას, გიორგი ქანტურიას, ირაკლი ბათიაშვილის, ირაკლი ნერეთლის** ხელმძღვანელობით მოაწყვეს მშვიდობიანი დემონსტრაცია და შიმშილობა დაიწყეს აფხაზი სეპარატისტების დასჯისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნით. ადგილობრივმა საბჭოთა ხელისუფლებამ დაკარგა კონტროლი სიტუაციაზე და ვეღარ აცხრობდა საპროტესტო აქციებს.

6 აპრილიდან თბილისში იმყოფებოდნენ სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილე გენერალი **კონსტანტინე კოჩეტოვი**, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი **იგორ როდიონოვი**.

გაიცა ბრძანება რეგულარული და შინაგან საქმეთა ჯარების თბილისში გადასროლის შესახებ. ქალაქში შევიდნენ საგანგებო დანიშნულების მოტომსროლელთა დი-


ვიზიის მე-4 პოლკი, საგანგებო დანიშნულების მილიციის რაზმები პერმიდან და ვორონეჟიდან.

8 აპრილს გაიმართა რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს სხდომა, სადაც როდიონოვმა და კოჩეტოვმა სხდომის მონაწილეებს მისცეს დაპირებები, რომ ოპერაცია ჩაივლიდა უსისხლოდ. როდიონოვმა ოპერაციაზე თანხმობა თავდაცვის მინისტრ იაზოვისგან მიიღო, ხოლო სკკპ ცკ-ის გადაწყვეტილებით, ოპერაციის უკეთ წარსამართავად გაერთიანდა თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალები.

აქციის დარბევისას გამოიყენეს ქიმიური საშუალებები, სასანგრე ბარები, ცეცხლსასროლი იარაღი, ჯავშანტრანსპორტიორები და ტანკები.

საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით მოწყობილი მშვიდობიანი დემონსტრაციის დარბევისას დაიღუპა 21 ადამიანი, ასობით ადამიანი კი დაიჭრა, მოინამლა ან დასახიჩრდა...

ამ აქციაში მონაწილე ზუგდიდელებიდან დამავდნენ (არასრული სია): **მადონა ჭანია** — იმავე ღამეს გადაყვანილ იქნა საავადმყოფოში, **იზოლდა ჭკადუა** — მოტეხილობა ჰქონდა კოჭის არეში, **ნანი (ქეთინო) ქარჩავა** — მოინამლა, რომელიც წლების განმავლობაში მკურნალობდა როგორც ქართველ, ასევე გერმანელ ექიმებთან, გა-



კომისიების შემდეგ მიენიჭა მეორე ჯგუფის ინვალიდობა, იგი დღემდე აღრიცხვაზე იმყოფება.

1989 წლის 9 აპრილს თბილისში დატრიალებულმა სისხლიანმა მოვლენებმა გადაწყვიტეს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ბედი.

ეროვნული მოძრაობა საყოველთაო გახდა და ამ მოძრაობას შეემატა ახალი წევრები (არასრული სია): მთვარისა ფუტკარაძე, გულისა ჩაკაბერია, მარინე დამენია, ფერიდე აფაქიძე, ნანა აბულაძე, ლამარა (ლუიზა) თევზაძე, დოდო შეროზია, გოგოშა ბეჭვანია, ლეილა გიგიბერიანი, ლია ნაროუშვილი, მადლენა დამენია, დოდო სორდია, მზიურ კვარაცხელია, კობა და ალექსანდრე (ბაჩა) ხვედელიძეები, გია (კონგი) და გიზო მესხიები, გია და გოჩა ესებუები, რომან და რობერტ ბენდელიანები, კახა ვანაძე, ელდარ (კუსა) ბუკია, ვახტანგ (ლოთი), დათო და ზვიად ქობალიები, გურამი, როლანდი, ბადრი, მანონი და მაია მაქაცარიები, ნატო და გოჩა ნაჭყებიები, ვენერა და რეზო სორდიები, ანტონ არნანია, გურამ მოლაშხია, მიშა დადიანი, კახა მიქაია, ფრიდონ ქადარია, ჰამლეტ ლურწკაია, მერაბ კუკავა, სოსო თორია, რეზო ჯიქია, ჯემალ კუკავა, შუქრი გოგინავა, ვახტანგ (ქოქო) ვაჩაბერიძე, ანზორ ქაროსანიძე, დავით (დავა) მეუნარგია, ტიტვიკო კვარაცხელია, ოთარ ბუკია, კლიმენტი ლაგვილავა, სოსო ანთია, გოჩა ოთხოზორია, ამირან ქობალია, რეზო (ეროვნული) ხასია, სოსო ლაგვილავა, ჯუმბერ ჩაბალუხა, ჯანო რაფავა, გოჩა რაფავა, ომარ გოგოხია, ირაკლი ყვანია, ზაზა ანდრიაძე, გოჩა გულუა, ჯემალ შამათავა, კარლო ჯანაშია, ალექო თოდუა, ყუტა ბულია, დათო შამუგია, ბორია ლოგუა, რომან (მედვედ) ფუტკარაძე, გიორგი (გია) შონია...



1978 წლის 14 აპრილის მონაწილე ანატოლ (ტოლიკა) დამენიამ სამივე შვილი: ანჟელა, ნინო და ვიტალი საქართველოს ეროვნული დროშის ფორმით შემოსილი მოიყვანა 1990 წლის მიტინგზე, რომელიც ეძღვნებოდა 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიას.

1989 წლის 1 მაისს საბჭოთა საქართველოს ხელისუფლებამ მშრომელთა საერთაშორისო საზეიმო დღის აღსანიშნავად დროშები გამოფინა, რასაც ძლიერი საპროტესტო ტალღა მოჰყვა.

ქ. ზუგდიდში, ქალაქკომის წინ, **მარინე დამენიამ** დაიწყო მჯდომარე საპროტესტო აქცია. მალე მას **თამრო ცინდელიანი** და სხვებიც შეუერთდნენ. აქციის დაშლას შეეცადა ხელისუფლება, თუმცა ვერ შეძლო. ქალაქის ცენტრი მლოცველი მომიტინგეების მიერ სანთლის შუქით იყო განათებული. აქციამ შედეგი გამოიღო. დროშები ჩამოიხსნა. აქცია მაცხოვრის კარის ეკლესიაში ლოცვით დამთავრდა.

1989 წლის ივნისში საბჭოთა კავშირის მასშტაბით პირველად ზუგდიდში იქნა აღებული **ვ.ი. ლენინის** ძეგლი. სამწუხაროდ, ადგილობრივ მედიას ეს ფაქტი არ დაუფიქსირებია, მაგრამ თვითმხილველები დღესაც მრავლად არიან.

1989 წლის ივლისში აფხაზი სეპარატისტები ისევ გააქტიურდნენ. მათმა ქმედებამ 16 ივლისს პიკს მიაღწია. ერთ დღეში საქართველოს ყველა კუთხის მამულიშვილი მდინარე ლალიძგასთან დადგა, სადაც მოხდა შეიარაღებული შეტაკება... ამ პროცესების ეპიცენტრი იყო ზუგდიდი.

დიდია ზაურ ქობალიას როლი ლალიძგასთან მიმდინარე პროცესების განეიტრალებაში. აქ იგულისხმება შემდეგი: მან საკუთარ თავზე აიღო პასუხისმგებლობა, ციხისა და პოლიციისათვის იარაღები ჩამოერთმია და მოსახლეობა შეიარაღებულიყო. აფხაზეთისა და რუსეთის მხარე ამ მოულოდნელობამ იძულებული გახადა, უკან დაეხია, ხოლო ზაურ ქობალიას მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

მდინარე ლალიძგასთან მომხდარ კონფლიქტს ვიდ-
ეოაპარატივით იღებდა ზუგდიდელი **ბადრი მაქაცარია**
ეროვნული მოძრაობის გმირის
მერაბ კოსტავას დავალებით.

ამ დაპირისპირებისას დაილუ-
პა ზუგდიდელი **ონერ შენგელია**
და დაიჭრნენ **ვახტანგ ქობალია,**
ნუგზარ შანავა.

დღესაც შეუძლებელია აუ-
ღელვებლად იმ განცდის გადმო-
ცემა, რაც მდინარე ლალიძგასთან
და ზუგდიდში ადამიანებს დაეუ-
ფლათ.



ონერ შენგელია

პირველი მრავალპარტიული არჩევნები საქართველოში

1990 წლის 28 ოქტომბერს ჩატარდა პირველი მრავალ-
პარტიული, დემოკრატიული საპარლამენტო არჩევნები,
სადაც დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა ეროვნული
პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების საარჩევნო
ბლოკმა „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“
(სპიკერი: **ზვიად გამსახურდია**). საქართველოს უზენ-
აეს საბჭოში ცხრა ზუგდიდელი შევიდა. იმავე წლის 14
ნოემბერს საქართველოს ახლად არჩეული უზენაესი საბ-
ჭოს პირველ სესიაზე უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ
ერთხმად იქნა არჩეული ბატონი **ზვიად კონსტანტინეს**



სურათზე ზუგდიდის ბატალიონის ერთი ნაწილი სამაჩაბლოში.
დგანან: მარცხნიდან მეოთხე ბადრი მაქაცარია, ფაცაცია, ჯანო რაფავა.
სხედან: მარცხნიდან მეორე თენგიზ შანავა (ხუსტლიკი), კორკელია.


ძე გამსახურდია. იმავე სესიაზე რესპუბლიკას ეწოდა „საქართველოს რესპუბლიკა“, დამტკიცებულ იქნა ახალი სახელმწიფო სიმბოლიკა და სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე გამოცხადდა გარდამავალი პერიოდი.

დიდი პრობლემები შეიქმნა სამაჩაბლოში. იგი ყოფილი საქართველოს სსრკ-ს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიას წარმოადგენდა 1922-1990 წლებში.

1989 წელს დაწყებული ქართულ-ოსური კონფლიქტის შედეგად საქართველოს უზენაესმა საბჭომ ოლქის სტატუსი გააუქმა (1990 წლის 10 დეკემბერი). რეგიონის აღსანიშნავად საქართველოს კონსტიტუციაში იხმარება ტერმინი „ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“, ხოლო სხვა ოფიციალურ დოკუმენტებში — „ცხინვალის რეგიონი“ ან „ცხინვალის რეგიონი (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი)“.

სეპარატისტულმა ძალებმა 1990 წელს დამოუკიდებლობა გამოაცხადეს სახელწოდებით — „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკა“, რამაც 1991-1992 წლებში რეგიონში საომარი მოქმედებები გამოიწვია.

სამაჩაბლოში 1991 წლის 27 მარტს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში ზუგდიდიდან დაიღუპა სამი მამულიშვილი:



ჯანო რაფავა

რაფავა ჯანო დურუს ძე, დაბადებული 1950 წ. 10 სექტემბერს;

ბენდელიანი რომან შოთას ძე, დაბადებული 1970 წ. 11 აპრილს;

ყურნუა პაატა ედიშერის ძე, დაბადებული 1969 წ. 1 დეკემბერს.

არ შემიძლია არ აღვნიშნო, როცა სამაჩაბლოდან ბიჭები ჩამოასვენეს, გარდაცვლილი **ჯანო რაფავას** სახლში 16 წლის **ზვიად ლელაძემ** სკოლის ფორმა გაიხადა და სამხედრო ფორმა ჩაიცვა. მას არაერთმა ყმანვილმა მიბაძა.



პაატა ყურნუა



რომან ბენდელიანი

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა

1991 წლის 31 მარტს საქართველოში ჩატარდა საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმი. მისი ერთადერთი კითხვა იყო: **„გსურთ თუ არა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე?“**

რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო მოსახლეობის საერთო რაოდენობის 90,3%-მა. დადებითი პასუხი გასცა ქვეყნის საარჩევნო ხმის უფლების მქონე მოსახლეობის 98%-მა, მათ შორის — აფხაზებმა და ოსებმა. რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე, 1991 წლის 9 აპრილს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო **„საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი“**, რომელსაც სხვებთან ერთად 10 ზუგდიდელი აწერს ხელს. აღდგენილ იქნა დამოუკიდებელი საქართველოს დროშა, გერბი და ჰიმნი. (2004 წლის აპრილში, საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების დროს საქართველოს ჰიმნი **„დიდება“** შეიცვალა ახალი სახელმწიფო ჰიმნით — **„თავისუფლება“** და ასევე შეიცვალა დროშაც). 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ იქნებოდა 1918-1921 წლებში არსებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართალმემკვიდრე.

დამოუკიდებლობის აქტში ნათქვამი იყო:

„საქართველოს სახელმწიფოებრიობა, რომელიც საუკუნეთა სიღრმეში იღებს სათავეს, ქართველმა ერმა მე-

19 საუკუნეში დაკარგა რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიისა და სახელმწიფოებრიობის გაუქმების შედეგად. ქართველი ხალხი არასოდეს შეჰგუებია თავისუფლების დაკარგვას. 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებით აღდგა საქართველოში გაუქმებული სახელმწიფოებრიობა. შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მრავალპარტიულობის საფუძველზე არჩეული ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოებით და კონსტიტუციით.

1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა უხეშად დაარღვია საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება და შეიარაღებული აგრესიის გზით მოახდინა თავის მიერვე ცნობილი საქართველოს სახელმწიფოს ოკუპაცია, რასაც შემდგომში მოჰყვა მისი ფაქტობრივი ანექსია.

საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ნებაყოფლობით არ შესულა, ხოლო მისი სახელმწიფოებრიობა დღესაც არსებობს, დამოუკიდებლობის აქტი და კონსტიტუცია დღესაც იურიდიული ძალის მქონეა, ვინაიდან დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას კაპიტულაციისაზე ხელი არ მოუწერია და განაგრძობდა მოღვაწეობას ემიგრაციაში.

საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველოს იძულებით ყოფნის მთელი პერიოდი აღინიშნა სისხლიანი ტერორითა და რეპრესიებით, რისი უკანასკნელი გამოვლინებაც იყო 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია. ფარული ომი საქართველოს წინააღმდეგ დღესაც გრძელდება. მისი მიზანია დააბრკოლოს საქართველოს სწრაფვა თავისუფლებისა და დემოკრატიისაკენ.

1990 წლის 28 ოქტომბერს მრავალპარტიული, დემოკრა-

ტიული გზით არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, ეყრდნობა რა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით გამოხატულ საქართველოს მოსახლეობის ერთსულოვან ნებას, ადგენს და საქვეყნოდ აცხადებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას საქართველოს დამოუკიდებლობის 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე.

საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის ტერიტორია ერთიანი და განუყოფელია. მის ტერიტორიაზე უზენაესია მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია და ხელისუფლება. ყოველი მოქმედება, მიმართული საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უზენაესობის შეზღუდვის ან ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ, ჩაითვლება სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევად და აგრესიად, საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეშ დარღვევად.

საერთაშორისო სამართლის პრიმატი საქართველოს რესპუბლიკის კანონების მიმართ და მისი ნორმების პირდაპირი მოქმედება საქართველოს ტერიტორიაზე ცხადდება საქართველოს რესპუბლიკის ერთ-ერთ ძირითად კონსტიტუციურ პრინციპად.

საქართველოს რესპუბლიკა, ისწრაფვის რა დაიკავოს ღირსეული ადგილი მსოფლიოს სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, აღიარებს და თანაბრად უზრუნველყოფს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ ადამიანის, ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი ჯგუფების ყველა ძირითად უფლებას და თავისუფლებას, როგორც ამას მოითხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო პაქტები და კონვენციები.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აცხადებს, რომ მტკიცედ დაიცავს სხვა სახელმწიფოებთან პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა სრულად შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, ჰელსინკისა და ვენის აქტებს, რომლებიც აღიარებენ და განამტკიცებენ ყველა ხალხის უფლებას, დამოუკიდებლად განაგოს თავისი ქვეყნის პოლიტიკური ბედი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო იმედოვნებს, რომ სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობა არ დარჩება გულგრილი ქართველი ხალხის კანონიერი და სამართლიანი ნაბიჯისადმი და აღიარებს საქართველოს აღორძინებულ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, რაც საქართველოს უშიშროების ერთ-ერთი ყველაზე მტკიცე გარანტია იქნება.

**თბილისი, მთავრობის სასახლე,
1991 წლის 9 აპრილი, 12 საათი და 30 წუთი.**

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დე-ფაქტო ცნობა

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადების დღეს, 1991 წლის 9 აპრილს, აშშ-ის კონგრესმა საგანგებო რეზოლუციით ლეგიტიმურად ცნო 31 მარტის რეფერენდუმის შედეგები, რაც წარმოადგენდა საქართველოს დამოუკიდებლობის დე-ფაქტო ცნობას.

სხვადასხვა ქვეყნების მიერ საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, ცნობა სსრ კავშირის დაშლამდე, 1991 წლის აგვისტოდან, დაიწყო.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დე-იურე ცნობა

საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა დე-იურედ ცნეს: **რუმინეთმა, მოლდოვამ** (1991 წლის 27 აგვისტო); **აზერბაიჯანმა** (1991 წლის 30 აგვისტო); **სომხეთმა** (1991 წლის 13 სექტემბერი); **უკრაინამ** (1991 წლის 12 დეკემბერი), **თურქეთმა** (1991 წლის 16 დეკემბერი); **მონღოლეთმა, ლიტვამ** (1991 წლის 20 დეკემბერი). მომდევნო ორი კვირის მანძილზე საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა ოცზე მეტმა ქვეყანამ, მათ შორის: **აშშ-მ, კანადამ, ირანმა** (1991 წლის 25 დეკემბერი); **ბრაზილიამ, კუბამ, ტაილანდმა, ინდოეთმა** (1991 წლის 26 დეკემბერი); **ვიეტნამმა, ბელორუსიამ, ეგვიპტემ, ალჟირმა, ჩინეთმა, სლოვენიამ** (1991 წლის 27 დეკემბერი); **ხორვატიამ, იორდანIAM** (1991 წლის 28 დეკემბერი); **ლიბანმა** (1991 წლის 30 დეკემბერი); **პაკისტანმა** (1991 წლის 31 დეკემბერი); **ერაყმა, ეთიოპიამ, ლარსმა** (1992 წლის 2 იანვარი) და სხვებმა.

პირველი საპრეზიდენტო არჩევნები



საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.
1991 წ.

1991 წლის 26 მაისს ჩატარდა პირველი საპრეზიდენტო არჩევნები. საქართველოს მოსახლეობის 87%-მა საყოველთაო და დემოკრატიულ არჩევნებში საქართველოს რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტად აირჩია **ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდია**.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებამ მძაფრი რეაქცია გამოიწვია ავტონომიურ რესპუბლიკებში, რასაც მოჰყვა სამოქალაქო შეიარაღებული დაპირისპირება და სეპარატისტული რეჟიმების ჩამოყალიბება აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში (შიდა ქართლში, სამაჩაბლოში).

ბრძოლა რეალური დამოუკიდებლობისათვის

საქართველო რეალური დამოუკიდებლობისაკენ სულ უფრო მტკიცედ მიაბიჯებდა. მიღებულ იქნა კანონები: „საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ“ (პირველი მოსმენით) — 1991 წლის 28 ივნისს; „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ“ — 1991 წლის 2 აგვისტოს; „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის შესახებ“ — 1991 წლის 9 აგვისტო; „საინვესტიციო საქმიანობის შესახებ“; „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“; „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“ — 1991 წლის 10 აგვისტო.

დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბების გზაზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გახლდათ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება „საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს შესახებ“ — 1991 წლის 9 სექტემბერი, რომელსაც მოჰყვა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკაში სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სტატუსის შეჩერების შესახებ“, რომლითაც საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები გამოცხადდა საოკუპაციო შეიარაღებულ ძალად.

ზემოთ აღნიშნულს მოჰყვა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კანონები: „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სტატუსის შესახებ“; „სსრ კავშირის სახელმწიფო საკუთრებაში საქართველოს წილის შესახებ“; „საქართველოს რესპუბლიკის საბაჟოს შესახებ“; „საქართველოს რესპუბლიკის საჰაერო სივრცის შესახებ“ — 1991 წლის 15 სექტემბერი და სხვა.

საქართველოს ეროვნული გვარდია



საქართველოს ეროვნული გვარდია შეიქმნა 1990 წლის 20 დეკემბერს საქართველოს უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით „საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების, ეროვნული გვარდიის შექმნის შესახებ“, რითაც დაიწყო საქართველოს შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბება.

მას შემდეგ, რაც თენგიზ კიტოვანი განუდგა პრეზიდენტს, 1991 წლის აგვისტოდან, საქართველოს პრეზიდენტმა ეროვნული გვარდიის სარღლად დანიშნა **ვახტანგ (ლოთი) ქობალია**.

აი, როგორ იხსენებს საქართველოს პირველი, კანონ-



საქართველოს ეროვნული გვარდიის სარდალი
ვახტანგ (ლოთი) ქობალია.

იერი ხელისუფლების ეროვნული გვარდიის სარდალი **ვახტანგ ქობალია** რიგითი მებრძოლიდან სარდლამდე განვლილ გზას:

„9 აპრილის შემდეგ საბჭოთა კავშირის ხელისუფლებამ ქართული მოსახლეობა მთლიანად განაიარაღა და მოუსპო ყოველგვარი თავდაცვის საშუალება. აფხაზეთში 1989 წლის ივლისის მოვლენების დროს საქართველო ფეხზე დადგა და შეაჩერა პროვოკაციული შეიარაღებული თავდასხმა ქართულ მოსახლეობაზე. სულმნათმა მერაბ კოსტავამ მიმდინარე პროცესებს ალლო აულო და საზოგადოებას მოუწოდა სიმშვიდისკენ. სასიკვდილოდ დაჭრეს ონერ შენგელია. დაგვჭრეს მე და ნუგზარ შანავა, მაგრამ ჩვენი ჭრილობა არ იყო მძიმე. ბარძაყზე გამჭოლ ტყვიას ხელი არ შეუშლია შეგვეკრა 400-კაციანი ჯგუფი (თითქმის არც ერთი არ ვიცნობდით ერთმანეთს), რომელიც სოხ-

უმში უნდა ჩასულიყო ქართული მოსახლეობის დასახმარებლად. ამ ჯგუფში შედიოდა რამდენიმე ქალბატონი, რომლებსაც სახლიდან სანადირო თოფები წამოეღოთ და ჯარისკაცებივით მწყობრში ჩამდგარიყვნენ.

15 ივლისს, საღამოს, რუსულმა მხარემ ჯარის ნაწილები ჩააყენა მდინარე ღალიძგასთან. ის ღამე ჩვენ ილორის ეკლესიის ეზოში გავატარეთ. დილისთვის უნდა გადავსულიყავით მდინარე ღალიძგაზე. იმ დღეს ზუგდიდვაჭრობის დირექტორი **იმედი ალშიბაია** სურსათით დატვირთული მანქანით მოვიდა. ამ პიროვნებამ არაერთხელ გაიღო თავისი კაცური წილხვედრი ეროვნულ მოძრაობაში. მას ჩვენს მარჩენალს ვეძახდით...

მერაბ კოსტავამ მებრძოლების მეთაურად დამნიშნა და მითხრა: „შენ ინიშნები ამათ მეთაურად და უხელმძღვანელებ ხვალინდელ ოპერაციას!“

ამ დღიდან ჩამოყალიბდა ზუგდიდის მებრძოლთა ჯგუფი, რომლის ბაზაზე შემდგომში ქართველ „შავარდენტა ლეგიონის“ სახელით სამაჩაბლოში კონფლიქტის დროს სოფელ ავნევში დავიდეთ ბინა და, სანამ შევარდნაძის ბანდებმა არ შეუტიეს მთავრობის სასახლეს, მანამდე იქ ვიმყოფებოდით.

ჩვენთან მოდიოდნენ ძალიან ახალგაზრდა ბიჭები, საბჭოთა ჯარებიდან გამოქცეული ჯარისკაცები, რომელთაც სურდათ ემსახურათ ქართულ არმიაში. ამ დროისთვის ჩემი შვილები — ზვიადი და დათა აღმოსავლური ორთაბრძოლის თანრიგოსნები — 15-16 წლისანი იყვნენ და მომთხოვეს ჩამეწერა მებრძოლთა სიაში. მიუხედავად ჩემი უარყოფისა, ერთ დღეს, როცა ერთი ჯგუფი მიმყავდა ავნევში (სამაჩაბლოში) მორიგეთა შესაცვლელად, ორივე იარაღსხმული მანქანაში დამხვდა. ჩემმა მეუღლემ (ნელი) თვალცრემლიანმა ვალტერ შურღაიას შესტირა,

რომელიმე მაინც დამეტოვებინა, მაგრამ რომელ დედას უყვარს თავისი შვილი ასაკის მიხედვით. დიდია თუ პატარა, დედისთვის სულერთია. 18-19 წლის ყმანვილები მიმყავდა საბრძოლველად სამაჩაბლოში და ჩემს შვილებს ხელს ვერ დავაფარებდი. ორივე ყველა საომარ ოპერაციაში იღებდა მონაწილეობას.

„შავარდენტა ლეგიონს“ ხელმძღვანელობდა ელგუჯა ნიკლაური, რომელმაც დასავლეთ საქართველოს სადროშოს სარდლად დამნიშნა, გადმომცა საბრძოლო დროშა, რომელსაც დღემდე ვინახავ. 1990 წლის 25 დეკემბერს უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი „ეროვნული გვარდიის შინაგანი ჯარების შექმნის შესახებ“ და მაშინვე „შავარდენტა ლეგიონი“ გახდა ეროვნული გვარდიის შინაგანი ჯარების ნაწილი, რომელშიც შედიოდა ზუგდიდის, ფოთის, სენაკის, გალის, სოხუმის, გაგრის, სამტრედიის ბატალიონები.

პირველი წვევამდელი მივიღეთ 21 მაისს. 22 მაისს ჩამოვედით ზუგდიდში და შეუძლებელი შევძელით. 1991 წლის 26 მაისს ჩატარდა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის, შინაგანი ჯარების პირველი აღლუმი. პირველად ჩაბარდა პრეზიდენტს პატაკი. ეს მსოფლიომ ნახა. შემდგომ ხუნტის მესვეურებმა აღლუმის მსვლელობის კადრებიდან ამოიღეს გარკვეული ნაწილი, მაგრამ არსებობს ფოტოკადრები, რომლებიც ჯერ კიდევ შემორჩა ეროვნული გვარდიის არქივს. 1991 წლის აგვისტოდან დავინიშნე ეროვნული გვარდიის სარდლად“.

სამხედრო გადატრიალება

1991 წლის სექტემბერში რადიკალურმა ოპოზიციონერებმა დაიწყეს პროვოკაციული მიტინგები. 22 დეკემბრიდან ოპოზიციის მოქმედების შედეგად თბილისში დაიწყო პუტჩი, რაც დასრულდა 1992 წლის 6 იანვარს საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სამშობლოდან განდევნით.

ზვიად გამსახურდიამ კარგად იცოდა, ვინ და რა ძალები მართავდნენ ქუჩის ოპოზიციას; ჭვრეტდა, თუ რა სავალალო და გამოუსწორებელი შედეგები შეიძლებოდა მოჰყოლოდა მათ მოქმედებას, ამიტომაც აფრთხილებდა, მოუწოდებდა ოპოზიციონერებს კეთილგონიერებისკენ:

„... მე მინდა ძალზე გულწრფელი საუბარი თქვენთან და ქართველ ერთან... ჩემი ეს გამოსვლა არ გეგონოთ ულტიმატუმი ან რაღაც სასონარკვეთილებაში ჩავარდნილი ადამიანის განცხადება. ეს არის რეალობა, რასაც მე თქვენ მოგახსენებთ... მე მივცემ პირუთვნელ შეფასებას შექმნილ სიტუაციას და იმ მოსალოდნელ შედეგებზე გესაუბრებით, რაც შეიძლება მოჰყვეს ყოველივე ამას, ვინაიდან გაცილებით მეტი ინფორმაცია მაქვს ყველაფერზე, ვიდრე ყოველ თქვენგანს...

სრული პასუხისმგებლობით გეუბნებით:

... ჩემი პოსტიდან წასვლა გამოიწვევს საქართველოში, სულ მცირე, რამდენიმე ათეული პარალელური მთავრობის შექმნას და რამდენიმე პრეზიდენტის აღმოსცენებას. უფრო მეტიც, გამოიწვევს საქართველოს ადგილზე რამდენიმე სახელმწიფოს ჩამოყალიბებას. აბსოლუტური გადაჭარბების გარეშე გეუბნებით, ფრჩხილებს არ ვხსნი, ყველანი მიხვდით, ყველამ დაძა-

ბეთ გონება და განსაკუთრებით, გთხოვთ, ბატონო ოპოზიციონერებო, თქვენ, რამეთუ არ იცით, რას ითხოვთ... ეს უახლეს ხანში გამოიწვევს საქართველოს სახელმწიფო მთლიანობის სრულ დეზინტეგრაციას და დარღვევას, სრულ ანარქიას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და კერძოდ, თბილისში... და მე დაგიხატავთ თბილისს, თუ ეს ამბავი მოხდა. აი, ასეთ შემთხვევაში თბილისი გადაიქცევა რამდენიმე უბნად დანაწევრებულ ქალაქად, სადაც იქნება ერთადერთი ხელისუფლება — შეიარაღებული ბანდები და მათი ხელმძღვანელები, ყოველი უბანი იქნება თითო შეიარაღებულისათვის და ზეგავლენისათვის... და იქნება მოსახლეობის არნახული ძარცვა, არნახული დარბევა, მოიშლება ყველაფერი: ელექტროენერგია, გაზი, კომუნიკაციები... საქართველოსაც გადაედება შემდეგ ეს ტენდენცია და საქართველოშიც დაიწყება იგივე ლიბანიზაცია...

საქართველო გახდება მსხვერპლი გოტალური ანარქიისა და, საერთოდ, საქართველოს არსებობა დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ. აი, რა მოჰყვება ჩემს შესაძლო გადადგომას...

... ეს არ არის მუქარა... ეს არ არის გადაჭარბება და ეს არ არის ჩემი პიროვნების, ვთქვათ, თავზე მოხვევა თქვენთვის, ანდა სურვილი, რომ მაინცდამაინც მე დავრჩე ამ პოსტზე. ჩემო ბატონებო, ეს არის რეალობა და მე გთხოვთ გაახილოთ თვალი და გაუმართოთ თვალი, აი, ამ რეალობას“... (ზ. გამსახურდიას გამოსვლიდან უზენაესი საბჭოს საგანგებო სესიაზე 1991 წლის 8 ოქტომბერს. — „საქართველოს რესპუბლიკა“, 11 ოქტომბერი, 1991 წ.).

ზვიად გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლების

დამხობით ხელისუფლების სათავეში მოექცა სამხედრო საბჭო **ჯაბა იოსელიანის, თენგიზ კიტოვანისა და თენგიზ სიგუას** შემადგენლობით. საბჭოს მეთაურობდა **თენგიზ სიგუა**. სწორედ იმ დღეს დაედო სათავე იმ განუკითხაობას, ნგრევასა და უბედურებას, რაც ჩვენმა ქვეყანამ გადაიტანა. სამხედრო საბჭომ იმავე წლის მარტში მოსკოვიდან ჩამოიყვანა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი ედუარდ შევარდნაძე და ძალაუფლება გადასცა მას, როგორც „სახელმწიფო საბჭოს“ თავმჯდომარეს.

ქვეყანაში დამყარდა **ედუარდ შევარდნაძის** რეჟიმი...




ვალტერ შურღაია

საქართველო არ შეჰგუებია კანონიერი ხელისუფლების იარაღის ძალით დამხობას. თბილისში საპროტესტო მიტინგების არაერთგზის ბარბაროსულად დარბევის შემდეგ ზუგდიდი გახდა საქართველოს კანონიერების აღდგენისათვის ბრძოლის ეპიცენტრი. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრმა **ვალტერ შურღაიამ** ზუგდიდში შექმნა საქართველოს ეროვნული დაუმორჩილებლობის კომიტეტი, რომელიც აერთიანებდა უზენაესი საბჭოს წევრებს, სტუდენტებს, ეროვნული მოძრაობის ლიდერებს. ამ კომიტეტში იყვნენ: **ზაურ ქობალია, ედემ კვირტია** (პრესცენტრის ხელმძღვანელი), **ანრიდ (ბუჭა) სანაია, ვია მამფორია, ვალერი გაბელია, ანზორ გვარამია, გურამ მაქაცარი, ზურაბ კვარაცხელია, მერაბ ჩუხუა, ზური გუჩუა, პეტრე ნაჭყებია, ზაურ კვარაცხელია, ვახტანგ ჭითავა.**



ზაურ ქობალა



ედემ კვირტია



ანრიდ (ბუჭა) სანანია



გია მამგორია



ვალერი გაბელა



ანზორ გვარამია



გურამ მექაცარია



ზური კვარაცხელია




მერაბ ჩუხუა



ზურაბ გურია



პეტრე ნაცყეზია



ზაურ კვარაცხელია

ზუგდიდის მოსახლეობის უმრავლესობა პრეზიდენტის მხარდამჭერი იყო. განსაკუთრებით აქტიურობდნენ: მანონ წურწუმია, ლონდა შენგელია, ნატო ღურჯია, ბაბუცა კვიციანი, ხვიჩა ოთხოზორია, მერაბ ლულათავა, ჯემალ ქობალია, როინ (ციგან) დარსანია, ბიჭი ჯანჯღავა, გივი სოხაძე, გივი (ბაბუ) შეროზია, ანზორ ჩხეიძე, მამუკა ხუბუა, ოთარ კოდუა, მალხაზ ჯინჯოლავა, ზური ქილავა, ბეჟან გვაზავა, თამაზ წურწუმია, რევაზ გულუა, გულად ხუბუა, ვენგერ ლურწკაია, ჯემალ (კაკუჩია) ქითანავა, ჯუმბერ შანავა, მიმოზა ზარანდია, ციალა ქობალია, ლამარა ქობალია, ცუბიკო მოსია, დალი ლატარია, სოსო ფარცვანია, ლამარა ქარდავა, თუნთუშა ერემაძე, ნორა შენგელია, გია ხუფაცარია, თენგო (ჯუთუ) ქუთელია, ფელიქს მუშუქია, პალიკო (კოჭო) ძაძამია, ზური ხუფაცარია, რობერტ ლურწკაია, გოდერძი შონია, გულიკო (მაგული) შონია, ტრისტან (ხაბუჯი) შონია, ვახტანგ შონია, შერმადინ მოლაშხია, ზაურ ბულია, რევაზ (დემიკო) გაბუნია, თენგიზ (კიროკი) ბულია, მერი, ენუქი და ონისე შონიები, გურამ წულაია, ფრიდონ როგავა, ენვერ ქობალია, არტუშა ქობალია, გაღვა ლატარია, არისტო თოლორაია, ანზორ გვაჯია, ვალიკო და ნატაშა აფხაზავები, გელა ქილაია, რუსგენ (სერჟანტი) ხასია... (არასრული სია).

საქართველოს ეროვნული მოძრაობა ორ ფრონტზე იბრძოდა: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის აფხაზეთში და კანონიერების აღდგენისათვის; იბრძოდა როგორც პოლიტიკური გზებით, ასევე სამხედრო შენაერთებით.

აფხაზეთის ომში ყველაზე მეტი დარტყმა ზუგდიდმა მიიღო. ამ ომში იბრძოდა ეროვნული გვარდიის ზუგდიდის №16 ბატალიონი. მოსახლეობის დიდი ნაწილი მოხალისედ წავიდა.



როლანდ მაქაცარია

როლანდ მაქაცარია (საქართველოს სპორტის ოსტატი, საქართველოს ჩემპიონი და თასის მფლობელი ფეხბურთში) სპეცდანიშნულების სპორტბატალიონი „ლაზი“ ჩამოაყალიბა. მას პრეზიდენტის დავალებით, 17 დღის განმავლობაში ქუბერში აჰქონდა სურსათ-სანოვაგე. მანვე ამ ხნის განმავლობაში ზუგდიდში 120 ათასამდე დევნილი ჩამოიყვანა და ასევე უზრუნველყო ზუგდიდში ჩამოყვანილი დევნილები სხვადასხვა რაიონებში გასამგზავრებელი თანხითა და ტრანსპორტით.

აფხაზეთიდან დევნილი ხალხი ზუგდიდს მოაწყდა. არ დარჩენილა ოჯახი, ვისაც დევნილი არ შეეფარებინოს.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვისათვის აფხაზეთში გაჩაღებულ ომს შეეწირნენ:

ხალვაში ბორის ლადოს ძე, დაბადებული 1953 წლის 20 მარტს, დაიღუპა 1992 წლის 4 აპრილს.

ბულია დემურ ნიკოლოზის ძე, დაბადებული 1954 წელს, დაიღუპა 1993 წლის 24 სექტემბერს.

გოგუა კობა ზაურის ძე, დაბადებული 1975 წელს, დაიღუპა 1993 წელს ტამიშთან.


დარასელია ემა ლუდუკის ასული, დაბადებული 1967 წლის 15 იანვარს, დაიღუპა 1993 წლის 28 სექტემბერს ტამიშთან.

მირგატია ვიტალი გურიას ძე, დაბადებული 1964 წლის 16 სექტემბერს, დაიღუპა 1993 წელს ტამიშთან.


ეს არის არასრული სია. იგი საზოგადოება „ხსოვნამ“ მოგვანოდა.



მირგატია ვიტალი



ბულია დემური



ხალვაში ბორისი



გოგუა კობა



დარასელია ემა

საქველმოქმედო საზოგადოება „ხსოვნა“

საქველმოქმედო საზოგადოება „ხსოვნა“ შეიქმნა 1992 წელს. ამ საზოგადოების წევრები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და კანონიერი ხელისუფლების აღდგენისათვის ბრძოლაში დაჭრილებს ეხმარებოდნენ; გარდაცვლილებს აპატიოსნებდნენ; საკუთარი ხელით, ღამღამობით, მალულად ჭედდნენ სასახლეებს და ჭირისუფლებს ისეთ შვილებს, ძმებს, მამებს ახვედრებდნენ, რომ ისინი მადლიერების გამოსახატავად სიტყვებს ვერ პოულობდნენ. ვისაც ჭირისუფალი არ გამოუჩნდებოდა, ქ. ზუგდიდის ძმათა სასაფლაოზე კრძალავდნენ....

1993 წელს, როდესაც საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია დაბრუნდა საქართველოში, კერძოდ ზუგდიდში, ერთ-ერთ შეხვედრაზე ბრძანა: „თქვენ მთელი საქართველო უნდა მოიცვათ“, — და იმ დღიდან საქველმოქმედო ორგანიზაცია „ხსოვნა“ გახდა სრულიად საქართველოს საქველმოქმედო ორგანიზაცია.

აღნიშნულ ორგანიზაციას თავიდან **ელგუჯა ბერულავა** ხელმძღვანელობდა. რამდენიმე თვეში ორგანიზაციის ხელმძღვანელი გახდა **მადონა მაქაცარია**. საზოგადოების წევრები იყვნენ: **მზიურ კვარაცხელია, მადლენა დამენია, დოდო შეროზია, ნუგზარ ყვანია, მალხაზ ღურნკაია, გენრიეტა ჭითანავა, ნინო აკობია, ალიკო თოდუა...**

ფასდაუდებელია საქველმოქმედო საზოგადოება „ხსოვნის“ ღვაწლი ეროვნულ მოძრაობაში და სასურველია მისი საქმიანობის შესახებ ცალკე ბროშურა გამოიცეს.



ელგუჯა ბერულავა




მადონა მაქაცარია



მადლენა დამენია



დოდო შეროზია



მალხაზი ღურნკაია



მზიურ კვარაცხელია



ალეკო თოდუა



გენრიეტა ჭითანავა



ნინო აკობია

კანონიერი ხელისუფლების აღდგენა დასავლეთ საქართველოში

აფხაზეთის ომმა კიდევ უფრო ნათელი გახადა ხუნტის მოღალატური არსი. ამან კი გააძლიერა საპროტესტო მოძრაობა მთელ საქართველოში და, განსაკუთრებით, სამეგრელოში. კანონიერების აღსადგენად აუცილებელი იყო ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობისა და საქართველოს კანონიერი ხელისუფლების ძალისხმევის გაერთიანება. სწორედ ამ მიმართულებით გაიშალა მძლავრი მუშაობა მთელ საქართველოში 1993 წლის ზაფხულში, რასაც შედეგად მოჰყვა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საგანგებო სესია იმავე წლის 8-9-10 ივლისს ქ. ზუგდიდში. ამავდროულად, აქვე ჩატარდა „თავისუფალი საქართველო — მრგვალი მაგიდის“ სხდომა. თანდათანობით გაიზარდა აღდგენილი კანონიერი ხელისუფლების არეალი. საქართველოს დევნილმა უზენაესმა საბჭომ 1993 წლის 2 სექტემბერს გამართულ მორიგ სესიაზე მიიღო დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის საქართველოში ფუნქციონირების აღდგენის შესახებ“ და „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის დევნილობიდან საქართველოში დაბრუნების შესახებ“. 1993 წლის აგვისტოს ბოლოდან მუშაობას შეუდგა კანონიერი მინისტრთა კაბინეტი.

1993 წლის 24 სექტემბერს **ზვიად გამსახურდია** ჩეჩნეთიდან სამშობლოში — სამეგრელოში (სენაკი) ჩამოფრინდა და ზუგდიდში, როგორც პრეზიდენტი, მუშაობას შეუდგა.

ხუნტისა და შევარდნაძის მდგომარეობა უკიდურესობამდე გამწვავდა. თვით ხუნტაში გაჩნდა და ფართოვდე-

ბოდა ბზარი. ზუგდიდს მოაშურეს ფაქტობრივი პარლამენტის ცალკეულმა წევრებმა და მთელმა ჯგუფებმა. იქმნებოდა რეალური პირობები კანონიერი, ეროვნული გვარდიისა და სამთავრობო ჯარის ნაწილების გაერთიანებისა და ერთობლივი ფრონტით შეტევისთვის. 26 სექტემბერს ზვიად გამსახურდია ოჩამჩირეში ჩავიდა ფრონტის ხაზზე და ყველას მოუწოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად ერთობლივი ბრძოლისაკენ, მაგრამ შევარდნაძემ ყველაფერი იღონა, რათა ჩაეშალა ეს გაერთიანება.

კანონიერმა ხელისუფლებამ მაშინვე საგანგებო განცხადებით მიმართა ქართველ ხალხს და შეატყობინა, რომ შევარდნაძის შემდგომი ნაბიჯი იქნებოდა სოხუმის ჩაბარება და აფხაზეთის საბოლოო გაყიდვა. მართლაც ასე მოხდა.

ნიშანდობლივია, რომ ვაშინგტონში კანონიერი ხელისუფლების შეფასებების სისწორეც იქნა აღნიშნული: **„გოლცი: —** დღეს შევარდნაძისათვის სამწუხარო და არსებითი მისი გადარჩენისათვის ისაა, რომ ყოველივე, რაც მოხდა 1992 წლის შემდგომ, პუტჩის შემდგომ, იყო გამსახურდიას მხარის წინასწარმეტყველების აღსრულება. მე არ დავეთანხმებოდი მათ წინასწარმეტყველებას, მაგრამ ყველაფერი ახდა. ისინი ამბობდნენ, რომ გამსახურდია დაამხეს იმისათვის, რათა ისევ დაებრუნებინათ შევარდნაძე თბილისში. შევარდნაძის მომხრეები ამას უარყოფდნენ, მაგრამ სამი თვის შემდეგ შევარდნაძე მართლაც დაბრუნდა თბილისში. თუ თქვენ გამსახურდიას მომხრეებს დაელაპარაკებით დღეს ან დაელაპარაკებოდით თუნდაც ერთი თვის წინათ — მათი წინასწარმეტყველება იყო, რომ შევარდნაძის მიზანი იყო სოხუმის მიყიდვა[!] აფხაზები-

სათვის, რუსებისათვის მისი ჩაბარება და საქართველოს იძულება, შესულიყო დამოუკიდებელი სახელმწიფოების კავშირში. ყველაფერი ეს მართლაც ასე მოხდა. მე არ ვეთანხმები საქართველოს წინააღმდეგ „დიდი შეთქმულების“ იდეას, მაგრამ ფაქტები კიდევ ერთხელ წითელ ხაზად გასდევნენ ყველაფერს“.

დაუმორჩილებელ სამეგრელოს, და არა მხოლოდ სამეგრელოს, **ედუარდ შევარდნაძის** ხელისუფლება ვერ მოერია და იძულებული გახდა, 1993 წლის ნოემბრის დასაწყისში მოენჯია ფოთში დისლოცირებული რუსეთის შავი ზღვის ფლოტის სამხედრო ხომალდები ადმირალ **იგორ ბალტინის** მეთაურობით და დახმარების შემთხვევაში რუსეთს საქართველოს დსთ-ში შეყვანა აღუთქვა.

სახელმწიფოს მეთაურის დავალებით, **ბალტინთან** მოლაპარაკებას **ავთანდილ მარგიანი** და **იგორ გიორგაძე** მართავდნენ. საქართველოს ხელისუფლება ბალტინს გარკვეული თანხის საფასურად სამხედრო ტექნიკასა და ცოცხალ ძალას სთხოვდა, სამთავრობო ძალები კი ხობისა და ზუგდიდის ასაღებად ემზადებოდნენ.

31 ოქტომბრიდან ზვიად გამსახურდიას დევნა აქტიურად დაიწყო შინაგან საქმეთა და უშიშროების სამსახურის სპეცდანიშნულების რაზმებმა გენერალ **გია გულუასა** და **იგორ გიორგაძის** მეთაურობით. ნოემბრიდან კი ამ ოპერაციაში რუსული სპეცდანიშნულების რაზმ „ლეტუჩიე მიშის“ მობილური დანაყოფი ჩაერთო.

ზუგდიდის მასშედი 1992-1994 წლებში


ეროვნული მოძრაობის აღმავლობის პერიოდში მასშედიამ დაიბრუნა თავისი მისია. რაიონულ გაზეთ „ოდიშში“ აშკარად იგრძნობოდა სიტყვის თავისუფლება, ერისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის თემების წინა პლანზე წამოწევა, რაც, სამწუხაროდ, დიდხანს არ გაგრძელებულა.

როდესაც ედუარდ შევარდნაძის უკანონო ხელისუფლება დამკვიდრდა საქართველოში და როდესაც სამეგრელოს რეგიონში სხვადასხვა მოძალადეებთან ერთად დათარეშობდა „მხედრიონი“, საგამომცემლო საქმიანობა გაძნელდა. 1992-1993 წლების ზუგდიდში საქალაქო, სარაიონო ბეჭდვითი ორგანო აღარ არსებობდა.

ცენტრალური ტელევიზია მხოლოდ უკანონო ხელისუფლებისათვის საჭირო ინფორმაციას გადმოსცემდა, რომელიც მტკნარი სიცრუით გამოირჩეოდა.

გაზეთის არალეგალური გამოცემა გმირობის ტოლფასი გახდა, თუნდაც ხელნაწერის სახით.

მიუხედავად წინააღმდეგობისა, ზუგდიდსა და, საერთოდ, სამეგრელოში დაიწყო ახალი დამოუკიდებელი, ობიექტური მედიის განვითარება.



ედუე კვირტია

სრულიადსაქართველოსეროვნული დამოურჩილებლობის კომიტეტის პრესცენტრმა ბიულეტენის „**ჯვარცმული საქართველოს**“ ერთადერთი ნომერი 1992 წლის 27 იანვარს გამოსცა. ფაქტობრივად, იგი საველე პირობებში გამოიცა. 28 იანვარს კი ზუგდიდში ხუნტის

სადამსჯელო ბანდები შემოვიდნენ. გაზეთს ხელს ანერს სარედაქციო კოლეგია. სინამდვილეში გაზეთს რედაქტორობდა **ედემ კვირტია**. საქართველოში უკანონო ხელისუფლებისადმი პროტესტის ნიშნად ედემ კვირტიამ დატოვა საქართველოს ჟურნალისტიკა კავშირი და საქართველოს მწერალთა კავშირი.

ამავე სახელწოდების გაზეთი **„ჯვარცმული საქართველო“** გამოსცა მეორე ჯგუფმა, რომლის რედაქტორი იყო **ანრიდ სანაია**. სარედაქციო კოლეგიაში იყვნენ: **გოჩა რაფავა, სოსო ბებურია, ნანი ჯგვიშია, ნატრუ-**



გოჩა რაფავა

ლი აკობია, ზური აშორტია, ნოდარ ჩაბალუხა. აღსანიშნავია ნოდარ ჩაბალუხასა და მისი ოჯახის ღვაწლი ამ გაზეთის გამოცემაში. ისინი ორი თვე ზრუნავდნენ გაზეთის გამოცემასა და სარედაქციო კოლეგიის დაცვაზე.



სოსო ბებურია

იატაკქვეშ მოქმედმა ორგანიზაციამ **„შეფიცულთა საძმო“** 1992 წლის იანვარ-მარტში არალეგალურად გამოსცა გაზეთი **„მესიის მახვილი“**. გაზეთი პირველად საკანცელარიო ქაღალდზე ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა, შემდეგ საკანცელარიო საბეჭდ მანქანაზე იბეჭდებოდა. გაზეთში არცერთი პროფესიონალი ჟურნალისტი არ თანამშრომლობდა. ამ გაზეთს ქმნიდნენ პატრიოტული გზნებით ანთებული ახალგაზრდები: **ბადრი**

მაქაცარია, გურგენ მალანია, კახა ჯიჭონაია, რეზო შენგელია, მარინე დამენია. ისინი ყოველწლიურად ცდილობდნენ მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდებას.

გაზეთს რედაქტორობდა ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტი **გურგენ მალანია**, ფსევდონიმით „**ლურუში მაგორუ**“. მას ხუნტისტებმა 13 წელი მიუსაჯეს. 1993 წლის 9 სექტემბრიდან 2002 წლის 15 მარტამდე იმყოფებოდა პატიმრობაში. გათავისუფლდა სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე.

კახა ჯიჭონაია 1994 წლიდან იმყოფებოდა პატიმრობაში. მისჯილი ჰქონდა დახვრეტა. გათავისუფლდა 2000 წელს.

აფხაზეთიდან ქართველების განდევნის შემდეგ ხუნტამ გაზეთ „**აღდგომის**“ რედაქცია სოხუმიდან გამოაძევა. კერძოდ, **გია გულუამ** სპეციალური ბრძანებით აკრძალა გაზეთი. ეს მაშინ, როცა გაზეთის დახურვა მხოლოდ სასამართლოს წესით უნდა ხდებოდა.


1993 წლის თებერვლიდან გაზეთი „**აღდგომა**“ გამოიცემა ქ. ზუგდიდში, რასაც ადასტურებს 1993 წლის 28 თებერვლის №7(39)-ში გამოქვეყნებული სარედაქციო წერილი: „გაზეთ



გურგენ მალანია



კახა ჯიჭონაია



მარინე დამენია

„აღდგომის“ რედაქციას იძულებით მოუხდა სოხუმის დატოვება. ე.წ. სამთავრობო ჯარების შემოსვლის შემდეგ სოხუმის კომენდანტიმა აკრძალა კანონიერი, იუსტიციის სამინისტროში რეგისტრირებული გაზეთი „აღდგომა“ გამოცემა, ვინაიდან იგი ეროვნულ ნიადაგზე იდგა და სამართლიანად გამოხდა ძალადობით მოსულ უკანონო მთავრობას.

ეს გაზეთ „აღდგომის“ რედაქციაზე, მის თანამშრომლებზე თავდასხმის პირველი შემთხვევა როდია. ჯერ კიდევ აფხაზეთში ხიდებისა და რკინიგზის „დასაცავად“ შემოსულმა სამთავრობო ჯარებმა, პირველ ყოვლისა, გაზეთ „აღდგომას“ გაუსწორეს ანგარიში, ძალით გამოაძევეს სოხუმის სტამბიდან. ხუნტის მიერ დევნილი გაზეთი ზუგდიდმა შეიფარა. არც ის იყო შემთხვევითი, დევნილი გაზეთის რედაქტორს **გიორგი სიჭინავას**, ამავე გაზეთის სარედაქციო კოლეგიის წევრებს — **ზური კვარაცხელიას, მურმან ზაქარაიას**, დაუმორჩილებლობის კომიტეტის პრესცენტრის ხელმძღვანელს **ედემ კვიციანიას** ზუგდიდის ერთ-ერთი ქუჩის განაპირას მსუბუქი ავტომანქანა რომ დაეჯახა.

აშკარად ჩანს: სისხლიან ხუნტასა და მთავრობაში მოსულ ბოროტმოქმედთა ხროვას სიმართლის ეშინია. მათ სხვა არაფერი დარჩენიათ გარდა ერთისა: სიმართლის ხმა ჩაახშონ ტერორისტული აქტებით“. — **გაზეთი „აღდგომა“, №12(44), 9 აპრილი, 1993 წ.**

სამეგრელოში ხუნტის შეიარაღებული ბანდების შემოსევის შემდეგ გაზეთი ფაქტობრივად იატაკქვეშ გამოდის. ის ზუგდიდის სტამბაში ღამით სანთლის შუქზე იბეჭდება, ხოლო ჟურნალისტებს დიდი ხიფათი ელოდათ.

აი, როგორ იხსენებს **გიორგი სიჭინავა** ამ ვითარებას:

„სოხუმში შემოსული მხედრიონი პირდაპირ სტამბაში შემოგვეჭრა. იქ მუშაობდნენ შესანიშნავი პიროვნების, ოჩამჩირელი ჟურნალისტისა და მწერლის, **ალიო ქობალიას** ქალიშვილები **ნონა** და **ნანა ქობალიები**. სტამბის უკანა კარი ღია რომ არ ყოფილიყო, ყველას იქ დაგვეცხრილავდნენ. სოხუმის დაცემის შემდეგ ზუგდიდში გავაგრძელეთ მოღვაწეობა. სამწუხაროდ, აქაც გაგრძელდა ჩვენი დევნა. არ გვყავდა დაცვა, არ გვექონდა არანაირი იარაღი, რადგან ჩვენ ჯარისკაცები არ ვიყავით. ჩვენი იარაღი იყო კალამი და მაინც ჩვენ დაგვეძებდნენ ყველგან. თუ ვინმე ჩვენი ნათესავი ცხოვრობდა ზუგდიდში, ყველგან მივიდნენ, ყველას სახლი აანიოკეს. გაზეთი ციხეშიც შეგვექონდა. მიცვალებულზე აუგის თქმა არ მიყვარს. ღმერთმა გაასამართლოს ან უკვე გარდაცვლილი გენერალი. ის ზუგდიდის ციხეში იჯდა და ჩემზე იქიდან დაიქაძნა: სოხუმიდან გამოვრეკეთ ესენი. აი, რომ გამოვალ აქედან, პირველ ტყვიას გიორგი სიჭინავას ვესვრიო. ამიტომ არ დამედგომებოდა და ნავედი უკრაინაში. რამდენიმე ხნის შემდეგ მურმან ზაქარაიამ გააგრძელა გაზეთ „აღდგომის“ გამოცემა“.



გიორგი სიჭინავა

გაზეთ „აღდგომის“ დამფუძნებლები არიან: **გიორგი სიჭინავა, ანზორ გვარამია, მურმან ზაქარაია**. პირველი რედაქტორია მწერალი **გიორგი სიჭინავა**, სარედაქციო კოლეგიის წევრები: **ანზორ გვარამია, მურმან ზაქარაია, ზურაბ კვარაცხელია, ნონა ქობალია, ედიშერ გიორგაძე, თენგიზ კიკაჩიშვილი, რამაზ კუპრავა, მუხრან**

მაჭავარიანი, სერგო საჯაია, სოსო სიგუა, ზაურ ქობალია, გოგი ხიფთანი, ელიზბარ ჯაველიძე, გია ძონენიძე.



მურმან ზაქარაია



არჩილ ყუფუნია

გაზეთ „აღდგომის“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა მურმან ზაქარაიამ ფასდაუდებელი ღვაწლი გასწია. მაშინ, როდესაც სოხუმში რედაქციას თავს დაესხნენ, საკუთარი სახლი დაუთმო მას. ზუგდიდში გადმოსვლის შემდეგაც არ დაუკლია მორალური თუ ფინანსური დახმარება. გიორგი სიჭინავას ემიგრაციაში წასვლის შემდეგ მურმან ზაქარაია ჩაუდგა სათავეში გაზეთის გამოცემას და წლების განმავლობაში თავდაუზოგავად იღვანა თავისუფალ, ობიექტურ მედიაში.

არც ფოტოკორესპონდენტებისათვის იყო ადვილი მუშაობა. აი, როგორ იხსენებს იმ დღეებს ზუგდიდელი ფოტოკორესპონდენტი **არჩილ ყუფუნია:**

„არ მინდა მახსოვდეს, მაგრამ ჩემი მეხსიერებიდან ვერ ამოვშალე შეხვედრა გია ყარყარაშვილთან.

ზუგდიდში ჩამოსული იყვნენ ქართველი და უცხოელი ჟურნალისტები და იღებდნენ საინტერესო კადრებს.

ბაზრის წინ შევხვდი შაოსან ქალს, მკერდზე ორი მიცვალებულის სურათით, რომელსაც ზვიად გამსახურდიას პორტრეტი და საქართველოს დროშა მოჰქონდა. ამ კადრის ასახვისას ორმა უცნობმა მამაკაცმა მტაცა ხელი

და „მხედრონის“ შტაბში წამიყვანა. გია ყარყარაშვილთან შემიყვანეს. მან მკითხა:

— ვის უმზადებდი ფოტო და ვიდეომასალას? ალბათ, თქმა არ უნდა, ზვიად გამსახურდიას.


წამში წამართვეს ფოტოაპარატი და ვიდეოკამერა. ყარყარაშვილმა ამოიღო ფირები და იქვე ცეცხლი წაუკიდა. გული დამწყდა. ამ კადრებისთვის ბევრი ვინვალე. ქალაქის მოედანზე ხუთსართულიანი სახლის სახურავზე ვიჯექი და იქიდან ვიღებდი, თუ როგორ მოდიოდა ბეტეერების კოლონა ქალაქისაკენ. ამასთანავე, სხვა მრავალი საინტერესო კადრიც იყო დაფიქსირებული.

დღესაც მაგონდება ის ავადსახსენებელი დღე, როგორ ინვოდა ერთი თვის მონაპოვარი ფოტოკადრები და ვიდეომასალა“.


1993 წლის ივლისში ქ. ზუგდიდში მუშაობა დაიწყო სახელმწიფო რადიოსადგურმა **„თავისუფალი საქართველო“**. რადიოსადგურს ხელმძღვანელობდა **ანზორ გვარამია**.

1993 წლის დასაწყისში, უმოკლეს დროში, შეიქმნა საქართველოს დაუმორჩილებლობის კომიტეტის ტელეარხი **„თავისუფალი საქართველო“**. საინფორმაციო ვაკუუმის

მიუხედავად, მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია დაუმორჩილებლობის კომიტეტის ამ ტელეარხმა. მისი მეშვეობით მიეწოდებოდა ინფორმაცია სამეგრელოს მოსახლეობას. ტელევიზიას ხელმძღვანელობდა **ედემ კვირტია**, საინფორმაციო გადაცემები მიჰყავდა **მარინე კაჭარავას**, შემდეგ კი — **დავით სოკოლოვს**. ტელევიზიის მუშაობაში აქ-



ანზორ გვარამია



გურამ პეტრიაშვილი




ირინე ტალიაშვილი

ტიურად თანამშრომლობდნენ: **რენე კალანდია**, საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრები: **ირინე ტალიაშვილი** და **გურამ პეტრიაშვილი**. ოპერატორები: **ბადრი მაქაცარია**, **რეზო ჯიქია**, **რევაზ (ჭურა) ქარჩავა**, **მურმან ქაჯაია**. რეზო არა მხოლოდ ოპერატორი იყო, არამედ იგი იყო ტელევიზიის ხერხემალი. მან ააწყო და მოაწესრიგა ტელევიზიის ტექნიკური მხარე. მაშინ, როდესაც მხედრიონი დათარეშობდა ზუგდიდში, იგი სპეციალური აპარატით სხვადასხვა ადგილიდან გადასცემდა ინფორმაციებს. მხედრიონელები მთელ ქალაქში დაედებდნენ სასიგნალო ტექნიკასა და იმ ოჯახებს, საიდანაც გადაიცემოდა ინფორმაცია, მაგრამ, ამოდ. აქსაყურადღებოა ის ფაქტი, რომ არავინ გასცა ისინი, რაც მეტყველებს ზუგდიდელთა ერთიანობაზე. გარკვეული დროის შემდეგ რეზო ჯიქია საკუთარ სახ-


ლში აიყვანეს მხედრიონელებმა, რომელთაც ქუთაისელი ბუცხრიკიძე ხელმძღვანელობდა და ქუთაისის აეროდრომამდე ერთ-ერთ ავტოგაჩერებასთან შენობის კედელზე მიაყენეს ანრიდ სანაიასა და რობერტ ზარქუასთან ერთად, სამივე ფეხებში ტყვიით დაჭრეს. დაჭრილები 10 დღე ჰყავდათ ქუთაისის პოლიციის სამმართველოში, რამაც გააუარესა მათი ჯანმრთელობა და იძულებული გახდნენ, თბილისის ციხის საავადმყოფოში გადაეყვანათ, სადაც 25 დღე იმყოფებოდნენ.

ამ საქმეში ასევე დიდი ღვაწლი მიუძღვის მურმან ქაჯაიას. მას ჰქონდა სპეციალური აპარატი, რომელიც გარკვეულ რადიუსში გამორთავდა საქართველოს ტელევიზიას და ჩართავდა ზუგდიდის ტელევიზიის გადაცემებს. მისი მხრივ, ეს გაბედული მოქმედება იყო.




რენე კალანდია

დასაფასებელია ბადრი მაქაცარიას ღვაწლი ეროვნულ მოძრაობაში. ის 1990 წელს ქ. ზუგდიდის ბატალიონს გაჰყვა სამაჩაბლოში. ბრძოლის ამსახველ ვიდეომასალებს საქართველოს ტელევიზიას აწვდიდა. 1991 წლის ოქტომბრიდან აფიქსირებს ყველა მოვლენას, რასაც პუტჩისტები სჩადიოდნენ და ტელევიზიისთვის პირადად აწვდიდა ცნობილ დიქტორს, ბატონ დავით სოკოლოვს. ასევე გადაღებული აქვს 1992 წლის 20 იანვრიდან 1993 წლამდე ყველა მოვლენა: მიტინგები, გაფიცვები, დაუმორჩილებლობის კომიტეტის საქმიანობა... მშვიდობიანი მიტინგების დარბევა, მშვიდობიანი მოსახლეობის დახვრეტა...



რეზო ჯიქია

მისი თავდაუზოგავი მუშაობიდან გამომდინარე, 1992 წლის დეკემბერში გროზნოდან პირადად ბატონმა ზვიად გამსახურდიამ დანიშნა დასავლეთ საქართველოს ფოტოკორესპონდენტად და ტელეოპერატორად.



რევაზ ქარჩავა



დავით სოკოლოვი. ზუგდიდი, 1993 წელი.



ტელეკომპანია „თავისუფალი საქართველო“.
მეორე: ბადრი მაქაჯარია, მარინე კაჭარავა, უჩა ოქროპირიძე.
ზუგდიდი, 1993 წელი.


ეროვნული დაუმორჩილებლობის კომიტეტის ტელევიზიამ „თავისუფალი საქართველო“, გაზეთებმა: „ჯვარცმული საქართველო“, „აღდგომა“, „მესიის მახვილი“ და სხვა მედიასაშუალებებმა, ეროვნული ცნობიერებით მოაზროვნე ჟურნალისტებმა დიდი როლი შეასრულეს საქართველოში ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების ამაღლებაში. ისინი იბრძოდნენ იმ იარაღით, რასაც თავისუფალი და მართალი სიტყვა ჰქვია. მათ მიერ დაფიქსირებული ყოველი ფაქტი, კადრი ისტორიამ შემოინახა და დრო შეაფასებს.

ზუგდიდში სახელისუფლებო ბეჭდვითი ორგანო ზუგდიდის გამგებლის **ედიშერ ჩარგაზიას** ბრძანების საფუძველზე 1994 წლის პირველ იანვარს აღდგა გაზეთ „**ოდიშის**“ სახელწოდებით.

გაზეთის რედაქტორი **აკაკი ჭანტურია** (1929-2015 წწ.) თანამდებობიდან გადადგა იმის გამო, რომ მან უარი განაცხადა გაეთავისუფლებინა მის მიერ აღზრდილი კოლეგები.

ჟურნალისტები: **ჯამბულ არქანია**, **ზურაბ ცხონდია** (1937-2017 წწ.), **ლალა ნარმანია** (1954-2002 წწ.) შემდგომ მაინც დაითხოვეს.

იმისათვის, რათა ჩვენმა მომავალმა თაობამ იცოდეს, პუტჩისტები როგორ ნათლავდნენ ეროვნულ მოძრაობას და თავდადებულ მამულიშვილებს, მაგალითად მოვიყვან ქალაქ ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის გამგებლის **ედიშერ ჩარგაზიას** მიერ ქ. ზუგდიდის გაზეთ „**ოდიშის**“ 1994 წლის 11 თებერვლის №6(10639)-ში განთავსებული წერილის „**ვინც გულწრფელად მოინანიებს...**“ ამონარიდს:



აკაკი ჭანტურია



ლალა ნარმანია



ზურაბ ცხონდია



ჯამბულ არქანია

„... ჩვენ, ქართველებმა, ვერ გამოვიჩინეთ სიფხიზლე, მიუტევებელი შეცდომა დავუშვიტ და რესპუბლიკის ხელმძღვანელად ავირჩიეთ კაცი, ...ავანტიურისტი და პროვინციელი ფაშიზმის მეთაური. მან და მისმა გარემოცვამ, უკანონო შეიარაღებულმა ფორმირებებმა, რომლებიც შეუზღუდავი ხელისუფლების უსაზღვრო მოყვარულნი აღმოჩნდნენ, თბილისში და საქართველოს თითქმის ყველა ქალაქში ჩაიდინეს დივერსიული და ტერორისტული აქტები, რასაც შედეგად მოჰყვა უდანაშაულო ადამიანთა აუნაზღაურებელი მსხვერპლი.

ისტორიაში შავ ლაქად დარჩება ქ. ზუგდიდში პრეზიდენტყოფილის და მისი დამქაშების, თვითმარქვია ხელისუფლების ორთვიანი არსებობა, რომელიც ყვარყვარიზმის აპოგეას წარმოადგენდა.

ამრიგად, გამოიკვეთა საქართველოს მოღალატეთა და სავარძლების დასაუფლებლად ქვეყნის მახრებელთა ნამდვილი სახე. საზოგადოების ასეთ ნაძირლებს შექსპირი ჭინკებს უწოდებდა, ხოლო რუსთაველი — ქაჯებს. ისინი, როგორც უმეცარნი, ადვილად აიყოლია კვაზინტელიგენციის წარ-

მომადგენლებმა; მათ, ხალისით შეიარაღებულებმა, გამართეს სისხლიანი დოღი სრულიად საქართველოში, განსაკუთრებით კი — დასავლეთ საქართველოში...

... სახელმწიფოს მეთაურის ბატონ **ედუარდ შევარდნაძის** 1993 წლის 8 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად, „რაიონების გამგეობის თავმჯდომარეებისათვის დროებით საგანგებო უფლებამოსილებათა მინიჭების შესახებ“, დაკავებულ თანამდებობიდან გათავისუფლდნენ: განათლების განყოფილების გამგე **ლუარა კვიციანი**, ხორცკომბინატის დირექტორი **მამუკა ნარმანია**, ჩაის მეორე ფაბრიკის დირექტორი **ნოდარ ნადარეიშვილი**, კულტურის განყოფილების გამგე **მაია კალანდია**, მესამე საშუალო სკოლის დირექტორი **ნანა ფიფია**, მეშვიდე საშუალო სკოლის დირექტორი **არისტო თოლორაია**, ახალსოფლის გამგებელი **ფრიდონ ქადარია**, გაზეთ „ოდიშის“ რედაქტორის მოადგილე **ზურაბ ცხონდია**, განათლების განყოფილების ინსპექტორი **თენგიზ ესებუა**, ბინსოცბანკის ზუგდიდის განყოფილების მმართველი **თ. ნადარია**, განათლების განყოფილების მეთოდისტი **ნ. კურტანიძე**, ახალსოფლის ჩაის ფაბრიკის დირექტორი **თ. ქეზურია**, ჭკადუაშის გამგებლის მოადგილე **გოგი შონია**, თითქმის ყველა სოფლის გამგებელი, საკრებულოთა თავკაცი, რომლებიც აქტიურად თანაუგრძნობდნენ ქვეყნის გაჩინაგებისა და ნგრევის კურსს. ზოგიერთნი თვითდამშვიდებას მიეცნენ, გულგრილად მოეკიდნენ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას, ვერ აუწყვეს ფეხი ახალ მოთხოვნებს და კანონის დარღვევაც დაუშვეს. ამიტომ გათავისუფლდნენ თანამდებობიდან: ნარაზენის მეურნეობის დირექტორი **ბ. ლომია**, მანქანათმშენებელი ქარხნის დირექტორი **რ. ბუსქანიძე**, ტრესტ „ზუგდიდგაზის“

მმართველი **ლ. ქანია**, სპორტკომიტეტის თავმჯდომარე **მ. ხუფენია**. სხვები პირადი განცხადებით გაეცალნენ თანამდებობებს, როცა დარწმუნდნენ, რომ ვერ იმუშავებდნენ ვითარების შესაფერისად...

ვაფრთხილებ ყველას: ეს პროცესი არ დამთავრებულია...

დროა, გონს მოეგოთ, პრეზიდენტყოფილის შემორჩენილო დამქაშებო!“

ედიშერ ჩარგაზიამ ეს არ იკმარა და იმავე გაზეთ „**ოდიშის**“ 1994 წლის 13 მაისის № 19-ში ბეჭდავს კიდევ უფრო ამაზრზენ წერილს „**აი, ვის არ უნდა ჩვენი წინსვლა!**“ მოგვეყავს ამონარიდი:

„ზვიადიზმის ნაშთები ზუგდიდში ჯერ კიდევ დაუმარცხებლად გრძნობენ თავს. გარკვეულ აქტიურობასაც კი იჩენენ, რაც საღად მოაზროვნე საზოგადოების აღშფოთებას იწვევს. ეტყობა, ეს იმის შედეგიცაა, რომ შენელდა ბრძოლა მათ წინააღმდეგ, განსაკუთრებით, იდეოლოგიურ ფრონტზე.

ზვიადიზმის უკურნებელი სენით დაავადებულები ზვიადიზმის იდეოლოგიას ქადაგებენ ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში, უსაქმურთა ბირჟაზე დღესაც, მაშინ, როცა ამ იდეოლოგიისგან იღუპება ერი. ზვიადიზმის იდეოლოგია უნდა აღმოიფხვრას, რათა აღიზარდოს ჯანსაღი მომავალი თაობა, ყველამ ერთმნიშვნელოვნად უნდა იცოდეს, თუ რა არის ზვიადიზმი.

ზვიადიზმი — უპირველეს ყოვლისა, ეს არის თავზე ხელაღებულთა კარიერიზმი, რომელიც არ ინდობს საკუთარ შვილსაც კი... აგრესიული ნაციონალიზმის ნაირსახეობაა, სიკეთის კეთების დაუნახველობაა.

ზვიადიზმის ფილოსოფიაა უმეცართა და უგუნურთა

აღზევება, დამნაშავეთა და ზნედაცემულთა შემოკრება, მათი ძალაუფლება და იარაღის მეშვეობით გაბატონება ინტელექტუალურ საზოგადოებაზე.

ზვიადიზმის სტრატეგიაა ცილისწამებით და ჭორებით, ბარბაროსული ძალადობით გაუსწორდეს სხვანაირად მოაზროვნეებს... გააღვივოს საყოველთაო სიძულვილის ატმოსფერო... გათიშოს საზოგადოება, ხალხი ხალხს დაუპირისპიროს... ამით შექმნას ანარქია და ქაოსი საზოგადოებაში, შემდეგ კი იქადაგოს თავისი ნება-სურვილი და პირად ამბიციებს შესწიროს სახელმწიფოს და საზოგადოების ინტერესები. ყოველივე ეს კი ბრძნულის და ისტორიულად დადასტურებულის ფალსიფიკაციაა.

ზვიადიზმი — ეს ეროვნულ დროშას ამოფარებული არა მარტო პროვინციული ფაშიზმია, არამედ შიზოფაშიზმაცაა... პათოლოგიური სიძულვილიცაა ჯანსაღად მოაზროვნე ადამიანებისადმი. ის ადამიანის სულისა და ქრისტიანული მოძღვრების სიმახინჯეა, რომელიც ეყრდნობა მედროვეებს, ორპირებს, უსაქმურებს, დემაგოგებს, კარვის უზნეო დაქირავებულ დიაცებს, საზოგადოების ნაძირლებს — ჭინკებს და ქაჯებს...

ზვიადიზმის იდეოლოგიებმა **დოკვაძე, შურღაია, ქობალია** და ძმანი მისნი გამოიყენეს საკუთარი სამშობლოს გასანადგურებლად და დასანგრევად, ახალგაზრდის ფსიქიკის დასამახინჯებლად, ხოლო შემდგომ მიატოვეს ისინი ტყე-ღრეში უპატრონოდ. ეს არის ზვიადიზმის, იგივე, თანამედროვე ყვარყვარიზმის აპოგეა...

ზვიადიზმი საშინელი, გადამდები, თითქმის უკუურნებელი ვირუსული პოლიტიკური ავადმყოფობაა. ის შეიძლება დაემართოს ყველას: დიპლომატსა და უდიპლომოს, მეცნიერსა და უმეცარს, მაგრამ ყველაზე უფრო კარიერისტებში, უგუნურებსა და ხელისუფლების მოყვარულებში ვრცელდება...

ზვიადიზმი პროგრესული კაცობრიობისაგან განზე გადგომა და თვითიზოლირებაა, საყოველთაოდ აღიარებული ცივილიზაციისთვის ზურგის შექცევაა...

ზვიადიზმი ერის მთლიანობის გახლეჩაა, სამეგრელოს არარსებული სეპარატიზმის გაღვივების დემაგოგიური პროპაგანდაა. ის ჩვენი ერის ისტორიის გაყალბებაა.

დღეს ზვიადიზმი ორ სკამზე ჯდომასაც ნიშნავს. თითოეული ამ ჰიპოთეზის დადასტურება კონკრეტული მაგალითებით დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს, თუმცა დღეს კონკრეტული მაგალითებისაგან თავს ვიკავებთ.

აი, ეს არის ზვიადიზმი!..“

P.S. აი, ასე წერდნენ უკანონო ხელისუფლების წარმომადგენლები ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის პატრიარქზე, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მთავარ შემოქმედზე, საქართველოს პირველ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასა და მის ერთგულ, ეროვნული ინტერესების დამცველ ადამიანებზე...

ზვიად გამსახურდიას ხსოვნის უკვდავსაყოფად

1993 წლის ნოემბრის დასაწყისში ფოთში რუსული საზღვაო ჯარების სარდლის იგორ ბალტინის ჩამოყვანამ გადაწყვიტა კანონიერი პრეზიდენტისა და ხელისუფლების ბედი.

სამეგრელოს მაღალმთიან რაიონში გახიზნული პრეზიდენტი, თავდადებული, უანგარო მამულიშვილი, 1993 წლის 31 დეკემბერს საქართველოს მოღალატეებმა სიცოცხლეს გამოასალმეს. ასე გამართლდა კონსტანტინე გამსახურდიას წინასწარმეტყველური ნათქვამი: **„ჩემი შვილი ისეთ გზაზე შევაყენე, რომ თავისით სიკვდილი არ უწერია“**.

ზვიად გამსახურდიას გარდაცვალება ე.წ. „საქართველოს მთავრობამ“ 1994 წლის 5 იანვარს გამოაცხადა. პრეზიდენტის მხარდამჭერთა უდიდესი ნაწილისათვის ეს დაუფერებელი გამოდგა, სანამ მისი ცხედარი ჯიხაშკარიდან გროზნოში არ გადაასვენეს 1994 წლის 15 თებერვალს.

ჩეჩნეთის ან განსვენებულმა სულმნათმა პრეზიდენტმა **ჯოხარ დუდაევა** და მისმა ხელისუფლებამ საქართველოს პირველი პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია** პრეზიდენტისათვის შესაფერისი პატივით, ქრისტიანული წესით დაიტირა და გააცილა უკანასკნელ გზაზე.

ბიბლიური წინასწარმეტყველის დანიელის სიტყვები **„შენი სახელი ეწოდოს ერსა შენსა...“** ისე მიესადაგა ზვიად გამსახურდიას ცხოვრებას, რომ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდენტის ნევრმა, ქალბატონმა **ლია ანდლულაძემ**, 1994 წელს გროზნოში ზვიადის კუბოზე გადაფარებულ ეროვნულ დროშას ზვიადის ოჯახის ნევრების ნებართვით დაანერა.



მუსა საიდულაევის ეს ფოტო 1994 წლის თებერვალს გროზნოში ზვიად გამსახურდიას დაკრძალვას ასახავს

ზვიადისადმი ჩეჩენი ხალხის პატივისცემას **ხიზარ აღ-დამოვი** ერთ-ერთ სტატიაში ასე აღნიშნავს: „ჩემი ერის ისტორიას არ ახსოვს, რომ ჩეჩენს მიცვალებულის წინაშე ქუდი მოეხადოს, რადგან ჩვენი რელიგია ამას კრძალავს. ნახეთ ვიდეოკადრები, ჯოხარ დუდაევიდან დაწყებული, ჩეჩენი მოხუცებით დამთავრებული, ყველანი ქუდს იხდიან ზვიადის კუბოსთან...“

პირველი პრეზიდენტისა და მის მხარდამჭერთა წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. ციხეებში აღმოჩნდა რამდენიმე ათეული როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო პირი.

დაპატიმრებულ ზუგდიდელთა არასრული სია:

საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრები: **ვალტერ შურღაია, ზაურ ქობალია**, საქართველოს პრემიერ მინისტრი, ფინანსთა მინისტრი **გურამ აბსანძე**, საქართველოს ეროვნული გვარდიის სარდალი **ვახტანგ ქობალია**, **სოსო თორია**, **გენადი ქობალია**, **ბონდო თოდუა**, **ბონდო სიგუა**,

საშა ზაქარაია, ნუგზარ ჩუხუა, მამუკა ჩუხუა, ზაურ (ცუნგა) გულუა, ზური ზარანდია, ჯამბულ ბოკუჩავა, ზური თორდია, ტარიელ ბუკია, ბადრი (ცხვირო) ქობალია, კახა ჯიჭონია, გურგენ მალანია, ვახო ზარანდია, თამაზ თოლორაია, თამაზ ბერიშვილი, ზვიად პაჭკორია...

საქველმოქმედო საზოგადოება „ხსოვნის“ ინფორმაციით ცნობილია რომ, 95 ზუგდიდელის სიცოცხლე შეენირა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და კანონიერების აღდგენისათვის ბრძოლას.

ზვიად გამსახურდიას ნეშტი 2007 წლის 28 მარტს ჩამოსავენეს საქართველოში.

ზუგდიდის საკრებულომ (თავმჯდომარე ვახტანგ ცხადაია) და გამგეობამ (გამგებელი ალექსანდრე ქობალია) ზუგდიდელთა თხოვნის მიუხედავად 2 ავტობუსიც არ გამოყო, რათა მოსახლეობა ნასულიყო თბილისში საქართველოს პირველი პრეზიდენტის დაკრძალვაზე. უფრო მეტიც, ავტობუსის მძღოლები გააფრთხილეს, რომ არ გაჰყოლოდნენ და, თუ მაინც მოითხოვდა მოსახლეობა, 1000 ლარი მოეთხოვათ. ზუგდიდის მოსახლეობის უმრავლესობა მაინც ჩავიდა მცხეთაში. ზუგდიდელები თავის დროზე ტანკებმა ვერ შეაჩერეს და მათ განა უტრანსპორტობა შეაჩერებდათ?!

სულმნათმა ზვიად გამსახურდიამ თავისი მისია სიკვდილის შემდეგაც შეასრულა. მთელ საქართველოს სვეტიცხოველში მოუყარა თავი ბზობის დღესასწაულზე და დალოცვილი დატოვა საქართველო და ქართველი ხალხი.

გამსახურდიას ნეშტი 2007 წლის 1 აპრილს დაასაფლავეს მთაწმინდის პანთეონში სხვა გამოჩენილ ქართველთა გვერდით. მის პატივსაცემად სვეტიცხოველში ჩატარე-



საქართველოს პირველი პრეზიდენტის
ზვიად გამსახურდიას დაკრძალვა.
მცხეთა-თბილისი, 2007 წელი.



1993 წელს ამ შენობაში
მოღვაწეობდა
საქართველოს პირველი
პრეზიდენტი
ჯეორჯ ბუშსაბურდია

საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას
ბარელიეფი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის
შენობის ფასადზე.



ეროვნული მოძრაობის წევრები საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ბიუსტთან ზუგდიდში.
2014 წ.

ბულ პარაკლის ასეული ათასობით ადამიანი დაესწრო, მათ შორის იყვნენ სხვადასხვა ქვეყნის ოფიციალური წარმომადგენლები.

საქართველოში პირველად ზვიად გამსახურდიას სახელი ზუგდიდის ერთ-ერთ მთავარ ქუჩას დაერქვა.

ზუგდიდის გამგეობის შენობის ფასადზე განთავსდა ზვიად გამსახურდიას ბარელიეფი.

2002 წელს ზუგდიდის ცენტრალურ ხეივანში **ალექსანდრე ჭაჭიას** ინიციატივითა და ძალისხმევით დაიდგა საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას პირველი ბიუსტი, რომელსაც ყოველწლიურად, 31 მარტსა და 26 მაისს, გვირგვინებით ამკობენ.

ზუგდიდში დგას კიდევ ერთი ეროვნული მოძრაობის ლიდერის, საზოგადო მოღვაწის **მერაბ კოსტავას** ბიუსტი, რომელიც 2013 წლის 26 მაისს ზუგდიდის ადგილობ-



**საქართველოს პირველი პრეზიდენტის
ზვიად გამსახურდიას ბიუსტი ზუგდიდში.**

რიგმა ხელისუფლებამ დადგა დადიანისეული სასახლის პარკში. ბიუსტის გახსნა სიმბოლურად საქართველოს დამოუკიდებლობისა და საზოგადო მოღვაწის დაბადების დღეს დაამთხვეს. პარკს, სადაც ძველი განთავსდა, მერაბ კოსტავას სახელი მიენიჭა. ორივე ძველის ავტორია მოქანდაკე **ზადრი სხულუხია**.

ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ბიუსტთან ზვიად გამსახურდიას სამკერდე ნიშნითა და ეროვნუ-



საქართველოს ეროვნული გმირის
მერაბ კოსტავას ბიუსტი ზუგდიდში.

ლი სამფეროვანი დროშით ყოველ ღონისძიებაზე ერთ-
გულ დარაჯად დგას ჩოხა-ახალუხში გამონყობილი **რეზო
(ეროვნული) ხასია.**

2013 წლის 26 სექტემბერს საქართველოს პრეზიდენტმა
მიხეილ სააკაშვილმა ზვიად გამსახურდიას საქართველოს
ეროვნული გმირის წოდება მიანიჭა.

ზვიად გამსახურდიას მუზეუმის გახსნის თაობაზე



საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მუზეუმის კურთხევა. ზუგდიდი, 2017 წელი.

ეროვნული მოძრაობის წევრები: **ედემ კვიციანი, ლუიზა თევზაძე, მარინე დამენია და მზიურ კვარაცხელია** რამდენიმე წელი მსჯელობდნენ, რაც ა.ა.ი.პ. „ზუგდიდის ადგილობრივი მუზეუმების მართვის ცენტრის“ დირექტორის **კონსტანტინე გურგულიანის** ძალისხმევით განხორციელდა. მუზეუმის წამყვანი სპეციალისტია **დალი ლატარია**. 2017 წლის 31 მარტს მუზეუმი აკურთხა ზუგდიდის ვლადიკლავის ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის წინამძღვარმა დეკანოზმა **მალხაზ ქანტურიამ**.

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2017 წლის 3 ნოემბერის სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება, რომ ქ. ზუგდიდის №3 საჯარო სკოლას ზვიად გამსახურდიას სახელი მიენიჭოს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1998 წელს ზუგდიდის რაიონის საკრებულომ ქალაქის მე-4 საჯარო სკოლას მიანიჭა ზვიად გამსახურდიას სახელი, რაც

მხოლოდ ქალაქებზე დარჩა. (წყარო: <http://www.livepress.ge/ka/akhali-ambebi/article/21307zugdidis-me-3-sajarosko-laszviadgamsakhurdiassakhelimienitca.html>) სამწუხაროდ, ისე, როგორც მაშინ, ახლაც ეს საკითხი ბოლომდე არ არის მიყვანილი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ჯერჯერობით დუმს...

იმედია, რომ ახლო მომავალში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გაითვალისწინებს ზუგდიდის მოსახლეობის სურვილს და ამ სკოლას მიანიჭებს საქართველოს პირველი პერეზიდენტის სახელს.

2018 წლის 31 მარტს, ზუგდიდის მერმა ლაშა გოგიამ, საკრებულოს თავმჯდომარემ მამუკა წონერიამ, ზუგდიდის საკრებულოს წევრებმა, საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პატრიარქის, სამშობლოსათვის თავდადებული და თავგანწირული ეროვნული გმირის, ზვიად გამსახურდიას ხსოვნისა და ღვანლის უკვდავსაყოფად, ზუგდიდის საკრებულოს სხდომათა დარბაზს ზვიად გამსახურდიას სახელი მიანიჭეს.



საქართველოს პირველი პრეზიდენტის მიმართვა ქართველი ერისადმი

პრეზიდენტის მკვლევლობის საქმე დღემდე გამოუძიებელია, მაგრამ შეგონებად გვრჩება საქართველოში მისი დაბრუნების დღეს, 1993 წლის 24 სექტემბერს, ზუგდიდში მის მიერ წარმოთქმული სიტყვები:

„ძვირფასო თანამემამულენო!

ძმანო და დანო!

მე, საქართველოს კანონიერი პრეზიდენტი, დავუბრუნდი სამშობლოს და განვაგრძობ ერის წინაშე ჩემი მოვალეობის შესრულებას. მე ვხედავ საქართველოს უმძიმეს მდგომარეობას, მე არ შემეძლო ასეთ დროს ვყოფილიყავი საქართველოს გარეთ. მე ჩამოვედი არა მხოლოდ იმიტომ, რომ შევასრულო ჩემი თანამდებობრივი მოვალეობა, არამედ იმისთვის, რომ სათავეში ჩავუდგე ეროვნული ხსნის მოძრაობას.

ძმანო და დანო! ჩვენი ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას და ასეთ დროს დიდი დაფიქრება და პასუხისმგებლობა გვმართებს. მე ჩამოვედი არა იმისთვის, რომ გავაჩაღო სამოქალაქო ომი ან დავსაჯო ვინმე, არამედ ჩემი მიზანია ერის გამთლიანება და ეროვნული შერიგება და, თუ მოწინააღმდეგე მხარე შეიგნებს თავის შეცდომებს, შეინანიებს თავის დანაშაულს ერის წინაშე, მე მზადა ვარ მათაც გავუწოდო ხელი.

თუ უკანონო ხელისუფლება გამოიჩენს კეთილგონიერებას და გადადგება, მე მზადა ვარ უზენაეს საბჭოსთან შეთანხმებით დავნიშნო ახალი არჩევნები, ყველას მიეცემა ხელშეუხებლობის გარანტია სათანადო პირობების გათვალისწინებით.

ალბათ მრავალ თქვენგანს სურს შეიტყოს, თუ რად დაგვიანდა ჩემი ჩამოსვლა. იმის გამო, მეგობრებო, რომ მქონდა უამრავი დაბრკოლება, რომელთა დაძლევაც ვერ ხერხდებოდა, მაგრამ აი, დადგა უამი და ბოლოს მივალწიე იმას, რომ დღეს თქვენთან ვარ.

დღეს საქართველო უნდა დაირაზმოს ერის ხსნისათვის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვისათვის, ჩვენი ეკონომიკის აღდგენისათვის, ქართული სულის აღორძინებისათვის.

გაუმარჯოს ჩვენს ბრძოლას საქართველოს გადასარჩენად!

**გილოცავთ კანონიერი ხელისუფლების აღდგენას!
დიდება ქართველ ერს!“**

აქვე საჭიროდ მიმაჩნია მკითხველს შევთავაზო 1992 წლის 26 აპრილის მიმართვა სამეგრელოს მოსახლეობისადმი.

„ძვირფასო თანამემამულენო!

იმპერიული ხუნტა რუსეთის დავალებით ცდილობს შექმნას მეგრული სეპარატიზმი და სამეგრელო ჩამოაცილოს საქართველოს. იმპერიის ემისარი შევარდნაძე ყოველნაირად ცდილობს ამ ვერაგული გეგმის განხორციელებას. იგი ცდილობს უკმაყოფილების გამოწვევას სამეგრელოში, სხვა კუთხეების მოსახლეობის ამხედრებას სამეგრელოს წინააღმდეგ, რათა განახორციელოს კრემლის ოცნება: სამეგრელოს ავტონომიური რესპუბლიკის შექმნა, სამეგრელოსა და სხვა კუთხეებს შორის ეთნოკონფლიქტი. არ წამოეგოთ კრემლისა და შევარდნაძის ანკესზე, იბრძოლეთ საქართველოს დამოუკიდებლობისთვის, იმპერიული ხუნტის გაძევებისთვის, არჩევნების ბოიკოტისთვის, ვინაიდან

ქართველმა ერმა ერთხელ უკვე გამოხატა თავისი ნება
1990 წლის 28 ოქტომბრისა და 1991 წლის 26 მაისის არ-
ჩევნებში!

თავს ვხრი დალუპულთა წინაშე!

არც ერთი ხუნტისტი სამეგრელოსა და დანარჩენ
საქართველოს მიწა-წყალზე!

ძირს მოღალატე შევარდნაძე!

ძირს კრიმინალური შევარდნაძე-სიგუა-იოსელიანი-
კიტოვანი-ჭანტურია-წერეთლისა და სხვათა ხუნტა!

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!“

(გაზეთი „აღდგომა“, №2, 1992 წ.).

ზუგდიდის რესპუბლიკა

მართალია, „სამეგრელოს ავტონომიური რესპუბლიკა“ არ შექმნილა, მაგრამ „ზუგდიდის რესპუბლიკა“ უკვე იყო. ისტორიკოსი აბესალომ ტულუში ჟურნალ „ეგრისში“ აქვეყნებს წერილს „ზუგდიდი 1905-1907 წლების რევოლუციის დროს („ზუგდიდის რესპუბლიკა“)“. ამონარიდი წერილიდან.


„1905 წლის 6 დეკემბრიდან 1906 წლის 11 იანვრამდე მაზრაში მთელი ძალაუფლება რევოლუციონერების ხელში იყო. ამბოხებულთა რაზმს ანტონ და ვასილ გეთიები ედგა სათავეში... ამ დროს წარმოიშვა ე.წ. „ზუგდიდის რესპუბლიკა“, რომელმაც თავისი არსებობის ხანმოკლეობის მიუხედავად, ფრიად შეაშფოთა სამეფო ხელისუფლება და მან გადამწყვეტი ზომების მიღება დაიწყო. თანამდებობიდან გადააყენეს რევოლუციონერებისადმი თანაგრძნობაში ეჭვმიტანილი ქუთაისის გუბერნატორი ვ. სტაროსელსკი და ვიცე-გუბერნატორი ალექსანდრე თევდორეს ძე ყიფშიძე (13.01.1862, — 29.06.1916 წ.წ. 1888 წელს დაამთავრა ხარკოვის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მუშაობდა სახაზინო პალატაში, გუბერნიის საქმის წარმოების სამმართველოში, საგლეხკაცო საქმეთა საკრებულოში. 1900 წელს დაინიშნა ახალციხის მხარის (გუბერნიის) მთავარ მომრიგებელ-მოსამართლედ. 1905-1907 წლებში იყო ქუთაისის ვიცე-გუბერნატორი. მას მხარს უჭერდა დიდი ილია ჭავჭავაძე და ქართული საზოგადოების რჩეული ნაწილი. ამის მიუხედავად, 1907 წელს დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს. 1908 წელს, ციხიდან გამოსვლის შემდეგ, დაინიშნა თბილისის სათავადაზნაურო საკრებულოს საადგილმამულო კომისიის მმართველად. იყო გაზეთ „საქართველოს“ ერთ-ერთი დამაარსებელი და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგად-

დოების გამგეობის წევრი. ალ. ყიფშიძის კვლევის სფეროს წარმოადგენდა XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები).

დამსჯელი რაზმი, რომელსაც „**მფრინავი საექსპედიციო რაზმი**“ ეწოდებოდა, 1906 წლის 29 იანვარს შევიდა ზუგდიდში... დაიწყო რევოლუციონერთა სასტიკი ანგარიშსწორება.

1906 წლის 3 თებერვალს ყაზახ-რუსებმა გენერალ **ალიხანოვის** განკარგულებით დახვრიტეს **ვასო ალშიბაია** (სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წევრი, სტუდენტი) და **დიმიტრი გეთია**.

„ზუგდიდის რესპუბლიკის“ სხვა ხელმძღვანელებმა: **ლეო შენგელაიამ**, **სიმონ თოლორდავამ**, **ალექსანდრე (სანდრო) მესხიამ** (ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ზუგდიდის განყოფილების წევრი) და სხვებმა მოახერხეს ტყეში გახიზვნა. ზუგდიდში, როგორც ურჩ და დაუდებარ ქალაქში, მეფის მთავრობამ ეგზეკუცია ჩააყენა. ტყეს შეხიზნული „ზუგდიდის რესპუბლიკის“ თავკაცები **ლეო შენგელაია**, **გრიგორ ჩიჩუა** (ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფოთის განყოფილების წევრი, საზოგადოების ბაქოს განყოფილების დამფუძნებელი წევრი), **ლადი ვეკუა**, **ალექსანდრე ჩიქავა**, **სოლომონ ალანია**, **კონსტანტინე ნორაკიძე** (სპირიდონ ნორაკიძის ძმისშვილი),



ვასო ალშიბაია



კონსტანტინე
ნორაკიძე

აქვსენტი შედანია, ალექსი თოდუა, ლადი ჟვანია, იოსებ კეიღია, მღვდელი იოანე ბობოხიძე (განათლება — თბილისის სასულიერო სემინარია, ფოთის უმაღლესი დანყებითი სასწავლებლის პედაგოგი, ზუგდიდის სამრევლო სკოლების მეთვალყურე. სიტყვით და საქმით იბრძოდა სამეგრელოში ქართული ენის დევნის წინააღმდეგ. დახვრიტეს 1937 წელს) და სხვები იმავე წლის აგვისტოში დააპატიმრეს.

ზუგდიდის საქმის ძიება თითქმის ორი წელიწადი გაგრძელდა. თბილისის სასამართლო პალატამ ბარონ **ა. მედეის** თავმჯდომარეობით ქუთაისში გაარჩია „ზუგდიდის რესპუბლიკის“ საქმე. პასუხისგებაში მიცემული იყო 36 კაცი...

მედალს ორი მხარე აქვს. თუ ზემოთ აღნიშნული ფაქტი მედლის ერთი მხარეა, მაშინ მეორე მხარე — რომ „ზუგდიდის რესპუბლიკის“ შექმნა „კრემლის ოცნების“ აღსასრულებლად არ მომხდარა, გვარნმუნებს გეგეჭკორის რაიონის (ამჟამად მარტვილის რაიონი) გაზეთი „შრომის დროშა“. ამ გაზეთის №114-ში დაიბეჭდა **შალვა ჯღარკავას** წერილი „**რუსეთთან სამეგრელოს შეერთება**“. ავტორი გაზეთ „დროებაზე“ დაყრდნობით წერს: „...დასავლეთ საქართველო, სამთავროებები ცალ-ცალკე შეუერთდა რუსეთს. ყველაზე ბოლოს სამეგრელო შეუერთდა რუსეთს, რასაც მოწმობს 1867 წლის 4 იანვარს რუსეთის მეფე ალექსანდრე მეორის მიერ გაცემული ბრძანება“.

ისე ღრმად განათლებულ და მოაზროვნე პიროვნებებს, როგორებიც იყვნენ **გრიგოლ ჩიჩუა**, მღვდელი **იოანე ბობოხიძე**, **ალექსანდრე ჩიქავა** (რომელმაც 1918 წელს ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს), ყოვლად შეუძლებელია, ნდომოდათ საქართველოს დაქუცმაცება. ადვილი დასაშვებია, რომ მათ „ზუგდიდის რესპუბლიკის“ შექმნა რუსეთისგან თავის დაღწევის ერთ-ერთ გზად მიაჩნდათ.

* * *

პირველი პრეზიდენტის პირადი მდივანი **მადლენა დამენია** იხსენებს:



„ბევრი რამ შეიძლება გავიხსენოიმ წლებიდან, მაგრამ ყველაზე მეტად, რაც ჩემს ცხოვრებას ალამაზებს, ეს არის 1993 წლის 24 სექტემბერი, როდესაც პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია გროზნოდან ზუგდიდში დაბრუნდა; დღე, როცა პირველი პრეზიდენტის თანამოაზრეებთან ერთად იმ შენობაში ვიმყოფებოდი, სადაც შემდეგ პრეზიდენტის სამუშაო კაბინეტი იყო. არასდროს

დამავიწყდება სიხარულით აღფრთოვანებული ათიათასობით ადამიანის სახე. მე წილად მხვდა უდიდესი ნდობა, ვყოფილიყავი პრეზიდენტის მდივანი მისი ზუგდიდში ყოფნის პერიოდში. ეს მთელი ჩემი ცხოვრებაა. მე იმდენად ვგრძნობდი პრეზიდენტის მიმართ მოწინებას, რომ ჩემს თავს უფლებას არ ვაძლევდი, ხშირად შემელო პრეზიდენტის სამუშაო ოთახის კარები და შემეყვანა ადამიანები, რომლებიც მასთან შეხვედრას ითხოვდნენ და დაცვის ნევრებს ვთხოვდი მათ შეყვანას. 1993 წლის ნოემბერში, როცა შევარდნაძის სადამსჯელო რაზმი კვლავ შემოვიდა ზუგდიდში, ქუჩები დაცარიელდა, შენობაში, სადაც ჩვენ ვიმყოფებოდით, მხოლოდ საზოგადოება „ხსოვნის“ ნევრები: **მადონა მაქაცარია, მზიური კვარაცხელია, დოდო შეროზია, ხატული ჭითანავა** დავრჩით. მახსოვს,

გვეუბნებოდნენ, გადით შენობიდან, მალე აქ შემოვლენო. შენობიდან გავიტანე ქალაქები, რომელზედაც პრეზიდენტის ხელმოწერა იყო. ერთი წელი ჩემთან ინახებოდა უზენაესი საბჭოს ბეჭედი, რომელიც შემდგომ თბილისში უზენაესი საბჭოს კანცელარიის უფროსს ბატონ **ზურაბ წულაიას** გადავეცი.

არ შემიძლია არ გავიხსენო ერთი ეპიზოდი. თითქოს, ახლაც ჩამესმის ყურში ზუგდიდში მრავალათასიან მიტინგზე ფოთიდან ჩამოსული 20 წლის ახალგაზრდის სიტყვები: „**ხუთი წლით პრეზიდენტად ავირჩიეთ, ხუთი თვით სკამზე ჯდომის უფლება არ მივეცით**“...

— დიახ, ეს მწარე სიმართლეა.

ზვიად გამსახურდია რჩეულია და, სანამ თუნდაც ერთი ქართველი ივლის ამქვეყნად, მისი სახელიც იცოცხლებს“.

პოეზიისა და ოცნების სავანე



ნუცა რაფავა



ლიკა ტაბალუა

სამართლიანობა მოითხოვს, ადვანიშნო ორი ზუგდიდელის, **ნუცა რაფავასა** და მისი ქალიშვილის **ლიკა ტაბალუას** მოქალაქეობრივი სიყვარული მოყვასისადმი. ქალაქის შუაგულ ბულვარში ბამბუკისგან აშენებული ღია კაფე-ბარის დიასახლისები ნუცა და ლიკა გულთბილი მზრუნველობით უანგაროდ მასპინძლობდნენ მამულისათვის გულანთებულ მებრძოლებს, როცა ისინი სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ომში მიდიოდნენ. მებრძოლი ბიჭები აქ ლოცულობდნენ გამარჯვებასა და შინ დაბრუნებაზე. მათი ყველა სურვილი აქ იბადებოდა, იზრდებოდა და ათბობდა ქალაქის ქუჩებს. სწორედ აქედან გაიპარა პირტიტველა ბიჭი **ლაშა დამენია** აფხაზეთის ომში...

ნუცასა და ლიკას კაფე-ბარს ახსოვს **ძმები ვანაძეები, ძმები ესებუები, ნუგზარ შანავა, ნოდარ ნოდია, სლავა ინჯია, „ბომბორა“, „მედვედი“ (რომან ფუტკარაძე), „კიროკი“ (თენგიზ ბულია)**... ახსოვს **მერაბ კოსტავას** ომახიანი სიტყვა, **ზვიად გამსახურდიას** შორსმჭვრეტელი მზერა... ყველაფერი ახსოვს...

ჩემს მეხსიერებასაც ტკბილ-მწარე მოგონებად შემორჩა **ზაურ ქობალია, ვალტერ შურღაია, ჯემალ შონია,**



გურამ და რობერტ პეტრიაშვილები, რეზო კემულარია, პეტრე გელბახიანი, ინდიკო ქობალია, ედემ კვიციანი, რამაზ კუპრავა, თამაზ ახალაია, დავით სოკოლოვი, გიორგი სიჭინავა, თამაზ ფიფია, თამაზ ლაჭავაძე, მამუკა მანია, გიორგი (გია) ჭანია, პეტრე ნაჭყებია, რენე კალანდია, თინათინ მღვდლიაშვილი, გურგენ მალანია, გულივერ (გია) და კობა ლუბელაძეები, კახა ჯიჭონაია, ჯონი ბერაია, თენგიზ (ჩოქო) მხეიძე, კახა მოლაშხია, დათო შონია, ფატიმა ნაჭყებია, ირმა კოლოშვილი, ლაშა დამენია, ნანა ეხვავია, ნანა ფიფია, ასმათ შონია, ლია გვარამია, მერაბ ჯიქია, ლელა ხუბულავა, ლამარა (ლუიზა) თევზაძე, მზიურ კვარაცხელია, გული-სა ჩაკაბერია, მადონა მაქაცარია, გიზო მესხია, ზური კვარაცხელია, მზია ადამია, ნონა კვარაცხელია, ციალა და ჯული კვარაცხელიები, ნაირა კვარაცხელია, ციალა

ჭოჭუა, ციური ესართია, გონელი (კარლო) ქირია, აბიკო ბუაძე, მურმან დემურია, მაცი ხორავა, ჯუმბერ აკობია, აბელ კალანდია, ჟოზე და ნანი თოდუები, ნუგზარ ჩხეტია, მამუკა სალია, გია არჩილია, მუხრან იზორია, ელგუჯა გოგობია, რევიკ (როლანდი) შარია, ედუარდ ქადარია, გურამ მანდარია, ვალერი ქობალია, გელა ლაჭავა, ჯონი ქირია და სხვები. ჩემთვის ძალიან ძვირფასია ადამიანები, რომლებთანაც არაერთხელ მისაუბრია ქვეყნის საჭირობოროტო საკითხებსა და ლიტერატურაზე, სიყვარულსა და სიძულვილზე, ერთგულებასა და ლალატზე, სიკეთესა და ბოროტებაზე.

აქ სახლობდა „უსახლკარო“ ახალგაზრდა შემოქმედთა ასოციაცია „კოლხური ნანა“, რომელიც 10 ახალგაზრდა შემოქმედს აერთიანებდა და რომლის პრეზიდენტიც თავად გახლდით.

ნათქვამია: „როცა ქვემეხები ქუხს, მუხები დუმან“, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში პირიქით აღმოჩნდა... აქ ვკითხულობდით და განვიხილავდით ახლად დაწერილ ლექსებს, ნოველებს, მოთხრობებს... აქ ვითქვამდით სულს სიცხისგან გათანგულები და აქ ვთბებოდით ყინვისგან გათოშილები.

ეს კაფე-ბარი ზუგდიდის დასაპყრობად შემოსულთაც აწვდიდა ჭიქა წყალს, რადგან ნუცა და ლიკას მხოლოდ მოყვასისადმი უანგარო სიყვარული ამოძრავებდათ. სწორედ ასეთმა სიყვარულმა იხსნა საქართველო გადაგვარებისაგან და ამ დიდმა სიყვარულმა გადაარჩინა აღნიშნული კაფე-ბარი დანვისაგან მაშინ, როცა ზუგდიდში აღმოდებული შენობები ერთიმეორეს გადასცემდნენ ესტაფეტას.

რეზიუმე

შემთხვევითი არ ყოფილა ზვიად გამსახურდიას ზუგდიდში ჩამოსვლა. ზუგდიდი მუდამ იყო პოლიტიკურად მეამბოხე, დაუმორჩილებელი ძლიერი ძალა. სწორედ ზუგდიდიდან დაიწყო კანონიერი ხელისუფლების აღდგენა, რისი უდავო მტკიცებულებაა ეროვნულ მოძრაობაში ზუგდიდის და, საერთოდ, სამეგრელოს უდიდესი როლი. ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებისთვის აუცილებლობას წარმოადგენდა ამ სიძლიერის დათრგუნვა. სწორედ ამიტომ გამიზნულად მოხდა ზვიად გამსახურდიას ლიკვიდაცია სამეგრელოში.

ედუარდ შევარდნაძემ ზუგდიდს არ აპატიო ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტისადმი ერთგულება... „მხედრიონმა“, „თეთრმა არწივმა“ და სხვა სამხედრო კრიმინალურმა დაჯგუფებებმა, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ ჯაბა იოსელიანი, გია ყარყარაშვილი, დოდო გუგეშაშვილი, არაერთგზის ააოხრეს სამეგრელო, ზუგდიდი.

ედუარდ შევარდნაძემ ზუგდიდი კიდევ იმით დასაჯა, რომ ქალაქის სტატუსი ჩამოართვა. არადა სახელწოდება „ზუგდიდი“ მოხსენიებულია აფხაზეთის საკათალიკოსოს 1621 წლის მასალებში. ზუგდიდს, როგორც ქალაქს, XVII საუკუნიდან იხსენიებენ წერილობით, მანამდე ის წარმოადგენდა სავაჭრო ცენტრს („<http://www.zugdidi.gov.ge/550-0-geo.html>“). 2014 წელს ზუგდიდს კვლავ დაუბრუნდა ქალაქის სტატუსი.

ეროვნული ძალები 12 წლის განმავლობაში ებრძოდნენ ედუარდ შევარდნაძის ძალადობრივ რეჟიმს, რომლის 12-წლიანი მმართველობის პერიოდში აღინიშნა ადამიანის უფლებების უხეში და მასობრივი დარღვევები, საქართ-

ველოს ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვა, ქვეყნის ტერიტორიაზე რუსეთის საოკუპაციო სამხედრო ბაზების დაკანონება, მოსახლეობის გაძარცვა... ხელისუფლებამ მოსახლეობას მოუწოდა დანაზოგი ბანკში შეეტანა, ხოლო უახლოეს მომავალში გაორმაგებულად დაუბრუნდებოდა. ამის საფუძველზე საქართველოს მოსახლეობამ მთელი თანხა ბანკში შეიტანა, უფრო მეტიც, მომსწრე ვარ იმისა, რომ არაერთმა ადამიანმა გაყიდა ავტომანქანა, ბინა, სახლი და თანხა შემნახველ სალაროში შეინახა. იმასაც შევესწარი, ლამდამობით წარმოება-ორგანიზაციების ხელმძღვანელები და თანამდებობის პირები როგორ ცვლიდნენ ეროვნულ ვალუტას უცხო ვალუტაზე. ამით თავიანთი დანაზოგები გაიათმაგეს, მოსახლეობა კი ბოლომდე გაძარცვეს.

როდესაც გაჩნდა „შანსი“ **მიხეილ სააკაშვილის** მეშვეობით **ედუარდ შევარდნაძის** გადაყენებისა, ეროვნული ძალების წინაშე დაისვა ასეთი საკითხი: **„თუ მართლა გინდათ შევარდნაძის გადაყენება, აგერ ვართ ძალა, რომელსაც ეს შეუძლია და გავერთიანდეთ“.**

ნაციონალური მოძრაობა და სხვა პოლიტიკური პარტიები 2003 წლის ნოემბრის „ვარდების რევოლუციისთვის“ ვერ შეძლებდა ზუგდიდში ხალხის მობილიზებას, რომ არა ეროვნული ძალების გადანყვეტილება, მონაწილეობა მიეღო ამ რევოლუციაში. ეროვნულმა ძალებმა ზუგდიდში 5 საათის განმავლობაში 45 ავტობუსის მობილიზება შეძლო. ასე იყო სხვა რაიონებში, რადგან ეროვნული მოძრაობის ფლაგმანი ამ პერიოდშიც ზუგდიდი იყო. აქ ფუნქციონირებდა „ეროვნული თანხმობისა და სამართლიანობის აღდგენის კავშირის“ ძირითადი ბირთვი...

„ვარდების რევოლუციით“ მოსულმა მიხეილ სააკაშვილმა იმ ხალხის დაუკითხავად, რომლებმაც იგი ხელისუფლებაში მოიყვანა, ხელშეუხებლობის გარანტია მისცა ედუარდ შევარდნაძეს. სააკაშვილმა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე შეცვალა ეროვნული დროშა, ჰიმნი...

საკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლისთანავე კიდევ უფრო განმტკიცდა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის პირველი კანონიერი ხელისუფლების პრემიერ-მინისტრის, ფინანსთა მინისტრის გურამ აბსანძის მიერ ციხის კედლებში დაწყებული საქმე. არაერთი პოლიტიკატიმარი გათავისუფლდა ციხიდან. დღეს არ გვყავს ორი ხელისუფლება, თუმცა სამართლიანობა ბოლომდე არ აღმდგარა. მართალია, პირველი დამოუკიდებელი ხელისუფლების საკანონმდებლო ორგანო აღიარეს, მაგრამ ალოგიკურია, როცა მის მიერ შექმნილი და მის დაქვემდებარებაში მყოფი კანონიერი ეროვნული გვარდია ჯერ კიდევ მოხალისის სტატუსითაა. ასევე, საგულისხმოა ის ფაქტი, რომ **ვალტერ შურღაია** და **ზაურ ქობალია**, „სამშობლოს მოღალატის“ ბრალდებით გასამართლებულები, ისე წავიდნენ ამ ქვეყნიდან, რომ არც მათი და არც სხვათა რეაბილიტირება არ მომხდარა. დღემდე გამოუძიებელია საქართველოს პირველი პრეზიდენტის მკვლელობის საქმე.

იმედია, დღევანდელი ხელისუფლება მაინც მოაგვარებს ამ საკითხებს და მომავალ თაობებს არ მოუწევთ დაშვებული შეცდომების გამოსწორება.

ნაწილი მეორე

საქართველოს დამოუკიდებლობის
აქტსა და საქართველოს
სახელმწიფოებრივი
დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე
ხელმოწერილი უზღდიდელები

სპირიდონ კედია



სპირიდონ კედია დაიბადა 1884 წლის 20 სექტემბერს ზუგდიდში, აზნაურ **მალხაზ კედიას** ოჯახში. მამით ადრე დაობლდა. ქართულ ანბანს დედამ — **თეო ქუთათელაძემ** — აზიარა და 1893 წელს აღსაზრდელად ზუგდიდის ექვსკლასიან საქალაქო სასწავლებელში, შემდეგ ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში შეიყვანა.

ქუთაისში გატარებული წლები, განსაკუთრებით ცნობილი ქართველი პედაგოგის **იოსებ ოცხელის** ოჯახში ცხოვრება და მისი შეგირ-

დობა სპირიდონისათვის პატრიოტული აღზრდის ჩინებული სკოლა გამოდგა. სპირიდონ კედიამ „რევოლუციური ნათლობა“ მონაფეობისას მიიღო. 1904 წლის თებერვალში თანაკლასელებთან ერთად ხმა აღიმალდა რუსეთ-იაპონიის ომის წინააღმდეგ. მომდევნო წელს სიტყვა წარმოუთქვამს თბილისში გამართულ საპროტესტო მიტინგზე, რომელიც პოლიტიკური რეჟიმის სისასტიკესა და ხელისუფლების ძალმომრეობას ამხელდა.



საქართველოს თავისუფლების იდეის ერთგულებამ თავიდან ფედერალისტურ პარტიას დააკავშირა, მაგრამ მათი გზები მალევე გაიყარა.

1905 წლის რევოლუციის მღელვარებამ ქუთაისის გიმნაზიის კედლებშიც შეაღწია. სპირიდონ კედია ამ მოძრაობის ხელმძღვანელთა რიგებში აღმოჩნდა, რისთვისაც სასწავლებლიდან გარიცხეს და ქალაქიდან გაასახლეს.

ზუგდიდში დაბრუნებული მემამბოხე გლებთა საპროტესტო გამოსვლების ორგანიზატორად იქცა. ამჯერად მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

სპირიდონ კედია დროებით სვანეთში მიიშალა, მერე ჩერქეზეთში გადავიდა, საბოლოოდ კი, 1906 წლის შემოდგომაზე, იგი საფრანგეთშია.

პარიზში მყოფი სპირიდონ კედია **კოლეჟ დე ფრანსის** მსმენელი ხდება. 1907 წელს სორბონის უნივერსიტეტში ბუნების შემსწავლელ მეცნიერებას ირჩევს. სტუდენტი ფულად შემწეობას ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოსგან იღებდა თვეში 25 მანეთის ოდენობით. მეორე კურსიდან, ჯანმრთელობის გაუარესების გამო, სამხრეთ საფრანგეთში გადადის. ლექციებს ტულუზის უნივერსიტეტში ისმენდა, დამთავრებით კი მონპელიეს უნივერსიტეტი დაამთავრა. მერე ისევ სორბონში დაბრუნდა და ფიზიოლოგიაში დოქტორის ხარისხისათვის მუშაობას შეუდგა.

ილია ჭავჭავაძის სულიერი მემკვიდრე სპირიდონ კედია საფრანგეთშიც სამშობლოს ჭირ-ვარამზე ფიქრობდა. ამის დასტურია მისი საქმიანობა პარიზის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოში, მისი წერილები **იაკობ გოგებაშვილის, გიორგი ზდანოვიჩისა და არჩილ ჯორჯაძისადმი.**

მოახლოებული პირველი მსოფლიო ომის წინ სპირი-

დონ კედიამ სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა. იცოდა, რომ ეს სერიოზულ საფრთხესთან იყო დაკავშირებული და სხვისი პასპორტით ბრუნდებოდა, მაგრამ რუსეთში გამოჩენისთანავე დააპატიმრეს და კრონშტადტის ციხეში ჩასვეს. ქართველი გენერლის **ნაკაშიძის**, პეტერბურგის ქართული კოლონიის წევრების, მათ შორის, **ივანე ჯავახიშვილისა** და სხვათა დიდი ძალისხმევით საპყრობილიდან გაათავისუფლეს.

1914 წელს თბილისში ჩამოვიდა. საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზი სოციალისტურ მიმდინარეობებს ჰქონდათ დაპყრობილი. სპირიდონ კედია ამ კოსმოპოლიტური მოძღვრების მიმდევარი ვერ გახდა. დაიწყო ახალი ძალის გაერთიანება, რომლის საფუძველი იყო „მამულის სიყვარული და მსახურება“, იმ ეროვნული საუნჯის დაცვა და მოვლა-პატრონობა, რომელიც ილია ჭავჭავაძემ — მამულის, ენისა და სარწმუნოების სახით გამოყო. მას მიაჩნდა, რომ სამშობლო უზენაესი ღირებულებაა, რომ „ყოველი ნაბიჯი, ყოველი დასაწყები საქმე ეროვნული თვალსაზრისით უნდა განიზომებოდეს: იგი უნდა იყოს გზისა და ხერხის მაჩვენებელი კანდელი“.

ქართველი ქველმოქმედების თანადგომით 1915 წლის 24 მაისს თბილისში გამოსცა ყოველდღიური პოლიტიკური, ლიტერატურულ-მხატვრული, ილუსტრირებული გაზეთი „საქართველო“. იგი 1912 წლიდან გამომავალ ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების ჟურნალ „კლდის“ ბაზაზე დაფუძნდა.

ბევრს წერდა თვითონ სპირიდონ კედიაც. მის წერილებს, პუბლიკაციებს სათქმელის სიცხადე, პირდაპირობა და დახვეწილი სტილი გამოარჩევს, სადაც მკაფიოდ ჩანს ავტორის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ნააზრევი.

მან დაქსაქსული ჯგუფების გაერთიანებით 1917 წელს ჩამოაყალიბა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, რომლის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს.

სპირიდონ კედია დაკავშირებული იყო ევროპაში მოქმედ **„საქართველოს გათავისუფლების კომიტეტთან“**, რომელიც გერმანიის ხელშეწყობით საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მისაღწევად არალეგალურად იღვწოდა. 1917 წლის შემოდგომაზე დანიასა და შვედეთში ჩავიდა. თბილისში ჩამოსვლისთანავე აქტიურად ჩაერთო საქართველოს ეროვნული საბჭოს საქმიანობაში, რომლის წევრადაც 1917 წლის ნოემბერში დაუსწრებლად აირჩიეს.

1918 წლის მაისში მონაწილეობს ამიერკავკასია-ოსმალეთის ბათუმის საზავო კონფერენციაში, საიდანაც, როგორც ქართველი ერის სრულუფლებიანი წარმომადგენელი, გაიგზავნა გერმანიის მთავრობასთან შესახვედრად. მოლაპარაკება საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადებასა და ქართულ-გერმანული ურთიერთობების დასახვას შეეხებოდა.

1918 წლის 26 მაისს ეროვნულმა საბჭომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა გამოაცხადა. ამ აქტს ამშვენებს სპირიდონ კედიას ხელმოწერა.

1919 წლის თებერვალში ჩატარებულ დამფუძნებელი კრების არჩევნებში მეორე ადგილზე გასულმა ედვ-ემ მემარჯვენე ოპოზიცია ჩამოაყალიბა, რომელსაც სათავეში სპირიდონ კედია ჩაუდგა. ფართო ევროპულმა განათლებამ, ღრმა ერუდიციამ, აქტიურმა საპარლამენტო თუ

პუბლიცისტურმა მოღვაწეობამ სპირიდონ კედია გამორჩეულ პოლიტიკურ ფიგურად აქცია, საიმედო და ჭკვიანი პოლიტიკოსის სახელი დაუმკვიდრა.

მისი თანამედროვენი ხაზგასმით აღნიშნავენ სპირიდონ კედიას გამორჩეულ მჭევრმეტყველებასა და უბადლო ორატორულ ნიჭს, რის გამოც მას „**საქართველოს ოქროპირს**“ ეძახდნენ. დამფუძნებელი კრების ტრიბუნადან მისი ნებისმიერი გამოსვლა საყოველთაო ინტერესსა და ყურადღებას იწვევდა. „**სპირიდონ კედიას სიტყვა ევროპის დიდ პარლამენტში მოსმენის ღირსიაო**“, — ბრძანებდა ივანე ჯავახიშვილი.

1921 წლის თებერვალ-მარტში ოკუპირებულ და ანექსირებულ საქართველოში საბჭოთა წყობილება დამყარდა. დამხობილი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა და დამფუძნებელი კრების დეპუტატთა ერთი ნაწილი ემიგრაციაში გაიხიზნა. სპირიდონ კედია ქართული ემიგრაციის პირველ ტალღას საზღვარგარეთ არ გაჰყოლია. იგი საქართველოში დარჩა და დაპყრობილი სამშობლოს ხვედრი ერთან ერთად გაიზიარა.

ქართველი ხალხი არ შერიგებია დამპყრობელს. მან შემოიკრიბა პატრიოტ სამხედროთა წარმომადგენლები: **ქაქუცა ჩოლოყაშვილი, ბიძინა პირველი, მიხეილ გვალია** და სხვები. მალე მთელ საქართველოში წინააღმდეგობის მოძრაობა გაიშალა.

საქართველოში წითელი არმიის შემოჭრის წლისთავის აღსანიშნავად ეროვნულ-პოლიტიკურმა ძალებმა 1922 წლის თებერვლის მასშტაბური საპროტესტო დემონსტრაციისთვის გამოსცეს ბროშურები, პროკლამაციები და სხვა, რაც მხედველობიდან არ გამოჰპარვიათ „ჩეკას“ ჯალათებს. 1922 წლის თებერვალში 38 წლის სპირიდონ

კედია თანამოაზრეებთან — **იასონ ლორთქიფანიძესთან, მიხეილ ღვამიჩავასთან, სამსონ ფირცხალავასთან** ერთად დააპატიმრეს.

სპირიდონს ექვსი თვე მეტეხის ციხეში, შემდეგი ექვსი თვე კი საგუბერნიო ციხეში გაატარებინეს გაუსამართლებლად, საიდანაც იმ პირობით გაათავისუფლეს, თუ უცხოეთში გაიხიზნებოდა. ასე აიძულეს წასულიყო ემიგრაციაში და მოიშორეს კიდევ ერთი დაულაღავი მებრძოლი, სასიქადულო მამულიშვილი. სამშობლოდან გადახვეწილი სპირიდონ კედია მაინც განაგრძობდა პოლიტიკურ და ლიტერატურულ მოღვაწეობას.

სტამბოლში გარკვეული დროით დაყოვნების შემდეგ, 1923 წლის ივნისში, საფრანგეთში ჩააღწია. შეუერთდა ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას.

სპირიდონ კედიას პარიტეტული კოლეგიისა და ემიგრაციაში დაარსებული საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის საზღვარგარეთის დელეგაციის წევრობა დაეკისრა. ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ ემიგრირებულ მთავრობასთან თანამშრომლობის სრული უფლებაც მიანიჭა. მალე მისი და სოციალ-დემოკრატიული მთავრობის გზები გაიყარა. მიზეზად 1924 წლის აგვისტოს აჯანყება იქცა, რომლის იდეასაც სპირიდონ კედია არ იზიარებდა.

სპირიდონ კედიამ მიზნად დაისახა ქართველ ემიგრანტთა მთლიანობის აღდგენა და ერთიანი ეროვნული ფრონტის შექმნა. ამ სულისკვეთებით იყო გამსჭვალული მის მიერ 1925 წელს დაარსებული ჟურნალი „სამშობლოსათვის“ და 1932 წელს გამოცემული გაზეთი „საქართველოს გუშაგი“. სამწუხაროდ, სპირიდონ კედიას იდეამ ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მხარდაჭერა ვერ პოვა.


სპირიდონ კედიამ ოჯახი თბილისში შექმნა. ცოლად ქართული გიმნაზიის გამგე, ახალგაზრდა პედაგოგი სოფიო ჩიჯავაძე შეირთო. მათი ერთადერთი ქალიშვილი თეო დაიბადა თბილისში 1921 წელს. დედა-შვილმა მხოლოდ 1928 წელს მოახერხა პარიზში ჩასვლა.

ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის ოჯახმა საფრანგეთში, პარიზის სამხრეთ-დასავლეთ უბანში, კლამარ-ად ნოდებულ პატარა ქალაქში, პარფიუმერიულ კომპანია „პრინცი მაჩაბლის“ კუთვნილ სახლში ხელმოკლედ, მაგრამ ღირსეულად იცხოვრა. სპირიდონს, როგორც გიორგი მაჩაბლის (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სრულუფლებიანი ელჩი იტალიაში) კომპანიონს, შეეძლო ცხოვრება უკეთ მოეწყო, მაგრამ ამ ზნეობრივად უმნიკვლო კაცმა მაჩაბლის მემკვიდრეებისაგან ოფიციალურად კუთვნილიც კი ვერ მიიღო. სპირიდონ კედიას მთელი ცხოვრების არსი თავისუფალი სამშობლო და მისი კეთილდღეობა იყო. სხვა საფიქრალი, სხვა საზრუნავი მას არც საქართველოში და არც უცხოეთში არა ჰქონია. სიცოცხლის ბოლომდე სჯეროდა, რომ, ადრე თუ გვიან, საქართველო კვლავ აღიდგენდა დამოუკიდებლობას.

საქართველოს დიდი მოამაგე სპირიდონ კედია 1948 წელს 64 წლის ასაკში გარდაიცვალა.

დაკრძალულია ლევილში....

ალექსანდრე ჩიქავა



პედაგოგი, პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე ხიტუს ძე ჩიქავა დაიბადა 1882 წლის 28 აგვისტოს ზუგდიდის რაიონის სოფ. შამგონაში; წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. ალექსანდრე იმ ჯგუფს მიეკუთვნება, რომელმაც პირველმა დაამთავრა უნივერსიტეტი; იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ზუგდიდის განყოფილების წევრი. უაღრესად განათლებული ალექსანდრე ფლობდა ექვს უცხო ენას, ეწეოდა აქტიურ რევოლუციურ მოღვაწეობას; 1905 წლიდან იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის „მენშევიკების ფრაქციის“ წევრი; პარტიის სამეგრელოს კომიტეტის წევრი და აქტიური ორგანიზატორი. იბრძოდა მეფის რეჟიმისა და რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ. მეფის რეჟიმის დროს, რევოლუციური საქმიანობის გამო დაპატიმრებული იყო 1905, 1906 და 1913 წლებში. სასჯელი რუსეთის იმპერიის სხვადასხვა საპყრობილეში მოიხადა. საიდუმლო გვირაბით ქუთაისის ციხიდანაც გაქცეულა სხვა რევოლუციონერებთან ერთად. პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ, 1917 წლამდე ცხოვრობდა ზუგდიდში პოლიციის ღია ზედამხედველობის ქვეშ, რევოლუციური საქმიანობისა და ციხიდან გაქცევის გამო.

1917 წელს იყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის

წევრი. არჩეული იყო საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სიით. იყო თვითმმართველობის კომისიის წევრი.

1918 წლის 26 მაისს კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილ რეზიდენციაში ნაშუადღევის 4 საათსა და 50 წუთზე ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომა გაიხსნა. ნოე ჟორდანია სიტყვით გამოვიდა და მისი დასრულების შემდეგ წაიკითხა „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“. ეროვნულმა საბჭომ დამოუკიდებლობის აქტი ერთხმად დაამტკიცა. სწორედ ამ აქტს მოაწერა ხელი ჩვენმა სასიქადულო თანამოქალაქემ — ალექსანდრე ჩიქავამ. ალექსანდრე თავდაუზოგავად ებრძოდა საქართველოს გასაბჭოებას. მას მხოლოდ დამოუკიდებელი საქართველო სწამდა. როცა საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა დაეტოვებინა სამშობლო, ნოე ჟორდანიას შეუთავაზებია, მათთან ერთად წასულიყო ემიგრაციაში, რაზედაც მტკიცე უარი განუცხადებია და პასუხი გაუცია: მე ჩემს ქვეყანას აქ უფრო გამოვადგებიო. როცა გემით მიმავალთ აცილებდა, თვალზე ცრემლმორეულს მეგრულად უმღერია:

**„სი სოული ბაადა (ბატა), მა დომიტალენქო,
გურს გენია მონტებულსუ ვეშემიბრალენქო“...**

მისი სატკივარი მხოლოდ მამული და მისი მომავალი, მისი დამოუკიდებლობა და აყვავება იყო.

ალექსანდრე ჩიქავას თანამებრძოლები ყოფილან ლუღუნი, აკაკი და ბარდლა ჩიქავები. ეს უკანასკნელი ალექსანდრეს ჩამოტანილი ე.წ. აკრძალული ლიტერატურის კითხვისთვის გადაასახლეს. ბოლშევიკური რეჟიმის დროს, იდეენებოდნენ ალექსანდრეს ნათესავებიც.

„სახლში ბებია ყოფილა პატარასთან ერთად. მოვიდ-

ნენ შეიარაღებული ჩეკისტები, ბაბუას ეძებდნენ, მთელი სახლი გადაუტრიალებიათ, ერთ-ერთმა დაუმიზნა აკვანში მწოლიარე ბავშვს — მამაჩემს, მაგრამ მეორეს ხელი აუკრავს და მაუზერის ტყვია კარებს მოხვედრია“, — ჰყვება შამგონის მცხოვრები დალილა ჩიქავა და კედლებზე ნატყვიარს უჩვენებს. ისტორია შთამომავლობისთვის რომ შეენახათ, მათ ძველი სახლი არ დაუნგრევიათ და მის გვერდით ახალი აუშენებიათ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ აქტიურად ჩაბმული იყო წინააღმდეგობის მოძრაობაში. ალექსანდრე, 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობისათვის, 42 წლის ასაკში, სხვა პოლიტპატიმრებთან ერთად ბოლშევიკებმა შორაპანთან კვამლით დაახრჩვეს ვაგონში.

2017 წელს საქართველოს ეროვნული მოძრაობის აქტიურმა წევრებმა, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებმა — **მარინე დამენიამ და რევაზ (როლანდ) მაქაცარიამ** ზუგდიდის რაიონის საკრებულოს და ზუგდიდის რაიონის სოფ. შამგონის საჯარო სკოლის დირექტორს წერილობით მიმართეს, სოფლის სკოლას მიენიჭოს ალექსანდრე ჩიქავას სახელი.

2018 წელს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო გადაწყვეტილება ალექსანდრე ჩიქავას მშობლიური სოფლის სკოლას მიენიჭოს მისი სახელი. გადაწყვეტილება განსახილველად გაგზავნილ იქნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში.

გურამ აბსანძე



გურამ ვალიკოს ძე აბსანძე დაიბადა 1952 წლის 18 აპრილს ზუგდიდის რაიონის სოფელ დარჩელში. 1969 წელს დაამთავრა სოფ. დარჩელის საშუალო სკოლა, 1974 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი ფინანსებისა და კრედიტების სპეციალობით. 1975-1976 წლებში მუშაობდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ზუგდიდის რაიონის საფინანსო განყოფილებაში უფროს ეკონომისტად. 1977-1984 წლებში მოსკოვის მელიორაციისა და ნყალთა მეურნეობის სამინისტროს უფროს ეკონომისტად, განყოფილების უფროსის მოადგილედ, შემდეგ განყოფილების გამგედ. საქართველოს მთავრობის დადგენილებით, 1984 წელს გადმოჰყავთ თბილისში საქართველოს ფინანსთა სამინისტროში ადგილობრივი მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სამინისტროს დაფინანსების

სამმართველოს უფროსად, 1988 წელს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოს უფროსად. ამ პერიოდში საქართველოს ეროვნული მოძრაობა აზვირთებულია, ყველა მოქალაქე არჩევანის წინაშე დგას. აი, რას ამბობს გურამ აბსანძე:

„1989 წლის 9 აპრილამდე ვიყავი კომპარტიის წევრი, უფრო ადრე — კომკავშირელი, პიონერი, ოქტომბრელი, მაგრამ ამას ჩემთვის ხელი არ შეუშლია ვყოფილიყავი ეროვნული იდეალების ერთგული, უბრალო ქართველი კაცი. ჩემი შინაგანი რწმენით ყოველთვის ეროვნულ საქმეს ვაკეთებდი და ვემსახურებოდი“.

1990 წლის ნოემბერში, ეროვნული ხელისუფლების მოსვლის პირველივე დღეებში, ზვიად გამსახურდიას რეკომენდაციით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრად დანიშნა. 1991-1992 წლებში იყო საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე, ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრი.

1991 წლის 9 აპრილს ხელი მოაწერა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს.

გურამ აბსანძეს საქმიანობა დამოუკიდებელ საქართველოს ხელმძღვანელ თანამდებობაზე ეროვნული ხელისუფლების მიერ გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის სარკეა:

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ჩვენმა სახელმწიფომ 1991 წელს მიიღო და შეასრულა ბიუჯეტი, თანაც ისეთი გაუთვალისწინებელი ხარჯების პირობებში, როგორც იყო მინისძვრისაგან დაზარალებულ რაიონებში ახალი სახლების აშენება, გზების გაყვანა, ხიდების მშენებლობა, კრემლის მიერ ინსპირირებული კონფლიქტების მოგვარება და ა.შ.

ბიუჯეტი ისე შესრულდა, რომ ეროვნულ ხელისუფლებას არ აუღია არც ერთი კაპიკი საგარეო ვალი, საქართველოს ვალი კი, პირიქით, ჰქონდა რუსეთს, უკრაინას, სომხეთს, ყაზახეთს, აზერბაიჯანს, სულ 48,5 მილიონი დოლარის ოდენობით, ხოლო მოსკოვის საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა ბანკში საქართველოს სანაოსნოს, სხვა საკავშირო დაქვემდებარების სანარმოებსა და ორგანიზაციებს სავალუტო ანგარიშზე ერიცხებოდათ 100 მილიონი აშშ დოლარი, რომელიც საქართველოს საკუთრება იყო.

ეროვნული ხელისუფლების მმართველობის პერიოდში, 1991 წლის 28 ოქტომბრიდან 1992 წლის 6 იანვრამდე, საქართველოში წარმოებული და ნაშთის სახით არსებული პროდუქციის რეალიზაციით მიღებული ამონაგები — 3 მილიარდი აშშ დოლარი — საქართველოს ფინანსური რესურსებით სულ მცირე 3 წლით უზრუნველყოფდა.

1992 წლის 6 იანვარს საქართველოში მოხდა კანონიერი ხელისუფლების შეიარაღებული ძალებით დამხობა, სამხედრო გადატრიალება. პრეზიდენტი თავისი ოჯახითა და დაცვით გადის ქალაქიდან. პრეზიდენტის ერთგული დეპუტატებით გაჭედდნ ორ იკარუსს მეტეხის ხიდთან პუტჩისტებმა ტყვიები დაუშინეს და დაცხრილეს. გურამ აბსანძე სხვებს გადაეფარა და ცხრა ტყვია მოხვდა, რომელთაგან რვას დღესაც ატარებს.

სიკვდილს სასწაულებრივად გადარჩენილი გურამ აბსანძე 1992 წლის მარტიდან 1992 წლის აგვისტომდე პატიმრობაშია.

იგი გარკვეული დროით ემიგრაციაში იმყოფება და დევნილი ხელისუფლების, ციხისგარეთ დარჩენილი, დაფანტული წარმომადგენლების თავმოყრასა და მათ-

ვის მოღვაწეობის გაგრძელებისათვის საჭირო პირობებს ქმნის. როცა სამშობლოს დასჭირდა, ისევ ბრუნდება საქართველოში.

ზვიად გამსახურდია იმდენად ენდობოდა გურამ აბსანძეს, რომ პირადად მას დაავალა საქართველოში თავისი ჩამოსვლის ორგანიზება. 1993 წლის 24 სექტემბერს სენაკში დაემუშა თვითმფრინავი, რომელშიც ისხდნენ ზვიად გამსახურდია, გურამ აბსანძე და მფრინავი ზაურ ბედია.

საქართველოში ისევ სისხლისღვრაა. მოკლეს საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია... გურამ აბსანძე ისევ ემიგრაციაშია. რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალურმა ქვედანაყოფებმა 1998 წლის 17 მარტს დააკავა საქართველოს კანონიერი ხელისუფლების უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნემო ბურჭულაძე** და ფინანსთა მინისტრი **გურამ აბსანძე**. ორი დღის შემდეგ გურამ აბსანძე საქართველოს ხელისუფლებას გადასცეს. 2000 წლის 31 ოქტომბერს გურამ აბსანძე სხვა პოლიტპატიმრებთან ერთად ციხის გვირაბიდან გაიქცა, რამდენიმე დღეში კი უკან დააბრუნეს. გურამ აბსანძეს 64 ბრალდება წაუყენეს. მან სასამართლო პროცესზე სამოცდაოთხივე ბრალდება გააცამტვერა. ამის მიუხედავად, 2001 წლის 17 აგვისტოს 17 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. მას ბრძოლა არ შეუწყვეტია... 2001 წლის 13 სექტემბერს 62 ბრალდება მოუხსნეს და 2 დაუტოვეს, ხოლო სასჯელი 6 წლით განუსაზღვრეს.

გურამ აბსანძის ადვოკატებმა ევროსასამართლოს 1999 წელს მიმართეს. ადვოკატ სოსო ბარათაშვილის თქმით, სარჩელი ევროკონვენციის მესამე, მეხუთე და მეექვსე მუხლების დარღვევას შეეხებოდა. 2002 წლის აპრილში მან ციხის კედლები დატოვა.

გურამ აბსანძე არც ციხეში იყო უქმად. იგი აქტიურად იბრძოდა პოლიტპატიმართა გასათავისუფლებლად. მისი და სხვა პოლიტპატიმართა შეუპოვარი ბრძოლის შედეგად საქართველოს პარლამენტმა 2000 წლის 20 აპრილს მიიღო დადგენილება, რომლის საფუძველზეც ასეულობით პოლიტპატიმარმა მოიპოვა თავისუფლება. 2002 წლის 26 აპრილს დააფუძნა „ეროვნული თანხმობისა და სამართლიანობის აღდგენის კავშირი“.

ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ იგი ერთხანს საქართველოს სახელმწიფო მინისტრი იყო.

გურამ აბსანძის ცხოვრება და მოღვაწეობა ასახულია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრისა და მწერლის **ჯემალ შონიას** ნიგნში „ფიცის ერთგული რაინდი“.

თენგიზ (გია) მამფორია



თენგიზ (გია) მამფორია დაიბადა 1959 წლის 7 ნოემბერს ზუგდიდის რაიონის სოფელ ერგეტაში.

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი (1978 წ.). 1987 წლიდან ჩაერთო ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში. სწორედ მაშინ მერაბ კოსტავას სახლში იკრიბებოდნენ საქართველოს თავისუფლებაზე არა მხოლოდ მეოცნებეები, არამედ მებრძოლები. აქ შეიქმნა ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, რომლის წევრიც გახდა გია. აქ იგეგმებოდა თბილისსა და საქართველოს სხვა რეგიონებში ჩასატარებელი აქციები.

მისი თქმით, მერაბ კოსტავას ისე დაუახლოვდა, რომ მის უმცროს მეგობრად თვლიდა თავს, თან დასძენს, რომ ეს ხმამაღალი ნათქვამია, მაგრამ ფაქტია. რაც შეეხება ზვიად გამსახურდიას, მასთან უფრო მორიდებული და თავდაჭერილი იყო.

1990 წელს სამაჩაბლოში მიმავალ მომიტინგეებს სამხედრო შენაერთებმა გზა გადაუკეტეს. ქალები და ახალგაზრდები უკან დაბრუნდნენ, ხოლო დანარჩენები იქ დარჩნენ. აქ განვითარებული რიგი მოვლენების გამო ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას გამოეყო გარკვეული ჯგუფი, მათთან ერთად წამოვიდა გიაც და შექმნეს მერაბ კოსტავას საზოგადოება. გია ამ საზოგადოების გამგეობის წევრი გახდა.

პირველ მრავალპარტიულ არჩევნებში მერაბ კოსტავას საზოგადოებიდან პროპორციული სიით გავიდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრად (1990-1991), იყო საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მდივანი, შეწყალების კომისიის მდივანი.

1991 წლის 9 აპრილს ხელი მოაწერა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტს.

1991 წელს, როდესაც მერაბ კოსტავას საზოგადოების თავმჯდომარე ვაჟა ადამია ოპოზიციას მიემხრო და დაუპირისპირდა პრეზიდენტს, **გია მამფორიამ ბიძინა დანგაძესთან, ნუგზარ მოლოდინაშვილთან და მაია თომაძესთან** ერთად პარლამენტში ოფიციალური განცხადება გააკეთა და დატოვა მერაბ კოსტავას საზოგადოება.

სახელმწიფო-სამხედრო გადატრიალების შემდეგ იყო საქართველოს ეროვნული დაუმორჩილებლობის კომიტეტის წევრი.

მონაწილეობდა დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-1993 წწ.) და ზუგდიდის (1993 წ.) სესიებში. 1993 წლიდან განიცდიდა პოლიტიკურ დევნას და ემიგრაციაში წავიდა. ყველა შესაძლო მეთოდებით აქტიურად იბრძოდა კანონიერი ხელისუფლების აღდგენისათვის. იყო ემიგრაციაში გამოცემულ გაზეთ „თავისუფალი საქართველოს“ რედკოლეგიის წევრი.

2003 წელს ბრუნდება საქართველოში და აქტიურად ერთვება „ვარდების რევოლუციაში“.

2006 წელს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ თენგიზ (გია) მამფორია აღიარა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად.

გურამ მაქაცარია



გურამ შალვას ძე მაქაცარია დაიბადა 1949 წლის 8 მარტს ქ. ზუგდიდში.

1966 წელს დაამთავრა თბილისის ვლადიმირ კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის სპეციალიზებული სკოლა. 1972 წელს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კიბერნეტიკის ფაკულტეტი. უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე მიენიჭა კიბერნეტიკის დარგის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ნოდება. წლების განმავლობაში ეწეოდა სამეცნიერო საქმიანობას.

გურამ მაქაცარია 1978 წლის 14 აპრილს ქართული ენის დამცველთა მიერ გამართული საპროტესტო აქციის ერთ-ერთი აქტიური მონაწილეა. მან სხვებთან ერთად საკუთარი სისხლით მოაწერა ხელი საპროტესტო მემორანდუმს, რომელიც ეწინააღმდეგებოდა საქართველოში რუსული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებას. **მერაბ კოსტავას** ციხიდან გათავისუფლების შემდეგ დაუახლოვდა მას, როგორც სისხლითა და სულით მონათესავეს, ასევე დაუახლოვდა საქართველოს ეროვნული მოძრაობის ლიდერს, ბატონ **ზვიად გამსახურდიას**.

1990 წელს მონაწილეობა მიიღო პირველ მრავალპარტიულ არჩევნებში. კენჭს იყრიდა რუსთავის №49 საარჩევნო ოლქში, საარჩევნო ბლოკი „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“, საქართველოს ჰელსინკის კავშირიდან მაჟორიტარ დეპუტატად. არჩევნებში გაიმ-

არჯვა და გახდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-1991 წწ.). პარლამენტში არჩეული იყო სოფლის მეურნეობის, მინათსარგებლობისა და ეკოლოგიის კომისიის წევრად, მინათმფლობელობისა და მინათსარგებლობის ქვეკომისიის თავმჯდომარედ. 1991 წლის 9 აპრილს ხელი მოაწერა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს.

მონაწილეობდა დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-1993 წწ.) და ზუგდიდის (1993 წ.) სესიებში.

1999 წელს იყო პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს“ საინფორმაციო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაზეთ „**კოლხური კოშკის**“ მე-3 ნომრის რედაქტორი. 2015 წლის 31 მარტს რედაქტორობდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაზეთს „**საქართველოს სულიერი მისია**“. დამფუძნებლები: **რომან ძიძიგური** და **გურამ მაქაცარია**.

საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატს გურამ მაქაცარიას პროტესტის ნიშნად 2000 წელს ედუარდ შევარდნაძის დადგენილებით დანიშნული პენსია, 600 ლარი, ათი წელი არ აუღია.

გეოფიზიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, პროფესიით კიბერნეტიკოსი, მართვის თეორიის სპეციალისტი, სსრ კავშირის 1989 წლის ერთ-ერთი საუკეთესო გამომგონებელი გურამ მაქაცარია სამხედრო გადატრიალების შემდეგ პროეტესტის ნიშნად არსად არ მუშაობს. მას ახლაც უამრავი გამოგონება აქვს, რომელთა რეალიზება ჯერჯერობით ვერ ხერხდება.

თამაზ ჟორჟოლიანი



თამაზ ომარისძე ჟორჟოლიანი
დაიბადა 1960 წლის 4 სექტემბერს მესტიის რაიონის სოფ. მულახში. 1984 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტი ინჟინერ-თბოელექტრიკოსის სპეციალობით. საბჭოთა სამხედრო სამსახური მოიხადა 1980-1982 წელს ჩეხოსლოვაკიაში.

მუშაობდა ქ. ზუგდიდის ფაიფურის ქარხანაში ინჟინერ-თბოენერ-

გეტიკოსად, თბოენერგეტიკული საამქროს უფროსად.

ეროვნული მოძრაობის აღზევების პერიოდში, კერძოდ, 1987 წელს, შეუერთდა საქართველოს ეროვნულ მოძრაობას. ამავე წლის სექტემბერში დააფუძნა ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ზუგდიდის ორგანიზაცია და არჩეულ იქნა თავმჯდომარედ, ხოლო 1988 წლის იანვარში გახდა საზოგადოების დარბაზის წევრი. ილია ჭავჭავაძის საზოგადოებაში მომხდარი განხეთქილების შემდეგ ეს ჯგუფი ორად გაიყო და ჩამოყალიბდა მეორე ჯგუფი — წმინდა ილია მართლის საზოგადოება. სწორედ ამ საზოგადოების ზუგდიდის ორგანიზაციას აფუძნებს თამაზ ჟორჟოლიანი. მისი დაფუძნებულია საქართველოს დამოუკიდებლობის პარტიის ზუგდიდის ორგანიზაციაც. იგი ზედიზედ ორჯერ იყო არჩეული დამოუკიდებლობის პარტიის მთავარი კომიტეტის წევრად. ასევე, ორჯერ აირჩიეს მერაბ კოსტავას სახელობის საადგილმამულო ფონდის გამგეობაში. ფონდი აქტიურ საქმიანობას

ენოდა სამხრეთ საქართველოში ქართველთა უფლებების დაცვისა და მათი საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად. თამაზ ჟორჯოლიანი საქართველოში 1987 წლიდან ჩატარებული თითქმის ყველა აქციისა და მიტინგის მონაწილეა. მისი უშუალო თაოსნობით ჩატარდა რესპუბლიკური მნიშვნელობის რამდენიმე აქცია. მათ შორის შეიძლება გამოვყოთ 1989 წელს ჩატარებული ორდღიანი საერთო-სახალხო გაფიცვა, რომელიც აპროტესტებდა ქართველი ახალგაზრდების განწევას საბჭოთა არმიის რიგებში. ამ აქციას აქტიურად დაუჭირეს მხარი **ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ.**

თამაზ ჟორჯოლიანის პოლიტიკურმა აქტიურობამ თავსატეხი გაუჩინა საბჭოთა კომუნისტურ ხელისუფლებას. 1989 წლის ცნობილი მოვლენების შემდეგ მის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, მაგრამ ძლიერი სახალხო პროტესტის გამო მხოლოდ ფულადი ჯარიმის გადახდა დააკისრეს, თუმცა გამოსავალი ისევ იპოვეს. მაშინდელმა უშიშროების კომიტეტმა სამხედრო კომისარიატს უბრძანა, იგი გაენვიათ ჩერნობილის ატომური რეაქტორის საავარიო სამუშაოებზე, რაც უცილობლად ნიშნავდა მის ლიკვიდაციას. ამას, რა თქმა უნდა, ისევ ძლიერი სახალხო პროტესტი მოჰყვა. ხელისუფლებას ამჯერადაც მოუწია უკან დახევა.

მოღვაწის უკომპრომისო ბრძოლას საქართველოს დამოუკიდებლობისათვის თან ერთვის უბადლო ორატორული ნიჭი და ლიდერის თვისებები. ამ თვისებებმა გახადეს იგი საქართველოს ეროვნული მოძრაობის უახლოეს ისტორიაში ერთ-ერთ გამორჩეულ ლიდერად. იგი ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ერთ-ერთი თანამებრძოლია და თავს მათ უმცროს მეგობრად თვლის.

70-წლიანი შუალედის შემდეგ, ეროვნული მოძრაო-

ბის დიდი ბრძოლის შედეგად, 1990 წლის 28 ოქტომბერს ჩატარებულ პირველ მრავალპარტიულ არჩევნებში თამაზ ჟორჯოლიანიმა ზუგდიდის №91 საარჩევნო ოლქში მაჟორიტარ დეპუტატად იყარა კენჭი საარჩევნო ბლოკიდან „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“ და არჩეულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრად. 1991 წელს დაინიშნა ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის პრეფექტად.

როგორც თავად აღნიშნავს, მისი პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის „გვირგვინი და უმაღლესი ჯილდო“ გახდა 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელმოწერა.

1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის სამხედრო გადატრიალების, კანონიერი ხელისუფლების დამხობის შემდეგ ემიგრაციაში წავიდა. ოჯახთან ერთად ცხოვრობდა ბელგიის სამეფოში, ქ. ანტვერპენში.

თამაზ ჟორჯოლიანი საქართველოში 2014 წელს ბრუნდება და აგრძელებს აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობას.

2016 წლიდან ინიშნება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილედ.

2017 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში არჩეულ იქნა ცაიში თემის მაჟორიტარ დეპუტატად.

2017 წლის 3 ნოემბერს თამაზ ჟორჯოლიანი ტრაგიკულად დაიღუპა.

ზაურ ქობალია



ზაურ დავითის ძე ქობალია დაიბადა 1940 წლის 27 დეკემბერს ზუგდიდის რაიონის სოფელ კორცხელში. 1958 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა, შემდეგ კი — ზუგდიდის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი; 1961 წელს ჩამოაყალიბა არალეგალური ორგანიზაცია, „ამიერკავკასიის ერთა გაერთიანებისა და გათავისუფლების ორგანიზაცია“ (შემდგომში ორგანიზაციას ეწოდა „კავკასიის ერთა კავშირი“ — „კეკ“ (იხ. გვ. 79), რომლის მიზანი გახლდათ საქართველოსა და კავკასიის ხალხთა სსრ კავშირის შემადგენლობიდან გამოყოფა და დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნა.

1963 წელს ზაურ ქობალია ანტისაბჭოთა საქმიანობის გამო ორგანიზაციის სხვა წევრებთან ერთად დააკატიმრეს და 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. სასჯელი მორდვეთის მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში (გულაგში) მოიხადა.

პატიმრობიდან დაბრუნების შემდეგ მუშაობდა ზუგდიდის „ენგურქაღალდკომბინატში“; ეწეოდა ლიტერატურულ საქმიანობას, რომელიც საბჭოთა ეპოქაში ფართო საზოგადოებისათვის უცნობი იყო, რადგან საბჭოთა საქართველოს ჟურნალ-გაზეთებში სხვაგვარად მოაზროვნებისა და პოლიტიკურად არასაიმედოთა ნაწარმოებები არ იბეჭდებოდა.

ზაურ ქობალია გასული საუკუნის 80-იან წლებში

ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ხელმძღვანელობით გაშლილი ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური წევრია. იყო ილია ჭავჭავაძის საზოგადოების, შემდეგ კი ჰელსინკის კავშირის წევრი.

1989 წლის ივლისს თანამოაზრეებთან ერთად გაემართა აფხაზეთისაკენ აფხაზი სეპარატისტების მიერ მოწყობილი პროვოკაციის აღსაკვეთად, მაგრამ საბჭოთა არმიის ნაწილებმა იგი მდინარე ღალიძგასთან შეაჩერეს. საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურამ მის მიმართ აღძრა სისხლის სამართლის საქმე, რის გამოც ზაურ ქობალია იძულებული გახდა, გარკვეული ხნით მიმალულიყო.

1990 წლის 28 ოქტომბერს, როგორც ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის საარჩევნო ბლოკი „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოს“ მიერ მაჟორიტარული სიით წარდგენილი დეპუტატობის კანდიდატი, არჩეულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატად. 1990 წლის 9 აპრილს ხელი მოაწერა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს. იგი გახლდათ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი და უზენაესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

აი, როგორ იხსენებს ზაურ ქობალია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელმოწერის პროცესს:

„ის პირველი წუთები, როცა დამოუკიდებლობის აქტს ხელს ვაწერდი, ყველაზე უფრო ამაღლებული და ამაღელვებელი წუთებია ჩემს ცხოვრებაში. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ბავშვობიდან ვიყავი ჩაბმული

ეროვნულ მოძრაობაში, ვერ წარმომედგინა, პირადად მომიწევდა ამ უდიდესი მისიის შესრულება.

ძნელია აღწერა და გადმოცემა იმ გრძნობებისა და განცდებისა, რაც დამეუფლა მაშინ... ერთ-ერთი პირველი, რაც გავიფიქრე, ის იყო, რომ ბევრი ჩემი მეგობარი და თანამებრძოლი ვერ მოესწრო ამ ისტორიულ მოვლენას...

გამახსენდა ნიკოლოზ (გურამ) ფარცვანია, გრიშა დვალი, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვისათვის ბრძოლაში დაღუპული ვაჟკაცები: ჯანო რაფავა, რომან ბენდელიანი, პაატა ყურნუა...

ამავდროულად მაფიქრებდა და მანვალებდა ის, რომ ეროვნული ძალების ხელისუფლებაში მოსვლას ზვიად გამსახურდიას გუნდის სახით უარყოფითად შეხვდნენ და პირდაპირ ომიც გამოგვიცხადეს ე.წ. ეროვნულმა კონგრესმა და მხედრიონმა...

როცა უზენაესი საბჭოს სესიის 1991 წლის 9 აპრილის სხდომაზე ზვიად გამსახურდიამ გააკეთა განცხადება 31 მარტის რეფერენდუმის საფუძველზე საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ, ბევრი დეპუტატისთვის ეს წინასწარ ცნობილი არ იყო, მაგრამ ქვეცნობიერად ყველა გრძნობდა, რომ რაღაც სასწაული უნდა მომხდარიყო. როგორც კი ეს განცხადება გაკეთდა და ბატონმა ზვიადმა მთელ საქართველოს მიულოცა ეს ბედნიერი და ისტორიული ფაქტი, მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგა. ყველას ისეთი გაბრწყინებული სახე ჰქონდა, რომ თვით დარბაზის ქერსა და კედლებს სულ სხვა ნათელი მიადგა. რა დამაზინებებს, თუ რა ერთსულოვანი იყო მთელი დარბაზი და რა მღელვარებით აწერდნენ ხელს დამოუკიდებლობის აქტს. ხელმოწერა

სიის მიხედვით ხდებოდა. მე, თუ არ მეშლება, 91-ე ვი-
ყავი... ვინც ჩემამდე ხელს აწერდა, ყველას ვაკვირდ-
ებოდი. მინდოდა ყველას პირჯვარი გადაეწერა... როცა
ჩემი გვარი ამოიკითხეს, რაღაცნაირი სიმძიმე ვიგრძენი
და უცებ ვერ წამოვდექი. ასე მეგონა, ყველა ჩემი თანა-
მებრძოლი, ჩემი დაღუპული მეგობრები, ყველა ჩემი
ამომრჩეველი, მთელი საქართველო მე მიყურებდა...
უფლის ნებით წამოვდექი... მივედი მაგიდასთან, პირჯ-
ვარი გადავიწერე და ხელი მოვანერე... ჩემი სახით ამ
ისტორიულ დოკუმენტს ხელი მოაწერა ყველამ, ვინც
მაშინ მე ამირჩია... ის კალამი, რომლითაც ხელი მოვან-
ერე დამოუკიდებლობის აქტს, პირველი ჩასვლისთა-
ნავე ზუგდიდის მუზეუმს გადავეცი სახსოვრად“.

ზაურ ქობალია 1991-1992 წლების სამხედრო-კრიმი-
ნალური გადატრიალების შემდეგ იყო ეროვნული დაუ-
მორჩილებლობის კომიტეტის წევრი, შემდეგ კი — თავ-
მჯდომარე. ის პოლიტიკური მეთოდებით იბრძოდა
კანონიერი ხელისუფლების აღსადგენად.

მონაწილეობდა დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს
(1992-1993 წწ.) და ზუგდიდის (1993 წ.) სესიებში.

პოლიტიკოსი საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი
ხელისუფლების მეორედ განდევნისა და საქართველოს
რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მკვ-
ლელობის შემდეგ, 1994 წლის იანვარში, დააპატიმრეს.

ზაურ ქობალიას დაკითხვას გამომძიებელ ხვადაგიან-
თან ერთად წარმართავდა საქართველოს გენერალური
პროკურორი **ანზორ ბალუაშვილი**. როცა ზაურ ქობალიამ
პროტესტის ნიშნად უარი განაცხადა გამომძიებელთა
შეკითხვებზე პასუხის გაცემაზე, განრისხებულმა ბალუ-

აშვილმა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, თანაც ისე გაარტყა ხელი, რომ სათვალის ორივე შუშა ჩაუმტვრია. „მამაო, მიუტევე ამათ, რამეთუ არ იციან, რასა იქმან“ — სახარებისეული შეგონებით სცადა მისი შეჩერება, რამაც კიდევ უფრო განარისხა ბალუაშვილი. იგი დორბლმორეული აყვირდა: „შეეშვი სახარებას, ისიც ჩვენ მოგეცით“...

ზაურ ქობალიას ბრალად სამშობლოს ღალატი დასდეს და წარსულიც გაუხსენეს:

„...სასამართლო კოლეგია ადარებს რა მის პიროვნების მახასიათებლებს, აღნიშნავს, რომ ზაურ ქობალია წარსულში გასამართლებული იყო განზრახ დანაშაულისათვის და სასჯელს იხდიდა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში. მან სათანადო დასკვნა არ გააკეთა და კვლავ ჩაიდინა მძიმე დანაშაული, ყოველივე ეს მისი პიროვნების გაზრდილ საზოგადოებრივ საშიშროებაზე მიუთითებს“.

წინასწარი გამოძიების პერიოდში, ასევე სასამართლო პროცესზე ზაურ ქობალია იყენებდა დუმილის უფლებას. მან მხოლოდ ბოლო პროცესზე ითხოვა სიტყვა და განცხადება გააკეთა:

„...უპირველესად მინდა გითხრათ, რომ ყველა ის შეურაცხყოფა, რაც აქ გაისმა საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მიმართ, არანაირ ჩირქს არ სცხებს მას ქართველი ერისა და მომავლის წინაშე. პირიქით კი იქნება.

მეორე: აქ ითქვა, რომ მე მთავარი იდეოლოგი ვყოფილვარ ყველა ამ საქმისა. ჩემი ერთადერთი იდეოლოგიაა ქრისტიანობა, და თუ თქვენ მის იდეოლოგად მთვლით, ეს ჩემთვის დიდი პატივია.

მე სამშობლოს თავისუფლებისა და კეთილდღეობისათვის ბრძოლა მომისაჯა უფალმა და, სად მოვიხდი ამ სასჯელს — ციხეში თუ გარეთ, ათი თუ თხუთმეტი წლით, ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა არა აქვს.

და ბოლოს, გარწმუნებთ, საქართველოს ისტორია პროკურატურაში არ იწერება და ვერავითარი გაყალბება ვერ მიჩქმალავს ჭეშმარიტებას. საბოლოოდ იგი მაინც გაცხადდება“.

ზაურ ქობალიას 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. 7-წლიანი პატიმრობის შემდეგ, საქართველოს პარლამენტის მიერ 2000 წლის აპრილში მიღებული დადგენილების საფუძველზე, იგი პატიმრობიდან გაათავისუფლეს.

2002-2003 წლებში ზაურ ქობალია იყო „ეროვნული თანხმობის კავშირის“ პოლიტიკური საბჭოს წევრი.

სხადასხვა დროს იყო საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთების: „აღდგომა“, „ბორჯი“, „ნოთე“ რედაქტორების წევრი.

მოღვაწე იყო ზუგდიდის ვლადიკლავის ღმრთისმშობლის ხატის სახელობის საკათედრო ტაძრის მრევლი. მანვე მოაჩუქურთმა ამავე ტაძრის შესასვლელი კარი.

ზაურ ქობალია გარდაიცვალა 72 წლის ასაკში, 2012 წლის 1 დეკემბერს.

ვალტერ შურღია



ვალტერ გრიგოლის ძე შურღია დაიბადა 1944 წლის 20 მაისს სენაკის რაიონის სოფელ ზანაში.

ვალტერ შურღია საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობას მაშინ იწყებს, როცა ახალი გადატანილია 1956 წლის რეპრესიები... 1960 წელს სკოლის მონაფე ვალტერ შურღია აწრიდ სანაიასთან ერთად აყალიბებს არალეგალურ ორგანიზაციას — „საქართველოს დამოუკიდებლობისათვის

მებრძოლი ახალგაზრდული ორგანიზაცია“ (იხ. გვ.75).

ორგანიზაციის წევრებმა 1961 წლის იანვარში გაავრცელეს ნაბეჭდი პროკლამაციები საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით.

აი, როგორ იხსენებს ბატონი ვალტერი ამ ფაქტს:

„ამ აქციას დიდი ხნის განმავლობაში ვგეგმავდით. გვსურდა დიდი რეზონანსისა და ხმაურის გამოწვევა. პროკლამაციები უნდა გავრცელებულიყო ერთსა და იმავე დროს. დღე და საათიც იყო დაგეგმილი.

მართლაც ასე მოხდა...

როგორც მერე შევიტყვეთ, გენერალური პროკურორი ალექსი ინაური კინალამ გააგიჟა ამ აქციამ. ზედიზედ წამოვიდა ზარები... მართლა შეიქმნა შთაბეჭდილება დიდი ანტისაბჭოთა ორგანიზაციის არსებობისა.

დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, როცა დაგვაპატიმრეს, ალექსი ინაური არაფრით იჯერებდა, რომ ეს

ჩვენი გაკეთებული იყო. „აბა, ეს საზიზღრობა ბავშვებ-
მა როგორ მოიფიქრეს“, — ღრიალებდა იგი.

უნდა ითქვას, რომ ჩვენს ორგანიზაციაში 18-20 კაცი
ირიცხებოდა, მათგან ექვსმა მოვიხადეთ სასჯელი. და-
ნარჩენთა დაფარვა შევძელით. მათ რიცხვში იყო ჩემი
მეგობარი და კლასელი ალვერ იზორია.

ყოველგვარი ყალბი თავმდაბლობის გარეშე შეიძლე-
ბა ითქვას, რომ ჩვენი მოქმედება ეროვნულ-გამათა-
ვისუფლებელი მოძრაობის სრულიად ახალი ტალღის
აგორების ცდა იყო. სამწუხაროდ, მხოლოდ ცდა, რად-
გან ჩეკამ ყველაფერი გააკეთა ამ ცდის მისაჩქმალა-
ვად, რასაც ადამიანებში დასადგურებული შიში უწ-
ყობდა ხელს.“

სასჯელის მოხდის შემდეგ შეუძლებელი გახდა სამ-
სახურის შოვნა, სწავლის გაგრძელებაზე ხომ ლაპარაკ-
იც ზედმეტი იყო. ყველგან ესაჭიროებოდა დახასიათება,
საბუთებს არსად იღებდნენ, ვინაიდან მას ე.წ. „მგლის
ბილეთი“ ჰქონდა. მოქმედებდა საპასპორტო შეზღუდვე-
ბიც. მის გამო მძიმე სიტუაციაში იყო ოჯახიც. ასე გაჩნდა
ბატონ ვალტერის ბიოგრაფიაში მეტად საპატიო პროფე-
სია — ტროლეიბუსის მძღოლი.

მძღოლის კაბინაში ყოველთვის იდო წიგნები, რომელ-
საც იგი კითხულობდა შესვენებისა თუ მორიგი რეი-
სის მოლოდინში. იყო უაღრესად განათლებული. წერდა
მოთხრობებს, ნოველებს, რომლებსაც დიდად აფასებდა
მწერალი ლევან გოთუა.

1977 წელს ვალტერ შურლაიამ სცადა ახალი იატ-
აკქვეშა ორგანიზაციის შექმნა **ზაურ ქობალიას, ანრიდ
სანაიას და ინდიკო ქობალიასთან** ერთად, მაგრამ ეს
ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა.

„ორი ათეული წლის შემდეგ ვითარება შეცვლილი იყო, მაგრამ ზვიადისა და მერაბის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ერის სულიერი გამოღვიძება. ამ ტანდემმა შეძლო ის, რაც ჩვენ ვერ შევძელით. სწორედ ესაა განსხვავება ჩვენ შორის. სწორედ ამიტომ მივედით ჩვენ ზვიადსა და მერაბთან. პატარა მდინარე დიდ მდინარეში ჩაედინება. ეს გარდაუვალია“, — ამბობს ვალტერ შურლაია.

ვალტერ შურლაია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მრავალპარტიულ არჩევნებში ზუგდიდის რაიონის სოფ. რუხის №93 საარჩევნო ოლქში კენჭს იყრიდა მაჟორიტარ დეპუტატად, სადაც გაიმარჯვა კიდეც.

პოლიტიკოსი იყო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-1991), თავდაცვის, ეროვნული უშიშროებისა და მართლწესრიგის კომისიის მდივანი, ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის, იურიდიული კომისიის წევრი. 1991 წლის 9 აპრილს ხელი მოაწერა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს.

„იყო, ალბათ, კოსმიური სამართლიანობა იმაში, რომ ზუგდიდის ორი ეროვნული ორგანიზაციიდან თითო კაცი მოხვდა უზენაეს საბჭოში. დამოუკიდებლობის აქტზე ჩვენი ხელმოწერა ეკუთვნის ამ ორი ორგანიზაციის თითოეულ წევრს.

საოცარი იყო დამოუკიდებლობის აქტზე ხელმოწერის ცერემონიალი, მაგრამ მე არაფერი მახსოვს, გარდა სახელმწიფო ღერბისა და დეპუტატების გრძელი რიგისა.

როგორც იქნა, ჩემი ჯერიც მოვიდა. ჩემზე წინ ზაურ ქობალიამ მოაწერა ხელი, დაიჩოქა და პირჯვარი გადაიწერა. როგორც მახსოვს, ეს იყო პირველი დაჩოქება

იმ პროცედურის განმავლობაში. მეც იგივე გავიმეორე, გულში კი ვყვიროდი, ბუჭა სანაიავ, ძმაო, ხედავ, რა ხდება?!

ბუჭა სანაია კი, ჩემი მასწავლებელი ეროვნულ მოძრაობაში, იჯდა ტელევიზორთან და, რასაც განიცდიდა, მხოლოდ მან და მისმა ღმერთმა იციან.

ჩვენ მიერ პროკლამაციის გავრცელებიდან ოცდაათი წელი გასულიყო“.

1991-1992 წლების სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების შემდეგ რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის დაწყების დღიდან ეროვნული დაუმორჩილებლობის კომიტეტის ხელმძღვანელია. პოლიტიკური მეთოდებით იბრძოდა საქართველოს სამხედრო ხუნტის წინააღმდეგ.

1993 წლის ბოლოს, საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლების მეორედ განდევნისა და საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მკვლელობის შემდეგ, 1994 წლის იანვარში ვალტერ შურლაია დააპატიმრეს. 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. მის საბრალდებო დასკვნაში სუკ-ის არქივიდან ამოღებული 1961 წელს გავრცელებული პროკლამაციის ფოტოპირიც ჩააკერეს, როგორც დანაშაულის დამამძიმებელი ნივთმტკიცება.

7-წლიანი პატიმრობის შემდეგ საქართველოს პარლამენტის მიერ 2000 წლის აპრილში მიღებული დადგენილების საფუძველზე პატიმრობიდან გაათავისუფლეს.

2002-2003 წლებში ვალტერ შურლაია იყო „ეროვნული თანხმობის კავშირის“ პოლიტიკური საბჭოს წევრი.

ვალტერ შურლაია გარდაიცვალა 2016 წლის 28 ნოემბერს.

სამშობლოს თავისუფლების სამწვერვალოზე

(ვალტერ შურლაიას მოსაგონარი)

სხვები რომ იტყვიან, იმ კუთხით კი არა, სხვა კუთხიდან მინდა შევახედო მკითხველი ვალტერ შურლაიას გონითი კანონზომიერების შესაძლებლობებს, რომელიც შემოქმედებითი ნიჭიერებით საზღვრავს მის სიმაღლესა და ხატს. ვალტერ შურლაიას იცნობდნენ, როგორც რაინდული სულის ეროვნულ მოღვაწეს, უზენაესი საბჭოს წევრს, ზვიადისა და მერაბის თანამებრძოლს, მაგრამ ნაკლებად ან საერთოდ არ იცნობდნენ, როგორც შემოქმედს, დიდებული პროზაული ქმნილებების ავტორს.

შემოქმედებისთვის ორი უმთავრესი და არსებითი მხარე ხაზგასმით იკვეთებოდა ბატონი ვალტერის პიროვნებაში — ფსიქიკური ცხოვრების იდუმალ მოძრაობათა ღრმა ცოდნა, თვისება სულის დიალექტიკის გადმოცემისა, რომელიც ასახავს ფსიქიკური ცხოვრების არა მხოლოდ შედეგს, არამედ თვით პროცესის მსვლელობას; მეორე — ზნეობრივი გრძნობის სინმინდე. ეს ორი ნიშანი უმთავრესია ნიჭის თვისებად ქცევისა. სწორედ ამ თვისებებმა წარმოაჩინეს მისი, როგორც პიროვნული, ყოფითი სახე, ასევე შემოქმედებითი სინრფელე. ეროვნული მოძრაობის წევრებს, მით უფრო, ბატონი ვალტერის თანამებრძოლებს ახსოვთ ის, თუ რა ხშირად ციტირებდა ბატონი ვალტერი **ფრანჩესკო ასიზელს**. ერთ ინტერვიუში, რომელიც მას პოეტმა ქალბატონმა **ბელა შალვაშვილმა** ჩამოართვა, აცხადებს, რომ ასიზელს ის მიიჩნევს მის სულიერ წინაპრად, ძალიან ბევრი რამ გააჩნიათ საერთო

და საზიარო. ხუმრობანარევად იმასაც ამბობდა, რომ ის პატარაობიდანვე ფრანცისკანელთა ორდენის უღალატო წევრი იყო. სხვათა შორის, ეს ორდენი დაარსდა 1223 წელს და მისი ფუძემდებელი იყო იტალიელი მოაზროვნე და პოეტი ფრანჩესკო ასიზელი.

ფრანჩესკო ყოფილა მეტად მომხიბვლელი პიროვნება, მგზნებარე მეოცნებე, უანგარო და კეთილშობილი სულის პატრონი. იტალიური პოეზიის მშვენიერად ითვლება ჩვენამდე მოღწეული მისი ერთადერთი ლექსი, სადაც ავტორი თავის და-ძმებად მოიხსენიებს: მზესა და მთვარეს, ქარსა და ვარსკვლავებს, სიცოცხლესა და სიკვდილს. ეტყობა, აქაც პოულობდა საერთოს ასიზელთან — კოსმოგენური მეგრული ლექსის: „მზე დედაა ჩემი, მთვარე მამაჩემი, ხვიჩა-ხვიჩა ვარსკვლავები და და ძმია ჩემი“ აზრობრივი ნათესაურობით.

ასევე, ფრანჩესკო ქადაგებდა მიწიერ ცდუნებათა უარყოფას, მშვიდობას, ძმობასა და მეგობრობას. მას გულწრფელად სწამდა, რომ ადამიანის ტყავში გახვეული მგლები ყურს თუ ათხოვებდნენ ღვთის სიტყვას, უმაღვე უმანკო ცხვრებად გადაიქცეოდნენ და უარყოფდნენ ავი გზებით მოხვეჭილ სიმდიდრესა და მდგომარეობას.

თვით ფრანჩესკო, შვილი მდიდარი ვაჭრისა, ცხოვრობდა საშინელ სიღატაკეში, რაც მისთვის წარმოადგენდა თავისუფლების სიმბოლოს. ფრანჩესკოს ეძახდნენ „მეორე ქრისტეს“. ეს ასახულია დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“. გენიალური იტალიელი პოეტის სიტყვებით, ასიზელმა ცოლად შეირთო „ქალბატონი სიღატაკე“, რომელსაც თერთმეტი საუკუნის წინათ წაართვეს ქმარი — იესო ქრისტე. ყოველივე ეს ძალიან კარგად და ოსტატურად აღწერა დიდებულ ესეში „ჩემი თვალით“.

დღეს, როცა ჩავუღრმავდი და თვალი მივაღევნე ბატონი ვალტერის ცხოვრების გზას, ერთ რამეში დავრწმუნდი, რომ ქართული ეროვნული გენია ვერასდროს შეეგუება ეროვნული სულიერების დაკნინებას. ამიტომ ვალტერ შურღაია ჭაბუკობიდანვე შეუდგა გოლგოთის მისტირიას. ამ გზაზე იმდენი ვაება და სანუხილო შეხვედრია — **„სულ მეგონა, სიკვდილი გვერდით მომყვებოდა, როგორც დაქალი და მეგობარი...“** — წერდა ბატონი ვალტერი და დონ კიხოტური სიმედგრითა და სიჯიუტით მიუყვებოდა აღსავალს სამშობლოს თავისუფლების სამწვერვალოზე.

ვერც ციხემ და ჯურღმულებმა, ვერც ვერანაირმა ტანჯვა-წამებამ ვერ შეაცვლევინეს ვერც მრწამსი და ვერც იდენტური სინრფელე. სწორედ მას ესადაგებოდა ეს სტრიქონები: „მე იგივე ვარ მარად და მარად“. ის ისეთივე თავდადებულ მეთოფურ-მეთვალთვალედ დარჩა იმ ბასტიონისა, რომლის დაუმარცხებლობასაც შესწირა შეგნებული ცხოვრების საუკეთესო წლები.

ვალტერ შურღაიას ნებისმიერ მოქმედებაში ჩანდა აბსოლუტურად ინდივიდუალური ინსტინქტები, გრძნობათა და განცდათა ვიბრაციის მაღალგრძნობიერი მელოდიურობანი, რაც ადამიანებთან მის ყოველდღიურ ურთიერთობაში ჩანდა. ის უყვარდათ, ეიმედებოდათ, სწამდათ... მისი თამამი და სრულიად უნიკალური ღვთიური სუბსტანციები გამოარჩევდნენ მას, როგორც წარმოსახვითი და რეალისტური აღქმის ზნემაღალ მოღვაწეს. სულ მგონია, რომ ის, როგორც მორწმუნე და ეკლესიური ადამიანი, დღენიადაგ იმეორებდა გულში: **„დამაყენე, უფალო, შენს გზაზე, რათა ვიარო შენი ჭეშმარიტებით, წარმართე ჩემი გული შენი სახელის მოშიშებით...“** (85 ფსალმუნის).

მან მართლაც იცხოვრა თვალდასარჩენი პატიოსნებით და აღესრულა პატიოსნად, რათა ხლებოდა უფალს, როგორც მართალი და სულუტეხი ადამიანი! ნავიდა ჩვენგან კოლხი რაინდი, ზომიერი რომანტიზმითა და მაღალი ზნეობრიობით აღვსილი ქართველი, სამშობლოსთვის თავდადებულთა და ღირსეულთა ნათესავი — „ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანი!“

ნათელი დაგადგეს კარგო და მართალო ადამიანო, ბატონო ვალტერ!

ლაშა გვასალია.

30. 11. 2016.

გოგი ჩიქავა



გოგი გიორგის ძე ჩიქავა დაიბადა 1960 წლის 20 ოქტომბერს ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალკახათში.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი 1989 წ. დაამთავრა.

სამხედრო სამსახური მოიხადა 1979-1981 წწ.

სხვადასხვა დროს მუშაობდა: ზუგდიდის ქალაქკომბინატში მუშად 1981-1983 წწ.; თბილისის საავიაციო სანარმოო გაერთიანებაში მუშად 1983-1990 წწ.; ეკონომისტად 1981-1990 წწ.

1990 წლის 28 ოქტომბერს საარჩევნო ბლოკი „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოს“ მიერ მაჟორიტარული სიით წარდგენილი დეპუტატობის კანდიდატი ისნის რაიონის №15 საარჩევნო ოლქიდან არჩეულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატად. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრია 1990-1991 წწ. იყო საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი. 1991 წლის 9 აპრილს ხელი მოაწერა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს.

კანონიერი ხელისუფლების დამხობის შემდეგ ემიგრაციაში წავიდა.

ლეო ჩიქავა



ლეო ლავრენტის ძე ჩიქავა დაიბადა 1928 წლის 20 თებერვალს ზუგდიდის რაიონის სოფელ კოკში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი 1950 წ.; ასპირანტურა 1953 წ.

სადოქტორო დისერტაციის თემა — „საქართველოს კვების მრეწველობის ტერიტორიული სპეციალიზაციისა და ეკონომიკური ეფექტიანობის საკითხები“ დაიცვა 1968 წელს. 1955-1969 წწ. იყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი, დოცენტი, პროფესორი; 1974-1983 წწ. პოლიტეკონომიის კათედრის გამგე; 1969-1974 წწ. უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პოლიტეკონომიის კათედრის გამგე; 1983-1990 წწ. ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე.

1990 წელს გახდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-1991) საქართველოს კომუნისტური პარტიიდან. 1991 წლის 9 აპრილს ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს.

1997 წლიდან არის პ. გუგუშვილის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი; 1999 წლიდან სახელმწიფო სამსახურის მართვის, მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრის უფროსი. 1990-2006 წწ. დემოგრაფიული და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის დირექტორი.


მკვლევარი არის 170-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, აქედან — 21 მონოგრაფიის, წიგნისა და ბროშურის ავტორი.

ლეო ჩიქავა იყო ეკონომიკისა და ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, მოსკოვისა და თბილისის ეკონომიკური ჟურნალების სარედაქციო კოლეგიის წევრი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის პალატის თავმჯდომარე 1993 წ.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

ცნობილი ქართველი მეცნიერი ლეო ჩიქავა გარდაიცვალა 2015 წლის ივლისს, 87 წლის ასაკში.

ნოდარ ჭითანავა



ნოდარ ამბროსის ძე ჭითანავა

დაიბადა 1935 წლის 10 მარტს ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭკადუაში. საშუალო სკოლა ვერცხლის მედალზე დაამთავრა.

1963 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი, 1968 წელს — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული უმაღლესი პარტიული სკოლა. 1958 წლიდან კომუნისტური პარტიის წევრია. ეწეოდა სამეცნიერო-პედაგოგიურ, პარტიულ-სამეურნეო საქმიანობას.

1959 წლიდან მოყოლებული კომკავშირული და პარ-

ტიული საქმიანობით იყო დაკავებული. სხვადასხვა დროს იყო ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭკადუაშის კოლმეურნეობის წევრი, ცეკავშირის №5 სამშენებლო სამმართველოს ზუგდიდის უბნის ბრიგადირი, საქართველოს ალკკ ზუგდიდის რაიკომიტეტის ინსტრუქტორი, საქართველოს კპ ზუგდიდის რაიკომის მეორე მდივანი, საქართველოს კპ ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი, საქართველოს კპ პოლიტგანათლების სახლის კონსულტანტი, პარტიის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი, სენაკის რაიკომის პირველი მდივანი, საქართველოს კპ აჭარის რეგიონული კომიტეტის მეორე მდივანი. საქართველოს სსრ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს მე-10 და მე-11 მოწვევის დეპუტატი.

საქართველოს კომუნისტური პარტიიდან არჩეულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრად 1990-1991 წწ.; 1991 წლის 9 აპრილს ხელი მოაწერა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს.

1991-1992 წლებში სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობის, მრეწველობისა და სატყეო მეურნეობის მინისტრია.

1993 წელს ინიშნება საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და რეგიონული პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად. სწორედ ამ ინსტიტუტში მისი ხელმძღვანელობით შესრულდა 30-ზე მეტი საკანდიდატო და სადოქტორო სადისერტაციო ნაშრომი. მან მოამზადა ინდიკატური დაგეგმვის მეთოდიკა,

საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფცია, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინდიკატური გეგმის პროექტები და სხვა საპროგრამო მასალები. იყო ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის და სხვა მრავალი სამეცნიერო გაერთიანებისა და საბჭოს წევრი, დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი. არჩეული იყო სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალის სარედაქციო საბჭოებში, აქტიურად თანამშრომლობდა წევრის სტატუსით სხვადასხვა აკადემიასთან.

მეცნიერული შრომების რაოდენობა 113, მათ შორის არის 12 მონოგრაფია; აქვს მრავალი გამოგონება და 17 რაციონალიზატორული წინადადება. იგი მრავალი პუბლიკაციის მთავარი რედაქტორი და რეცენზენტია.

მეცნიერს მიღებული აქვს „შრომის წითელი დროშის“ ორი ორდენი (1973 წ. და 1975 წ.).

* * *

„ბატონმა ნოდარმა 2005 წელს გამოსცა უნიკალური მემუარულ-სამეცნიერო ხასიათის წიგნი ძალიან ტევადი და ლაკონიური სათაურით „ვაშინერს, ბატონებო, საქართველოს დაშლა!“

ამ ოთხ სიტყვაში ჩატეულია მთელი მისი ცხოვრების ფილოსოფიური კრედო, კონცეფცია, სტრატეგია და განვლილი გზა. ეს არის მშობლიური ქვეყნის წინსვლისა

და უკეთესი მომავლისთვის უდიდესი სიყვარულით და ყოველდღიური ზრუნვით განვლილი გზა. მისი ბიოგრაფია არის მაგალითი იმისა, თუ როგორ შეუძლია ადამიანს თავისი პატიოსანი და თავდაუზოგავი შრომით გადალახოს ყოველგვარი წინააღმდეგობა და საკუთარ სახელმწიფოსა და ხალხს ღირსეულად ემსახუროს!

მისი მეცნიერული მოღვაწეობა მრავალმხრივია. თავდაპირველი კვლევები მეტწილად უკავშირდება სოფლის მეურნეობის ეკონომიკას და მასთან დაკავშირებული დარგების განვითარების აქტუალურ საკითხებს, თუმცა ბატონი ნოდარის სამეცნიერო-კვლევით მოღვაწეობაში, გარდა აგრარული პრობლემებისა, მნიშვნელოვანია ეკონომიკური გლობალიზაციის თანამედროვე ტენდენციების, პოსტსოციალისტურ პერიოდში ეკონომიკის ტრანსფორმაციის, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და რეგიონული პოლიტიკის, ეროვნული ეკონომიკური მოდელის ფორმირების, ქვეყნის განვითარების პრიორიტეტების, გეოეკონომიკური ფაქტორების, ინტეგრაციული პროცესების თავისებურებათა კვლევა. აღნიშნული პრობლემები კომპლექსურადაა განხილული მის 120-ზე მეტ ქართულ და უცხო ენებზე გამოცემულ სამეცნიერო ნაშრომში.

2015 წელს გამოცემულ მონოგრაფიას „საქართველოს სოფლის მეურნეობა: ტრანსფორმაცია, პრობლემები, პერსპექტივები“ მიენიჭა 2015 წლის საუკეთესო ნაშრომის წოდება.

ნიშანდობლივია ისიც, რომ 2014 წელს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე განხილულ იქნა მისი საინტერესო მოხსენება „მოსახლეობის კვების პროდუქტებით უზრუნველყოფისა და სასურსათო უსა-

ფრთხობების პრობლემებზე“. აღნიშნულის საფუძველზე 2014-2020 წლის პერიოდისთვის მომზადდა საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების რეკომენდაციები და წარედგინა პარლამენტსა და მთავრობას“.

— იაშა მესხია.

ბონდო ჯიქია



ბონდო სერაპიონის ძე ჯიქია დაიბადა 1938 წლის 5 დეკემბერს ზუგდიდის რაიონის სოფ. ჭაქვინჯში. საშუალო განათლება მიიღო მშობლიურ სკოლაში, უმაღლესი განათლება — საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში ინჟინერ-მექანიკოსის სპეციალობით (1961 წ.).

1961 წელს მუშაობა დაიწყო საქსოფტექნიკის ზუგდიდის რაიონულ გაერთიანებაში ინჟინერ-მექანიკოსად, შემდეგ იყო მმართველის მოადგილე. 1964-1966 წლებში მუშაობდა საქართველოს კომკავშირის ზუგდიდის სასოფლო-საწამომო კომიტეტის მდივნის მოადგილედ, ენგურქალაქდკომბინატის სატრანსპორტო განყოფილების უფროსად, ენგურჰესის მშენებლობის პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილედ; 1966-1972 წწ. საქართველოს კომკავშირის ზუგდიდის რაიონული კომიტეტის პირველ მდივნად. 1972 წლიდან იყო ენგურქალაქდკომბინატის პარტიული კომიტეტის მდივანი, საქართველოს კპ ზუგ-

დიდის საქალაქო კომიტეტის მდივანი, მეორე მდივანი, პარტიის ცენტრალური კომიტეტის ინსპექტორი. 1975-1988 წლებში მუშაობდა საქართველოს კპ ქობულეთის, სენაკისა და ზუგდიდის რაიკომების პირველ მდივნად. 1988 წელს გადაიყვანეს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის განყოფილების გამგედ. 1989 წლის ივნისში აირჩიეს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად.

სხვადასხვა დროს არჩეული იყო ქობულეთის, სენაკის, ზუგდიდის რაიონული საბჭოების, აჭარისა და საქართველოს უმაღლესი საბჭოების დეპუტატად.

1990 წელს გახდა საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი კომპარტიიდან. 1991 წლის 9 აპრილს ხელი მოაწერა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს.

1992 წლის დეკემბერში დაინიშნა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრის მოადგილედ, მინისტრის პირველ მოადგილედ, იმავდროულად მინის რესურსებისა და მინის კადასტრის დეპარტამენტის თავმჯდომარედ. 1995 წლის სექტემბერში ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის გამგეობის თავმჯდომარეა. ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის გამგეობის რეორგანიზაციის შემდეგ იყო ქალაქ ზუგდიდის მერი, იმავდროულად ასრულებდა საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის მოვალეობას. 1997 წლიდან 2003 წლის ნოემბრამდე იყო საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული სამეგრელო-ზემო სვანეთში.

მოდვანე დაჯილდოებულია საპატიო ნიშნისა და ღირსების ორდენით, ვახტან გორგასლის I ხარისხის ორდენით.

ცოტა რამ ავტორის შესახებ



მარინე ჟორას ასული დამენია დაიბადა 1963 წლის 23 ოქტომბერს ქ. ზუგდიდში; 1981 წელს დაამთავრა ქ. ზუგდიდის №14 საშუალო სკოლა; 1982 წელს წარჩინებით დაამთავრა საბუღალტრო აღრიცხვის სკოლა ბუღალტრის სპეციალობით; 1989 წელს ასევე წარჩინებით დაამთავრა ქ. ზუგდიდის პოლიტექნიკური ტექნიკუმი სამ-

რენველო და სამოქალაქო მშენებლის სპეციალობით.

იყო ეროვნული მოძრაობის აქტიური წევრი. არის ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი. სხვადასხვა დროს იყო: ქ. ზუგდიდის საბინაო კომუნალური მეურნეობის სამშენებლო-სარემონტო სამმართველოს ბუღალტერ-მოანგარიშე; ქ. ზუგდიდის ფაიფურის ქარხნის ტექნიკურ განყოფილებაში ხარისხის კონტროლიორი; ახალგაზრდა შემოქმედთა ასოციაცია „კოლხური ნანას“ პრეზიდენტი; ადგილობრივი და რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთების კორესპონდენტი და პასუხისმგებელი მდივანი; საქართველოს „წმინდა ილია მართლის საზოგადოების“ ზუგდიდის ორგანიზაციის პრესსამსახურის, პოლიტიკური ორგანიზაცია „ეროვნული თანხმობის“ ზუგდიდის ორგანიზაციის პრესცენტრის თანამშრომელი; პოლიტიკური ორგანიზაცია „სამართლიანი საქართველოსთვის“ სამეგრელო-ზემო სვანეთის პრესსამსახურის ხელმძღვანელი; საერთაშორისო ტელერადიოკომპანია „ევრაზიის“ სამეგრელო-ზემო სვანეთის

რეგიონული ტელევიზიის დირექტორი; „საქართველოს მასმედიის, პოლიგრაფიისა და მასმედიაში მომუშავეთა პროფკავშირების“ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ორგანიზაციის რწმუნებული; დასავლეთ საქართველოს ჟურნალისტიკა ასოციაცია „დამოუკიდებელი ქართული მედიის ჯგუფის“ დამფუძნებელი, 2005 წ.; „ინტელექტუალთა ჯგუფი — 2011“ დამფუძნებელი, თავმჯდომარის მოადგილე, გამგეობის წევრი; ჟურნალ „დისკუსიის“ და გაზეთ „სამეგრელოს ქრონიკის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და რედაქტორი; რედაქტორია კლარა ფაჩუაშვილის წიგნისა: „ქალი სუსტი — ქალი ძლიერი“ (მემუარები, წერილები, შემოქმედება.); თანაავტორია 2015 წელს გამოცემული წიგნისა „ზუგდიდი — წარსული და თანამედროვეობა“; საქართველოს ჟურნალისტიკა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარის მოადგილე (2014-2017 წ.წ.); 2014 წლიდან არის საქართველოს ჟურნალისტიკა შემოქმედებითი კავშირის გამგეობის წევრი.

საქართველოს ჟურნალისტიკა შემოქმედებითმა კავშირმა ქართული ჟურნალისტიკის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის დააჯილდოვა დიპლომით; ქართულ ჟურნალისტიკაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიანიჭა საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის წოდება.

შემოქმედებითი ურთიერთობა ჰქონდა თურქეთის საერთაშორისო ტელეკომპანია „ჰაიათის“ თურქ კოლეგასთან **ილქნურ იილმაზთან** (წარმოშობით ქართველი), რომელსაც დაეხმარა საქართველოს შესახებ რამდენიმე გადაცემის მომზადებაში.

დიდი მონდომებითა და რუდუნებით იკვლევდა ქართულ მედია ისტორიას. წლების განმავლობაში მოძიებულ უნიკა-

ლურ სამუზეუმო ექსპონანტებზე (რომელიც სხვა არც ერთ მუზეუმში არ ინახება) დაყრდნობით დააფუძნა კავკასიაში ერთადერთი „მედია მუზეუმი“ („საქართველოს მასმედიისა და პოლიგრაფიის მუზეუმი“), სადაც მუშაობს წამყვან სპეციალისტად.

გამოსაცემად მზად აქვს წიგნი: „სამეგრელო-ზემო სვანეთის მასმედიისა და პოლიგრაფიის ისტორია, ჟურნალისტების შემოქმედებითი ცხოვრება“, „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტსა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელმომწერები“.

გამოყენებული ლიტერატურა:

წიგნები:

„საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა“, შორენა მურუსიძე, თბ., 2015 წ.

„1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში“, ლევან ჯიქია, თბ., 1999 წ.

„პროკლამაციებიდან დამოუკიდებლობის აქტამდე“, ედემ კვიციანი, თბ., 2010 წ.

„ფიცის ერთგული რაინდი“, ჯემალ შონია, თბ., 2003 წ.

„საქართველოს პარლამენტის წევრები, 1990-2015“, კობა ამირხანაშვილი, თბ., 2015 წ.

გაზეთები:

„აღდგომა“, 1992 წ. №2; 1992 წ. №12; „ღია ბოქლომი“, ზუგდიდი, 2007 წ.; „ეგრისის მაცნე“, ზუგდიდი. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991 წ. 11 სექტემბერი; „გამათავისუფლებელი“; „კახათი“, ზუგდიდი, 2003 წ.; „შრომის დროშა“, გეგეჭკორი, 1986 წ. №114.

ჟურნალები:

„საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია 65“; „დისკუსია“, ზუგდიდი, 2007-2008 წწ.; „საარქივო მოამბე“; „ეგრისი“.

ინტერნეტსივრცე:

ინტერნეტ-ვიკიპედია; „საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“; „სტალინური სიები საქართველოდან“; „<http://www.zugdidi.gov.ge/550-0-geo.html>“; For.ge.2014 წ. 14 აპრილი.

სარჩევნი

რედაქტორისაგან.....	4
რეცენზია	9
ნაწილი პირველი	22
საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა.....	23
დამოუკიდებლობის გამოცხადება	26
საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროშა, გერბი და ჰიმნი	30
დამფუძნებელი კრების არჩევნები.....	33
საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დე-ფაქტო აღიარება.....	35
საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დე-იურე აღიარება	36
დამოუკიდებლობის გზაზე (ამონარიდი რამდენიმე გაზეთიდან)	37
1918-1920 წლის 26 მაისის დღესასწაულები ზუგდიდში	38
ქვეყნის ოკუპაცია და ანექსია	42
ბრძოლა ენგურის პირას.....	45
ბრძოლა დამოუკიდებლობის აღდგენისათვის (ლევან ჯიქია)....	48
ზუგდიდის მახრაში 1924 წელს დახვრეტილ აჯანყებულთა არასრული სია (ლევან ჯიქია).....	61
* * * 1924 წლის აჯანყების დროს რეპრესირებულთა მონუმენტი ...	66
მასობრივი რეპრესიები 1937-1938 წლებში.....	67
ქართველი ემიგრანტების ბრძოლა მედიასაშუალებებით.....	71
1956 წლის მარტი	73
საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ახალგაზრდული ორგანიზაცია	75
ამიერკავკასიის ერთა გაერთიანებისა და გათავისუფლების ორგანიზაცია	79
14 აპრილი — დედაენის დღე	87

ეროვნული მოძრაობა ქალაქ ზუგდიდში	90
9 აპრილის ტრაგედია.....	92
პირველი მრავალპარტიული არჩევნები საქართველოში	97
საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა.....	100
საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დე-ფაქტო ცნობა	105
საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დე-იურე ცნობა	105
პირველი საპრეზიდენტო არჩევნები	106
ბრძოლა რეალური დამოუკიდებლობისათვის	107
საქართველოს ეროვნული გვარდია.....	108
სამხედრო გადატრიალება	112
საქველმოქმედო საზოგადოება „ხსოვნა“	120
კანონიერი ხელისუფლების აღდგენა დასავლეთ საქართველოში	122
ზუგდიდის მასმედია 1992-1994 წლებში.....	125
ზვიად გამსახურდიას ხსოვნის უკვდავსაყოფად.....	141
საქართველოს პირველი პრეზიდენტის მიმართვა ქართველი ერისადმი.....	151
ზუგდიდის რესპუბლიკა	154
* * * პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას პირადი მდივანი	
მადლენა დამენია	157
პოეზიისა და ოცნების სავანე	159
რეზიუმე	162
ნაწილი მეორე	165
სპირიდონ კედია.....	166
ალექსანდრე ჩიქავა.....	173
გურამ აბსანძე	176
თენგიზ (გია) მამფორია.....	181

გურამ მაქაცარია	183
თამაზ ჟორჟოლიანი.....	185
ზაურ ქობალია.....	188
ვალტერ შურღია	194
სამშობლოს თავისუფლების სამწვერვალოზე.....	198
გოგი ჩიქავა.....	202
ლევო ჩიქავა.....	203
ნოდარ ჭითანავა.....	204
ბონდო ჯიქია	208
ცოტა რამ ავტორის შესახებ	210
გამოყენებული ლიტერატურა	212

ავტორი: მარინე ღამენია

რედაქტორი: ლაშა გვასალია

რეცენზენტი: მურმან თავდიშვილი

**კორექტურა და კომპიუტერული
უზრუნველყოფა: თეა მიშველია**

ტელ.: 557 56 71 16; 555 50 40 88



დაიბეჭდა გამომცემლობა „უნივერსალში“

თბილისი, 0186, ა. ჰოლიტაოვსკაიას 4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: gamomcemlobauniversali@gmail.com; universal505@ymail.com